

1854 /2  
2023

# თავის მკვლევანი



პერიოდული გამოცემა

№20 (45).

აპრილი, 2023 წელი

ყოთაზეა მწყემსიან კთილმან,  
შეპნობე ქართუენი და  
მებტუბე დემბისა მართალსა,  
დეღათ წმიდით ნინთ ...“



გულითადად მიეხსიანებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის, „სამთავროს მაცვლეოვანის“, გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელი შექმლბენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერმონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა; ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „სამთავროს მაცვლეოვანის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

წილი II

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ISSN 2346-7738  
UDC (UDC) 27 + 271.2  
# - 407

	სამთავროს მაცვლეოვანი სამთავროს მაცვლეოვანი სამთავროს მაცვლეოვანი	სამთავროს მაცვლეოვანი სამთავროს მაცვლეოვანი სამთავროს მაცვლეოვანი
სამთავროს მაცვლეოვანი	სამთავროს მაცვლეოვანი	სამთავროს მაცვლეოვანი
სამთავროს მაცვლეოვანი	სამთავროს მაცვლეოვანი	სამთავროს მაცვლეოვანი

მცხეთა, მირიან მეფის ქუჩა №3.  
ელ-ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com  
ინგარიშის ნომერი: GE65BG000000158107700

სარჩევი

„ჩემო პატრიარქო“	„ომოვს წყარო“
რა სჭირდება დღეს საქართველოს? ..... 6	ჭრისტე ვველაფერია ..... 48
2 აგვისტო სრულიად საქართველოს	საუბრები და წერილები ..... 52
კათოლიკოს-პატრიარქის ანგელოზის დღეა.....8	იერუსალიმის ჯერის მონასტერი ..... 57
დოდო დლონტის წერილი პატრიარქს..... 9	თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღ- ვარი, სქემილეუმენია ელეონორა ..... 68
მარტოობა ..... 10	პაპისტოქარაული მიმკვიდრება
სამთავროს ისტორია	რა სტიკოდა პოეტ მირზა გელოვანს.....78
დედათა მონასტრის დაარსება	ლიტურგია
სამთავროში ..... 12	ქართული საღვთისმეტყველო ტერმინ „აღვსების“ რაობისთვის ..... 84
„გამის დიაღვმა“	მონასტრის ფოტომატიანი
აღმსარებლობიდან სამთავრომდე ..... 22	წმინდა მიწის ქრონიკები ..... 90
„ჩემს საქართველოს ათონზე ვერ გავეცვლი“ ..... 28	
გაბრიელ ბერი ..... 35	
საქართველოს პატრიარქები	
მოგონებები პატრიარქ ფერეშზე .....38	



სტალინის საღვთისმეტყველები

სარედაქციო კოლეჯია:  
 არქიმანდრიტი ლაზარე (გაგინძე),  
 ილუჩენია ქიციანი (კობალიანი),  
 მღვდელმთხოზინი ილია (თვალაძე),  
 მონიხონია: სოსანა (გუბუაშვილი), ნინო (სამარაძე),  
 სერაფიმ (მეტრეველი),  
 თანა (ნინიანიძე), მელანია (მამისაშვილი).

სამთავროს დედათა მონასტერი მადლობას უხდის და ლოცავს  
 გამოცემლობა „მრავალის“ ხელმძღვანელს,  
 პატონ თამაზ შარიჭაძეს;  
 სტამბა „ეკვირიტი სტილი“ ხელმძღვანელს,  
 პატონ ივანე თვალაშვილს;  
 სასაქონლო-სამედიცინო დირექტორს, ქალბატონ შინა კაცაძეს;  
 დოკუმენტალისტებს: ქალბატონ ნინო ხოფერას  
 და პატონ ზვიად მიქელაძეს.



„განგებითა სამ-მნათობერისა ლ(გი)ისა, და წამისყოფითა  
ყ(იელა)დ წმადისა ლ(გი)ის-მშობელისათა. მე უნდომან  
მონამან მისმან, მ(ღვდ)ელ მონაზონმა ილია, ივერიის მონას-  
ტრის მმთავანმა. შენდობითა სულეერისა მამისა ჩემისა,  
სქემონაზონი მაჰარისა. დაეხსაცვიანე წ(მად)ა ხაყი ესე სახელ  
წოდებით სახსაულთ მოქმედი. დედა ლ(გი)ისა ივერიის ჟარო-  
სა, და შევანიე მცხეთის სამთავრო უერისყვალებან, დედათა  
მონასცერსა, გ(ითარ)ყა მფარეულად მოურულეებულად, საწ-  
ნმუხიებითა და მამითა ლ(გი)ისათა მკადნითა მას შ(ან)ა.  
გახსულე მ(ემ)ა წრეული გულით დაძინებულსა, სულიერისა  
ძმისა მ(ღვდ)ელ მონ. პაულე ჯათარადესა, ი(ომე)ლმან მაიძუ-  
ლი ამის სრულყოფად, ყ(იელა)დ წ(მად)ათ ლ(გი)ის-მშო-  
ბელი, მწე და მფარეელ ვეყყან, ამან, ათონის მთა წ(მად)ა,  
ივერიის ქართველთა მონასცერი, 1912. წმბ. წელსა.“

(წარწერა სამთავროს ივერიის ლეთისმშობლის ხაყისა).



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿԱՌԱՐԱԿԱՆ  
ՍԵՆՏՐԱԿԱՆ ԳԵՂԱՐԱՆ



### რა სჭირდება დღეს საქართველოს?

ერს, ისევე როგორც პიროვნებას, აქვს ღირსების გრძობა. ზშირია შემოხვევა, როცა ადამიანის მინიერი კეთილდღეობა ღირსებაზე უარის თქმის შედეგია, მაგრამ ასეთი ქმედება მთელი ცხოვრების განმავლობაში მძიმე ტვირთად აწეება პიროვნებასაც და ერსაც და ინვესტს მის სულიერ დეგრადაციას.

ეროვნულობა ქრისტიანობაში ნიშნავს ზრუნვას შენი ზალხის იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის, რაც მის ცხოვრებას თან სდევს; ნიშნავს ზრუნვას მისი სულიერი და ზნეობრივი განვითარებისათვის, ნიშნავს იმ ტრადიციებისა და ზნე-წყულებების დაცვას, რაც მის თავისთავადობას, შეობას განაპირობებს და ყველაფერი ეს ამავე დროს სხვა ზალხებისა და ქვეყნებისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას გულისხმობს.

თუ ზეენი ერის ნარსულს გადაეხედავთ, დავინახავთ, რომ იმ დღიდან, რაც

საქართველოში კვართი უფლოსა იქნა მოტანილი და რაც ჩვენმა ხალხმა მოციქულთა ქადაგება მოისმინა და ქრისტეს გზას შეუდგა, უფალმა მას მისცა კვარი, რომელსაც დღესაც ებიძება. თითქოს ეს კვარი განსაკუთრებით მძიმე იყო, მაგრამ იგი ერთადერთია, რომელმაც საქართველო გადაარჩინა, კვლავაც გადაარჩენს და აღდგომამდე და ამაღლებამდე მიიყვანს.

ვინც ფიქრობს ერის მომავალზე, უპირველესად უნდა ფიქროს თავის სულიერ ამაღლებაზე და დაინვოს ერის გამოსწორება თავისი თავის განწმენდით — საკუთარი კერის მტკიონველობით, ღვთის ჭეშმარიტ გზაზე დადგომით. მხოლოდ ამის შემდეგ დაინახავს ადამიანი სინამდვილეში სხვას რა უჭირს და იმასაც მიხვდება, როგორ უშველოს მას.

რა სჭირდება დღეს ქართველ ადამიანს? უპირველეს ყოვლისა — ჭეშმარიტი სარწმუნოება, რამაც გადაგვარჩინა. შეორე — სიფეარული და კეთილ საქმეთა კეთება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართველ კაცში აღიარდნის ეროვნული თვითშეგნება.

რა სჭირდება დღეს საქართველოს? ძალიან ბევრი რამ, თითქმის გველადური სჭირდება საქართველოს, მაგრამ გველაზე მეტად სჭირდება სულიერი ძალა, სულიერი შემოქობა და მადლი — მადლი სულისა ნშიდისა, რომელიც ჩვენ და ჩვენს წინაპრებს ნადენილ ცოდვებს შეგვიინდობს, ჩვენს უძლურებას განკურნავს და ნაკლს ადავსებს.

საქართველო არის მტკიცე ოკახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი; საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრობისთვის თავს ნირავს და სადაც მეზობელი ოკახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელშიბრონობა და მშანაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.

ქართველ ერს შეუძამ ახასიათებდა ორი თვისება: უპირველეს ყოვლისა, ეროვნული თვითშეგნება (ჩვენი წინაპრები ამაგობდნენ იმით, რომ ისინი ქართველები იყვნენ) და შეორე: ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით მართლმადიდებელი ქრისტეანები. აი, ამ ორმა ძალიამ გადაარჩინა საქართველო. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კეთილი და ბოროტი იყო, არის და იქნება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა გრძელდება.

ზოგიერთი სწორედ დემოკრატის სახელით უპირისპირდებამს იმას, რაც განაპირობებს ერის ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობას, უპირისპირდებამს ჩვენს ტრადიციებსა და კულტურას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად ცდილობენ, ქვეყანას გადაუჭრან ის მაკოცხლებელი ფესვები, რომელიც ასაზრობებს ჩვენს ერს და განაპირობებს მის წინსვლას.

რამდენი ადამიანია, რომელსაც არ სწამს, არ იცის, რა არის ღმერთი, რა არის სიფეარული და ცხოველთა მსგავსად ცხოვრობს. ჩვენი მოვალეობაა, რომ მთ არა მარტო ვასწავლოთ, არამედ საკუთარი მაგალითით ვანვენოთ, რა არის ქრისტეანობა. და აი მამის, ღვთისაგან ბოძებული კილდო იქნება ის, რომ საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ეამს.

## 2 აგვისტო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ანგელოზის დღეა



უნზინდესო და უნეგარესო, თქვენ გვაკურთხეთ, რომ ერთმანეთი დაგველოცა. ყოველმა ქართველმა ეს კურთხევა თქვენი დალოცვით უნდა დაიწყოს. შეგვიჩვენეთ, რომ აქამდე დაუავგიანეთ.

ჩვენო პატრიარქო, სატყუამპერობლის ტახტზე თქვენმა დამდგინებელმა, ყოვლადწმიდა სამებამ დაგლოცოთ. მაკხოვარმა, ჩვენთვის კვარცმულმა და ადდგომილმა, გავაძლიეროთ, ყოვლადწმიდა დეთისმშობელმა დაგაფაროთ თავისი კალთა, უფალმა მოგცეთ აბრაამის რწმენა და სტუმართმოყვარეობა, იაკობის კადნიერება ღმერთთან საუბრისა. მოსე ნინასწარმეტყველი

შეგვიჩიოთ ჩვენი ერის ურწმუნოების უდაბნოდან გამოყვანაში. მაკხოვარმა მოგმადლოთ იობის მოთმინება, ნინასწარმეტყველთა ნინასწარბუდევა, დავით მეფის სინანული, სოლომონ მეფის სიბრძნე და შეტლება. წმიდა ნინომ თავისი ვაზის კრით გინანამძღვროთ საქართველოში რწმენის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად. წმიდა გიორგი იფოს თქვენ გვერდით ყველა საქმეში. უფალმა დააფასებინოს თქვენი თავი ქართველ ერს.

მანამ გეცოცხლოთ, სანამ ქართველ ერს არ დააბინავებთ სასუფეველში!

უცნობი ავტორი

2011 წელი



გმადლობ შენ, უფალო,  
რამეთუ ღირს-გვცავე ვოფად ჩვენდა მწვემსმთავრისა,  
მამისა ჩვენისა კათოლიკოს-პატრიარქისა,  
უნზინდვისისა და უნეტარებისა ილია მეორისა!

უფლისმიერი უსაზღვრო ნყალობის სრული განცდა მეუფლება, როდესაც ჩემს თავს გამოუთქმელი მღვლევარებით ვეუბნები: შენ, უღირსს და უბადრუს, უფალმა გარგუნა პატრიარქი — მოუკლებული ლოცვით მადიდებელი ღმრთისა, მლოცველი სრულიად საქართველოსათვის და ვოველთათვის; ქრისტეს მქადაგებელი სიტყვით, საქმით, ზაგით და გალობით, რწმენით განმაძლიერებელი მცირემორწმუნეთა, „თუსთა კოდვათა განცდის“ შემავგონებელი, გონებით განმაშტაკიებელი გულისა და გულით განმატფობელი გონებისა; ღვთის სიტყვის დაზნერგავი უშეკართა, კეთილად შემაუღღებელი რწმენისა და კოდნისა; სათნო და სამართლიანი, ლმობიერი და მიტყვებელი, მშობელ მამასავით მზრუნველი, გულშემატკივარი და მუშე გაჭირვებულთა, სიგვარულით განმატხოველებელი გულდამრეტილთა, სასოებით აღმატსებელი სნეულთა, მანუგეშებელი მგლოვარეთა, განმაქარებელი მტრობისა და დამამვარებელი მშვიდობისა; ივერისა შინა განმაბრწყინვებელი სამეუფეო მღვდლობისა, ქრისტესთან ქართველთა მიმახლოებელი!

გმადლობ შენ, უფალო, ამისთვის!

გვიდღევრძელე ჩვენი ტკბილი პატრიარქი სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ!

დოდო (მარიამ) დლონტი,

2 აგვისტო, 2012 წელი

პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ერთი საოცარი ლექსი ეხება ადამიანის მარტოობას ადამიანთა შორის – მაშინაც კი, როცა იგი ბედნიერებას უნდა განიცდიდეს – და ასე აღწერს ჯილდოს მიღების მომენტს:

„უპირველესი მომანიჭეს ღაფა მუვეთა,  
იმ ღღეს მოუღა თეთრი თოვლი და მარტოობა.  
გაგაღე კარი, თეთრი თოვლი შემოშევეთა,  
მეგზურე კარი, მარტოობამ დაისაღვეურა.“

(„მარტოობა“)

პარადოქსია – აჯილდოებენ ადამიანს, მაგრამ მეფობს არა ის, არამედ მარტოობა.

ამ ლექსში პოეტი არ გვიმხელს, რითაა გამოწვეული ან როგორ უნდა შეივსოს ეს მარტოობა.

ამასთან დაკავშირებით არსებობს შესანიშნავი მოსაზრება ფილოსოფოს ეან პოდსარტრისა – „ადამიანის სულში ღვთის ზომის სიცარიელეა და ყველა ისე ავსებს მას, როგორც შეუქვია“ – ან წმიდა ნიკოლოზ სერბისა: „იმ სიცარიელეს, რომელიც რჩება სულში, რომელშიც არ არის ღმერთი, მიუღი სამყაროც ვერ ამოავსებს.“

ზოგი ადამიანი ცდილობს, შემოქმედები-

თი საქმიანობით შეავსოს ეს სიცარიელე, სხვა მეგობრებსა და მამულებს იძენს, ვინაც წარსულში იქექება, ვინაც მომავლის განჭკურტას ცდილობს; ადამიანები აჯილდოებენ და განადიდებენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც ყველაფერი მთავრდება იმით, რომ მარტოობა მეფობს.

ახე ემართება ყველას, ვინც ცდილობს, ღვთის დაუხმარებლად განკურნოს ჭრილობა სულისა. „ვინც ჩემთან ერთად არ კრებს, იგი განაბნევს“ (მთ.12,30) და რაც ყველაზე საინტერესოა, ასე ხდება არა მხოლოდ საერთო ცხოვრებაში, არამედ ეკლესიაში, თუ ადამიანი ღმერთის გარეშე ავსებს სიცარიელეს. მაგალითად მოვიტან ერთ-ერთი მიტროპოლიტის მოგონებას:

„ომამდე ჩვენს ტაძარში ერთი დიაკონი მსახურობდა, კარგად იცოდა თავისი საქმე, კარგი დიაკონი იყო, მაგრამ ძალიან უნდოდა, მღვდელი გამხდარიყო და მიადღწია კიდევ თავისას, აკურთხეს მღვდლად. სპეციალური სასულიერო განათლება არ ჰქონდა და პირველ საქმედ აღსარებების მიღება დაავალეს, მით უფრო, რომ თვითონაც სურდა. იგი პირველი შემოვიდა საკურთხეველში, პირველმა აიღო მცირე სახარება და ჯვარი და წავიდა აღსარების მისაღებად. უეცრად, ცოტა ხნის შემდეგ, იგი შეცვლილი სახით შემობრუნდა საკურთხეველში, თავის ადგილას დააბრძანა ჯვარი და სახარება, დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო, აქეთ-იქით ირწყოდა და მოთქვამდა: „რომ მცოდნოდა, რომ მცოდნოდა, არახოდეს არ გაეხდებოდი მღვდელი!“



ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რა შეიძლება მოუვიდეს ადამიანს, რომელ-

საც არ აქვს ღვთის მადლი და კურთხევა, თუნდაც იგი ეკლესიის მსახური იყოს.

ზინც რა არის მარტოობა?

ამ კითხვაზე ცალხანა პასუხი არ არსებობს. ჩვენი სული ესწრაფვის მარადიულს, თავის შემოქმედს და დროებითი საგნებითა და მოვლენებით ვერ კმაყოფილდება. შეიძლება ითქვას, რომ მარტოობა არის არა უბრალოდ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, არა მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური უბედურება, არამედ რაღაც სულიერი კომპასი, რომელიც არ იძლევა საშუალებას, მტკიცედ დაემკვიდრდეთ ამ ცოდვილ სამყაროში.

ახლა, როგორ უნდა განიკურნოს ეს ჭრილობა სულისა? მთავარია, შევიმეცნოთ, რომ შემოქმედისათვის განკუთვნილ ადგილს მისი ქმნილება ვერასოდეს დაიკავენს, ამიტომ ვობს, ეს სიკვრიულე ამოცებითა და დროებითი საგნებით კი არ ამოვავსოთ, პირიქით: განვწმინდოთ და ღვთის სამყოფლად მოვაშხალოთ. უფალი მობრძანდება და აკაკუნებს ჩვენი გულის კარზე, მაგრამ უკეთუ ხედავს, რომ იქ სიწმინდე, სიმდაბლე და სიყვარული არ სუფევს, წაგა და „აბა, ესერა, დაეტეოს სახლი თქვენი ოხრად!“ (მთ. 23,38).

პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს გააზრება იმისა, რომ უღმერთოდ ადამიანი ყოველთვის მარტოა, ვინც გინდა იყოს, სადაც გინდა იყოს და ვისთანაც გინდა იყოს, როგორც ღვთის მავდგრებელი სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი დადადებს: „მოვედ ჩემდა პირისპირ, რამეთუ მარტოსული ვარ, ვითარცა ხელაუ!“

შემდეგი ნაბიჯია განცდა იმისა, რომ უფალი შეიძლება მოვიდეს ჩვენთან და მორწილად ვუხადოთ ამ შეხვედრისათვის. ვუბნობთ ის, რაც ძვირფასია ღვთისთვის და არა ადამიანებისთვის. და რა არის ძვირფასი ღვთისთვის? „დაფარული გულის კაცი, თვინიერი და მშვიდი სულის უხრწნელი

მშვენებით, რაც ყველაზე ძვირფასია ღმერთის წინაშე.“ (1 პეტრე, 3,4).

შემდეგ უნდა განიწმინდო ღვთისათვის. „უფალი ჩვენი – ნათელია და ჩვენი სიბნელე მოუღებელია მისთვის. უნდა განვიწმინდოთ ჩვენში არსებული სიბილწისაგან, სხეანიორად ვერ შევალთ ჭეშმარიტებისა და ნათლის სამეფოში“ (არქიმანდრიტი სოფრონ სახაროვი).

ამის შემდეგ მდაბლად და სიყვარულით უნდა ვიქმოვდეთ სიკეთეს ღვთის გულისათვის და არა ადამიანთაგან ქებისა და ჯილდოს მისაღებად, რამეთუ, როგორც ისაკე ასური ამბობს, „ღმერთი აჯილდოებს არა შრომისათვის, არამედ სიმდაბლისათვის, რომელიც იშვება ამ შრომისაგან. და რა ჯილდო და საუნჯე ელოდება ასეთ ადამიანს? – მდაბლად ადამიანს საუნჯე თავის გულში აქვს – ესაა უფალი!“

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ადამიანისთვის არის ძმა, მგეობარი და ხატი ღვთისა, რომ ქრისტეა ჩვენ შორის და რასაც ჩვენ ვუკეთებთ მოყვასს, კარგი იქნება თუ ცუდი, ჯერ ქრისტესთვის ვაკეთებთ.

ეს თხრობა ღმქსით დავიწყე და ღეუქსითვე დავასრულე, მაგრამ ამჯერად ხალხიანიად და იმედით მოწყალე ღვთისა, რომელმაც აღვითქვა: „არა დაგიტყვენ თქვენ ობლად, მოვიდე თქვენდა!“ (ინ. 14,18).

„სასახლედ აქციე სახლი შენი სულისა ქრისტესთვის, სამყოფლად ყოველთა მუფვისა და მაშინ უული აღარ იქნები...“

ხეცოური მოქალაქობის მიმდები, როგორღა იქნები უული იქ, სადაც ბრწყინავს მოწამეთა და მართალთა დასი.

ქრისტე ვისშიც მკვიდრობს, როგორ შეიძლება ითქვას, რომ ის მარტოა ან მარტოსული? ვინც ღმერთთანაა, ის უული აღარაა!“ (სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი, პიში XIII).

*წაღკელი ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)*

დედათა მონასტრის დაარსება სამთავროში

დაეუბრუნდეთ კვლავ სამთავროს.

სამწუხაროდ, ნინო ამილახვარი ვერ მოესწრო სამთავროს დედათა მონასტრის ოფიციალურ დამტკიცებას. მისი გარდაცვალების შემდეგ (1839 წ.) მონასტრის დედაბები არ შეუნდლებიათ ღვაწლი ამ მიმართულებით. ისინი განმსჭვალული იყვნენ იმ სულიერი მუხტით, რომელიც გადასცა წინამძღვარმა ნინომ. მისი საქმის გამგრძელებელი სამთავროს დედათა მონასტრის ყველა წინამძღვარი საოცარი ენერგიით იყო მოხილი და, მიუხედავად უკიდურესი სიმძვინვარებისა, ყოველდღიური გონიერი შრომით მატებდნენ მონასტერს სულიერ და ნივთიერ სიკეთეს.

1843 წლის 27 მარტის მოხსენებით ბარათით, მონასტრის დედეები საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისაგან ითხოვენ სამთავროს მონასტრის ოფიციალურად დამტკიცებას. ბარათს ხელს აწერდა II დედა. მათ შორის უფროსი მონოზონი დარია (სახელი დარიას წინ ფრნხილებში აღნიშნულია ქრისტე), მონოზენები – ქრისტინე, თეკლე ტატიანა და სქემონოზენები – მარიამი, თეკლე, ტასია, ნისიმა, მუღანია, მანუა და მკრინე. ამავე საქმეში აღწერილია, თუ როგორ მოვიდა დაცარიელებულ და მიტოვებულ მონასტერში ნინო ამილახვარი 1820 წელს და როგორ აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება. აქვე გამოთქმული იყო მოსახრება, რომ უპრიანი იქნებოდა სამთავროში ოფიციალურად დაარსებულიყო დედათა მონასტერი. თავდაპირველად აჯობებდა, იგი მოწყობილიყო რუსეთის მე-3 კლასის დედათა მონასტრის მსგავსი საშტატო განრიგით. იღუმენიას დანიშნოდა ხელფასი 120 რუბლი, ხოლო მონასტრის გასამართად საჭირო იქნებოდა ორი ათასი რუბლი და ყოველწლიური სახელფასო ფონდი

მონოზენებისათვის დაახლოებით 400 რუბლის ოდენობით. მათი აზრით, ეს თანხები არ უნდა დასწოლოდა შიშვე ტვირთად საეკლესიო მმართველობას. სამწუხაროდ, ეგზარქოს ევგენის დროს ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

ვერ მოხერხებულა სამონასტრო ნაგებობების სრული შეკეთებაც. 1843 წელს კვლავ უმსჯევლიათ სამთავროს ტაძრის დაზიანებებზე და ღორფინის დაზიანებული სახურავის მაგივრად, თუნუქის სითაფის გამო ეკლესიის თუნუქით გადახურვა გადაუწყვეტიათ. ამასთან, ჩაუთვლიათ, რომ ტაძრის დაზიანებული კედლები ვერ გაუძლებდნენ ღორფინის სახურავის სიმძიმეს.

ამავე წელს მცხეთის იღუმენი იოანე იუწყება, რომ სამთავროს ტაძარში ქვეები და აგურები ცვივა ზემოდან, ამიტომ სინოდალურ კანტორას დროებით აუკრძალავს ღვთისმსახურება სამთავროს ტაძარში და მისი ჩატარება მოუთხოვია მცხეთის „სობოროში," ანუ „სევეტიცხოველში". ამის წინააღმდეგი ყოფილა მცხეთის კანდელაკი მღვდელი იოსებ ბარისოვი, რადგან იმ დროს „სევეტიცხოველში" ხარაზოები მდგარა და სანთლებიდან ხანძრის განჩნის შესაძლებლობის გამო ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარება საშიშად მოუჩნევია. ამ დროს სირთულის დაძლევა მას ამგვარად გადაუწყვეტია: „თუმცა ძრიელ პატარა არს სამთავროს გაღვაენსა შინა წმინდის ნინოს ეკლესია, გარნა შესაძლო არს, ვიდრე დასრულებადმდე მცხეთის სობოროსა აღსრულდეს ყოველივე საღმრთო სამსახური მას ეკლესიასა შინა“.

წმიდა ნინოს ეკლესია მართლაც პატარა იყო მუდმივი ღვთისმსახურებისათვის, ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეკეთებულიყო სამ-

თავროს დაზიანებული ტაძარი. მცხეთის კანდელაკთან ერთად, დეკანოზი იესე ბარისოვი და მღვდელი ზაქარია ბარისოვი უმორჩილესად სთხოვდნენ ვეზარქოს ყვეგნის „წარმოგზავნას არხიტექტორისა უმჯობესად ამი საგნის შეტყობისათვის.“ ამ საქმიან ირკვევა, რომ ტაძარი მართლაც მოუნახულებია სინოდალური კანტორის არქიტექტორ რიპარდს, რომელსაც აღუწერია ტაძარი, მისი დაზიანებები და ვრცელი პატაკი წარმოუდგენია ხარჯთაღრიცხვითურთ. რიპარდის პატაკი მეტად საინტერესოა, რადგან ეს არის სამთავროს ტაძრის ყველაზე ადრინდელი, მეტნაკლებად სრულყოფილი აღწერა.

რიპარდს ტაძარი უნახავს 1843 წლის 7 ივნისს. იგი აღწერას იწყებს სამხრეთი ფასადიდან. კარიბჭის სახურავი ბალახით ყოფილა დაფარული. აქა-იქ შემორჩენილა ღორიფინის სახურავის ქვის ფილები. გამოსაცვლელი ყოფილა ღაფარდინისა და ცოკოლის ქვების დიდი ნაწილი. აღნიშნულია ორი დიდი მოჩუქურთმებული სარკმელი.

აღმოსავლეთი ფასადი – დიდ ფართობზე, ფრონტონის ქვემოთ, ჩამოცვენილი ყოფილა ტაძრის ქვის პერანგის ქვები; გამოსაცვლელი ყოფილა ღაფარდინის და ცოკოლის ქვების ნაწილი; სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კედელს გასწვნიდა ბზარი; ჩრდილოეთ კუთხეში მიშენებული რიყის ქვის კედელი აუცილებლად უნდა მოხსნილიყო.

ჩრდილოეთი ფასადი – მინაშენის სახურავზე ბუნქარი ყოფილა ამოსული; კედლის პერანგის ქვების დიდი ნაწილი დანესტიანებული და გამოსაცვლელი იყო. აღნიშნულია, რომ ჩრდილო ფასადის მოჩუქურთმებული სარკმლები ხარისხით ჩამოგვარდებოდა სამხრეთისას.

დასავლეთი ფასადი – ხუდა ნაწილი, ისევე როგორც სხვა ფასადები, თლილი ქვისა ყოფილა, ქვედა ნაწილი კი – რიყის ქვის, რომელიც უნდა შეცვლილიყო თლილით;

აგურისა და ფლეთილი ქვის მინაშენი, სამი ამოტოლილი კარით, იმდენად უშნო იყო და ისე ამაზინებდა ფასადს, რომ რიპარდს მისი მოხსნა გადაუწყვეტია; ასევე მოსახსნელი ყოფილა რიყის ქვის კედელი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში რომ ეკვროდა ტაძარს; კედლებიდან წვიმის წყლის მოსარიდებლად აუცილებლად მოუხნევია სარინელის მოწყობა დახრით აღმოსავლეთისაკენ.

სახურავი – საჭიროდ ჩაუთვლია ღორფინის დაზიანებული ფილების ჩამოხსნა, ასევე ძველი კორდულების მოხსნა და ახლით შეცვლა; გუმბათის სარკმლის ქვემოთ გამოსაცვლელი ყოფილა აგური, თვით გუმბათზე კი – ახალი ვეჯარი დასადგმელი.

რიპარდის პროფესიონალიზმი და გემოვნება ჩანს მის მიერ ინტერიერის აღწერაში.

ინტერიერი – რიპარდს აუცილებლად მიუხნევია კარიბჭის მოჩუქურთმებული თაღებიდან ნაღესობის მოხსნა, შესასვლელის გაფართოება და მახინჯი ტიხრების მოშლა. გუმბათზე, აღმოსავლეთ მხარეს, გაჩენილი ყოფილა ბზარი, შესაკეთებელი ყოფილა სამკვეთლოს კამარა; აქვე უნდა გაეკეთებინათ საკურთხეველში შესასვლელი ორი საფეხური; გამოეცვალათ საკურთხეველის იატაკი თლილი ფილებით; შეედგასათ საკურთხეველის ნახევარწრიული კამარა; თლილი ქვით მოეწყით ამბიონი.

დაზიანებული სახურავიდან ტაძარში ჩადიოდა წვიმის წყალი, რასაც მთლიანად დაუნესტიანებია ჩრდილოეთი კედელი. რიპარდს გათვალისწინებული ჰქონია ჩრდილო კედლის რიყის ქვის დაზიანებული პერანგის მოხსნა, შემდეგ აგურით ამოეყანა და შეედგას დაზიანებული ყოფილა გუმბათქვეშა სვეტების ქვები; უნდა მოსწორებულიყო იატაკი ერთ დონეზე გასაკეთებელი იყო ახალი ჩარჩოები სარკმლებისათვის, რომლებიც შემდეგ უნდა შემინულიყო.

კედლის მხატვრობა შეიმჩნეოდა საკურთხეველში კამარის ქვემოთ (იგულისხმება – კონქის ქვემოთ) და გუმბათქვეშ, ასევე გუმბათის სარკმლის თაღებზე.

რიპარდს საჭიროდ მიუჩნევია აგრეთვე დანგნტიანებული კედლების შეღესილობის მოღიანად მოხსნა და შემდეგ ხელახლა შეღესვა ცემენტისა და კირის სხნარით, რათა მას შეესრუტა სინესტე და გამოშრადლოყო. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ გაჯით შეღესვის შემთხვევაში კედლები არ გამოშრებოდა. ცემენტით შეღესილი კედლები ორჯერ უნდა შეთეთრებულიყო, გაჯით შეღესილი კი – მხოლოდ ერთხელ. შემდეგ რიპარდს მოცემული აქვს სრული ხარჯთაღრიცხვა. მოღიანი შეკეთება 11491 რუბლი ჯდება. ოსტატებს (ქვის მოღეღები, დურგლები) დღეში ეძლეოდათ ერთი რუბლი, უბრალო მუშებს – 40 კაპიკი.

იმავე წელს შემოადგომანზე და მომდევნო წელს სამთავროს აღდგენის მსურველთათვის ოთხჯერ დანიშნულა საჯარო ვაჭრობა (ტენდერი). სინოდალურ კანტორაში სამჯერ არაერთ გამოცხადებულა, ხოლო მეოთხედ რა მოხდა, ამ საქმეში არ არის აღრიცხული. აღსანიშნავია, რომ ტენდერს აცხადებდა თბილისის სამოქალაქო პოლიცია.

ახალი ვეზარქოსის, იხილორე ნიკოლესკის (1844-1858 წლები) მოხელის შემდეგ კვლავ დადგა საქართველოში დედათა მონასტრის დაარსების საკითხი. როგორც ჩანს, ამ საკითხის გადაწყვეტას ხელი შეუწყო კავკასიის მეფისნაცვლის, ეორინციოვის ახლებურმა კოლონიურმა პოლიტიკამ, რაც გამოიხატებოდა აფგილობროვ თაყადაზნაურობასა და სამღვდლოებასთან ერთგვარ დაახლოებასა და გულისხმიურებაში. ვეზარქოსმა იხილორემ, რუსეთის სინოდის 1845 წლის ბრძანებით, დაიწყო განხილვა, თუ სად შეიძლებოდა საქართველოში დედათა მონასტრის ოფიციალურად დაარსება, რაც სამთავ-

როს სასარგებლოდ გადაწყვედა. ვინაიდან „აქ ძველდროიდანვე არსებობდა ქალთა საზოგადოება და იყო წმიდა ნინოს სამყოფელი“ ამასთან ფიქრობდნენ, რომ უკვე არსებულ შენობათა შეკეთება ძვირი არ დაჯდებოდა. უწინდეს სინოდს ეს გადაწყვეტილება დაუმტკიცებია 1846 წლის 27 მაისს, ოფიციალურად კი სამონასტრო შტატი დაუმტკიცებია საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას 1847 წლის 18 ივნისს, ხოლო მონასტრის შესანახად ყოველწლიურად 900 რუბლი გამოუყენათ. ამ დროისათვის სამთავროს მონასტერში 10 დედა მოღვაწეობდა. წინამძღვარს წელიწადში 150 რუბლი დაუწყეს, ხაზინადარს – 60 რუბლი, ხუთ მონაზონს – 50-50 რუბლი თითოეულს, ხოლო სამ შირნილს – 30-30 რუბლი.

მონასტრის წინამძღვრად ვეზარქოსმა იხილორემ 1846 წლის 19 ნოემბერს დანიშნა სამეგრელოს თაყადის ხიტუ ფადავას ასული – მონაზონი დარია (ამ დროისათვის მონასტერი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული), თუმცა ბერმონაზონი (იერომონაზი) ტარასი სინოდალური კანტორისადმი მიწერილ წერილში დარიას ამის შემდეგაც უხუცეს დას – ენკრატისს (უფროს მონაზონს) უწოდებს. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ტარასიმ სამთავროს დედათა მონასტერს ძველში გლეხ კვახაძის მიერ იჯარით აღებული ზვარი შეურჩია (მცხეთის ტაძრის მფლობელობაში მეოფე ძველის ბაღი სამთავროს მონასტერს გადაეცა 1849 წლის 1 იანვარს). პირველი ოფიციალური საბუთი, რომელსაც დარია ფადავა ხელს აწერს, როგორც წინამძღვარი, აქვე 1847 წლის 7 მარტით არის დათარიღებული. მასში საუბარია სამთავროს მონასტრისათვის ძველის ბაღის გადაცემაზე დაახლოებით ასეთივე ცნობების შემცველია წინამძღვარ დარიასადმი 1847 წლის 12 აგვისტოს მიწერილი წერილი.



სამთავროს ფერისცვალების ტაძრის საკურთხეველის ფრესკა

1847 წლის მონასტრის ფორმულარული სიიდან ვგებულობთ, რომ ღარია ფაღაფა (დაბად. 1805 წ.) სამთავროს მონასტერში მოსულა 1831 წლის 23 თებერვალს „შთაუცვია მას ანაფორა კურთხეითა საბა არქიმანდრიტისათა 1832 წ. ოკტომბერს.“ ხოლო აღკვეცილ არს მონაზონად დაეთ გარეჯის არხიმანდრიტის იოვანეს მიერ 1846 წ. 1 დეკემბერს.“ აქ ერთ გარემოებას უნდა მი-

ვაქციოთ ყურადღება: 1843 წლის ერთ-ერთ საბუთში ღარია უკვე მონაზვნად არის მოხსენიებული. ასევეა 1835 წლის საბუთშიც. მასში აღნიშნულია: „აღკვეცილი მონაზონი ღარია, იმერეთის თავადის ხიტუ ფაღაფეის ასული, სარწმუნოებით არს ბერძენთ ქართველისა, შობითგან არს ღა (31) წლისა, აღსარებას იტყვის და წმინდა საიდუმლოს მიიღებს ოთხსაუ მარხვაში ყოველს წელი-

წადს, იცის ქართულსა ენასა ზედა საღმრთო წერილი, კითხვა, ვალობა და წერა, სამართალსა ქვეშე და შტრაფ გარდახდევინებულ არა ოდეს არ ყოფილა, შე მოსიღ არს იგი სამთავროს დღვათ მონასტერსა მა (41) ექსარხოხად ყოფილის ჟდ უსამღვდელოესის მიტროპოლიტის საბას მიერ ბრძანებითა განსვენებულის ექსარხოხად ყოფილის ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის მოსესითა ჩელგ (1833) წელსა ოქტომბერის ბ (2) დღესა. რა ცა ვაჩვენე. ხელს ვაწერ. მონაზონი დარია, თავადის ხიტუ ფაღავეს ასული.“

როგორც ვხედავთ, ამ ორ საბუთში არეულია ანაფორით შემოსვის და მონაზვნად კურთხევის ფაქტები. ასეთივე შეუსაბამობაა მონაზონ ქრისტიან ოქროპირიძის შემთხვევაშიც. ამგვარად, როგორც ჩანს, ანაფორით შემოსვის შემდეგ, დღევნა ხშირ შემთხვევაში, უკვე მონაზვნად მოიხსენიებოდნენ, თუმცა ჯერ მონაზვნად ნაკურთხი არ იყვნენ.

სამთავროს დღვათაა მონასტრის არქივში დაცულია ზეპირი გადმოცემა დარია ფაღავეს სამთავროში მოსვლის შესახებ: „ოდიშის თავადის ასულს მცხეთიდან სამეგრელოში ჩასული ვაჭრისგან სმენია საქართველოს საპატრიარქოსა და ქართლის საეპისკოპოსოს გაუქმება და ტაძრის უპატრონოდ დარჩენა. მაშინ თავადის ერთადერთ ასულს, დეთის განგებით უყოყმანოდ დაუტოვებია შშობლები, შეიდი ძმა და ვაჟურად გადაცემული, როგორც მოხამსახურე, მღვთი გამოსყოლია ვაჭარს მცხეთაში.“

სამთავროს მონასტრის ეზოში, თავდაპირველად სათონესთან დასახლებულა ერთხელ, არაგვისპირს გასულს, დარიას ბებრის ციხესთან სამი ცხენოსანი შეუნიშნავს, ძმები შეუცნენია მათში და არაგვში შეუცურავს. ძმები დახდევნებია. წელიდან გასული ქალი მღვდელს შეუფარება. მღვდელსა და მის მეუღლეს სიხმ-

რისეული ჩვენებით სცნობიათ ეს ამბავი და ქალი გულმოდგინედ გადაუმალაუთ.“ ამ ზეპირი გადმოცემის ძირითადი აზრი ამოკვეთილია დარია ფაღავეს საფლავის ქვაზე მთავარი ტაძრის საკურთხეველის წინ, ჩრდილო ნაწილში.

ახლად დამტკიცებული მონასტრის ხაზინადრად დაუნიშნავთ მონაზონი ქრისტიანა, საეკლესიო ყმის, მცხეთის „სობოროს“ მონაზონის ბესო ოქროპირიძის ასული, დაბადებული 1799 წელს სოფელ დოესში. სამთავროში მოსულა 1825 წლის 1 ოქტომბერს. 1826 წელს შიომღვიმეში შეუმოსავს ნოხა ბერმონაზონ ათანასეს, ხოლო „ბრძანებითა მისის მადალ ყდ უსამღვდელოესობის ისიდორე არხიეპისკოპოსისა საქართველოს ექსარხოხისათა აღკვეცილ არს მონაზონად არხიმანდრიტის იოვანესაგან – 1846 წ. 2 დეკემბერს.“ თუმცა მონაზვნად იგი გაცილებით ადრე – 1835 წელსაც მოიხსენიებოდა. მონასტრის წინამძღვრის, დარიას საფლავის ქვაზე ქრისტიანა იხსენიება, როგორც ენკრატისი და დარიას ხულიერი და. დარიას გარდაცვალების შემდეგ იგი მონასტრის გამგებელიც იყო 1855 წელს. უკანასკნელი საბუთი კი, რომელშიც იგი ხაზინადრად მოიხსენიება, 1856 წლით არის დათარიღებული. ქრისტიანს მონასტერი დაუტოვებია თავისი ნებით 1860 წელს, თუმცა, შესაძლოა, გარდაცვალებამდე ისევე დაბრუნდა მონასტერში, რადგანაც დაკრძალულია სამთავროს მთავარი ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წინ 1872 წელს. საფლავის ქვაზე აღნიშნულია, რომ იგი აგ (ანუ 63) წლისა გარდაცვლილა, რაც არ უნდა იყოს მართალი, რადგან უფრო ადრეულ რამდენიმე საბუთში მისი დაბადების თარიღად 1799 წელია მითითებული, ხოლო 63 წლისა რომ გარდაცვლილიყო, მაშინ მისი დაბადების თარიღი 1809 წელი იქნებოდა.



ამ დროისათვის (1847 წ.) მონასტრის დეკანი ყოფილან

წინამძღვარი

დარია – თავადის ხიტუ ფაღავას ასული, დაბადებული 1805 წელს.

ხაზინადარი

ქრისტინა – ბესო ოქროპირიძის ასული, დაბადებული 1799 წელს.

მონაზვნები:

ანუსია (ანასტასია) – აზნაურ სვიმონ კობიევის ასული, დაბადებული 1802/8 წელს.

უღუშვიდა – თავად დავით გუდუვალიშვილის ასული, დაბადებული 1823 წელს.

მინადორა (მართა) – აზნაურ ავთანდილ ფურცელაძის ასული, დაბადებული 1800/4 წელს.

მეტრადორა (თეკლა) – აზნაურ ავთანდილ ფურცელაძის ასული, დაბადებული 1806 წელს.

ნისიმა – დეკანოზ იოსებ ციციშვილის ასული, დაბადებული 1816 წელს.

მორჩილები:

მელანია – თავად უთურთ ხიმშიევის ასული, დაბადებული 1818 წელს.

მანრა – მღვდელ ესტატე ხარატიევის ასული, დაბადებული 1819 წელს.

ნინა – აზნაურ დიმიტრი ქარაიევის ასული, დაბადებული 1830 წელს.

1847 წლის ერთ-ერთ საბუთში მანაბლის ასულ მელანიას თხოვნა სამთავროში მონაზვნად მიღების შესახებ, როგორც ეხედავთ, იგი არ ჩანს ახლად დამტკიცებული მონასტრის ფორმულარულ სიაში. მისი სახელი არც შემდეგ გვხვდება ამიტომ ძნელი სათქმელია, მოღვაწეობდა თუ არა იგი სამთავროში.

1847 წელს მონასტრის წინამძღვარი დარია საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აწვდის ცნობას მონასტერში მყოფი 10 მოწაფე გოგონას შესახებ, რომლებიც სწავლობდნენ საღმრთო წერილს და ხელსაჭემს ეს გოგონები იყვნენ მარიამი – გიორგი ამილახერის ასული; ტასია – გიორგი ამილახერის ასული; ვარვარა – დეკანოზის ასული; დარია – ესტატი თუმანიშვილის ასული; თინათინი – ზურაბ გუდუვალიშვილის ასული; ნინა – გიორგი გუდუვალიშვილის ასული; ქეთევანი – გიორგი ყიფიანის ასული; ვარვარა – მღვდელ ზაქარია ბარისოვის ასული; ეკატერინე – მღვდელ იოსებ კოშპირიძის ასუ-

ლი; ეფემია – გიორგი ბარისოვის ასული. იმავე წელს მონასტერში დაუწყიათ წინამძღვრის სახლის, 9 სენაკისა და სატრაპეზოს მშენებლობა. ამ საქმეს თან ერთვის შემოსავალ-გასაღების რეგული, თუ ვის რამდენი მიეცა და რა საქმისათვის. სულ დახარჯულა 2912 რუბლი.

ამგეარად, 1847 წელს მონასტერი ოფიციალურად დამტკიცდა და წინამძღვარი დარია ფაღავა და მცხეთის „სობორის“ დეკანოზი იოსებ ბარისოვი შეუდგნენ მონასტრის აღდგენის საქმეს.

1848 წელს შეიქმნა სამთავროს აღდგენის კომიტეტი, რომელსაც იოსებ ბარისოვი ნაუდგა ხათავეში, გასაკეთებელი კი ბევრი რამ იყო. საჭირო გახდა სპეციალისტის მონახვა, რათა მას ზუსტად დაეღვინა ტაძრისა და სხვა ნაგებობების დაზიანებები და განესაზღვრა მონასტრის შეკეთების სტრატეგია.

როგორც აღვნიშნეთ, სამთავრო კარგად იყო ცნობილი სინოდალური კანტორის არქიტექტორ რიპარდისათვის. თქმვა მან ჯერ

82.101

კიდევ 1843 წელს შეისწავლა სამთავროს ტაძარი, აღწერა ყველა დაზიანება და წარმოადგინა ვრცელი პატაკი ხარჯთაღრიცხვითურთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ტაძარი არ შეკეთებულა (სამთავროს ანაზონი 1831 წელს შეუხრულდებოდა. სამწუხაროდ, ამ ანაზონის მოძიება ვერ მოხერხდა). რიპარდი სათავეში წაუდგა სამთავროს აღდგენის ტექნიკურ მხარეს, ხოლო სამუშაოთა წარმოება დაეწავლა ბერძენ უსტაბაშს (ხელისნათა ამქრის უფროსს) ქრისტეფორე ივანეს ძე ნუფეტოვს. ამ პერიოდის რამდენიმე სექტანთან საქმეში დეტალურად არის განხილული ეს სამშენებლო საქმიანობა.

ერთ-ერთ საქმეში აღნიშნულია, რომ მოუპირკეთებიათ ტაძრის კედლები და გამოუცვლიათ ლავგარდანი. სამწუხაროდ, 1850 წლის სექტემბერში გარდაცვლილა დეკანოზი იოსებ ბარისოვი და მისი საქმე მღვდელ დიმიტრი მაკაროვს გაუგრძელდება, 1851 წლის 2 აპრილიდან კი ამ საქმეს მცხეთის კანდელაკი ზაქარია ბარისოვი ჩახდგომია სათავეში. მისი ერთ-ერთი ანგარიში ამგვარია:

„ამაუ მფგომარის აპრილის 2 რიცხვიდან ვიდრე 22 რიცხვამდე იყვნენ ქვის მიღებლნი ოსტატნი 229, რომელთაცა თაღეს და დააწყეს სამთავროს დედათ მონასტრის სობოროს ეკლესიაზედ, აღმოსავლეთის მხარეს ძირს ცოკოლი ზ (7) საეწი და ნახევარი – საეწი და ნახევარი ჩრდილოეთის ფანჯრის ქუით, სიგანე საეწი ნახევარი, ოთხი საეწი სიგრძე და საეწი და სამი ჩეტურტი (მეოთხედი), სიმაღლე, ოთხი საეწი ჩეტურტი ნაკლები კარნიზი, ჩრდილოეთის მხარეს, მეორე კედელი ფრანტონისა და ამაუ რიცხვში არა მოტანილ არს ახალნი ქვანი, რომლისთვისაცა ედ უმორიიღესად მოახსენებს კომიტეტი ესე თქუენს მღაღდ ედ უსამღვდელოესობას“.

იმავ, 1851 წელს არქიტექტორი რიპარ-

დი წერს პატაკს შესრულებული სამუშაოს შესახებ. აქ დეტალურად არის აღწერილი შენობის აღმოსავლეთი და ჩრდილო ფასადების ახალი ქვებითა და ლავგარდნით შემოსვა. ეს საქმე უწარმოებია ვინმე სიმონოვს, რომელსაც გადაუხადეს 1513 რუბლი. შემდეგ მოცემულია 1854 წლის სამუშაოების ანგარიში.

მომდევნო საქმეში აღწერილია 1849-1854 წლებში ჩატარებული საქმიანობა. ამ უზარმაზარ საქმეში (328 ფურცელი) ზოგი რამ გამოვრებულია, მაგრამ ეხედებით ახალ ცნობებსაც. 1851 წელს დარია ფაღავა უკვე იღუმენიის ხარისხში მოიხსენიება. იქვე ნათქვამია, რომ საქმეთა წარმოება გაუგრძელდება ქრისტეფორე იორდანოვს. მას დაუშთავრებია ტაძრის ჩრდილო და სამხრეთი მინაშენების გადახურვა ლორფინის სახურავით. 1851 წელსვე არქიტექტორ რიპარდს შეუდგენია მონასტრის გაღაენის შესაკეთებელი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. იქვე მოცემულია მის მიერ შედგენილი ტაძრის ინტერიერის აღწერა.

იგი წერს, რომ ეკლესიის გუმბათქვეშა სვეტები და თაღები თლილი ქვით ყოფილა გადაყვანილი, ისევე, როგორც სამხრეთის კედელი კამბართურთ, ხოლო ჩრდილო კედელი და ორსართულიანი სამკვეთლო და სადიაკვნე თლილი და ფლეთილი ქვის ნარევით აყვანილი. დასავლეთის კედელი მთლიანად უხეში, ღორღის ქვით ყოფილა აწყობილი. გუმბათის ყელი და კამარა მხოლოდ აგურით გადაყვანილი.

რიპარდი აღნიშნავს, რომ ეკლესიის ინტერიერი, სვეტებისა და თაღების ჩათვლით, მთლიანად შედგენილი ყოფილა, დროთა განმავლობაში კი ნაღესობის 2/3 ჩამოცვენილა. მას გადაუწვევრია, მთლიანად მოეხსნათ შედგენილობა და ხელახლა შეეღუსათ მხოლოდ უხეში წყობით ნაგები კედლები, ხოლო თლილი ქვის პერანგი ხე-



სნა ინტერიერის ძველი შეღებვილობა, ოღონდ არ შეხებოდა კედლის მხატვრობას. მასვე უნდა მოეწყო ნახევარწრიულად წინ წამოწეული ამბიონი თლილი ქვის ფილებით საკურთხეველის აღსავლის კარის წინ, დაეგო ქვის იატაკი საკურთხეველში და სამკეთილო-სადიაკონოში, ხოლო ტაძრის დარბაზში გაესწორებინა ძველი იატაკი. შეეღება ტაძრის ის კედლები, რომლებიც უხეში წყობით იყო აყვანილი და ხელი არ ეხლო თლილი ქვის წყობისათვის, კერძოდ, შეეღება ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები, სამკეთილო, სადიაკონო და მათ ზემოთ მე-2 სართულის სათავსოები, დასავლეთი მკლავის კამარა და გუმბათის შიდა სივრცე (კედლის მხატვრობის ხელშეუხებლად). გაეკეთებინა მუხის ორი ორალათიანი

კარი სამხრეთი და დასავლეთი შესახედლებებისათვის. გამოეცვალა 21 სარკმლის ჩარჩო, გუმბათის სარკმლების ჩათვლით, ახალი, მუხის ხის ჩარჩოებით. შეეღება ზეთის საღებავით სარკმელთა ჩარჩოები და ორი კარი. გარდა ამისა, მას უნდა შეეკეთებინა და გამოესწორებინა დაზიანებები სამხრეთის კარიბჭეში.

შემდეგ საქმეში (1851 წ.) აღწერილია არქიტექტორ რიპარდის პროექტი. ამ პროექტით განსაზღვრული ყოფილა სამთავროს ძველი გალავნის ახლით შეცვლა და გალავნის დაზიანებული ნაწილების შეკეთება.

საპროექტო ხარჯთაღრიცხვით ამ სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 2214 რუბლს. საქართველოს ეგზარქოს იხიდორეს უფლება მიეცა, ეს თანხა საეკლესიო შემოსავლიდან გადაეხადა. რიპარდის პროექტი განუხილავს თბილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიის არქიტექტორ ბელოს (ბელოს მიერ იყო დაპროექტებული ზედა ბეთლემის ეკლესიაზე ასახველი ე.წ. ბეთლემის კბეები თბილისში) და შუეტანია შესწორებები. ამ სამუშაოთა წარმოება დაუვალეობა ბერძენი ოსტატის მურად ბასტიონოვისათვის, რომელსაც ხელშეკრულება დაუდევს ეგზარქოსის კანცელარიასთან. მას უვალდებულება შემდეგი სამუშაოები:

უნდა აეგო 4 1/2 არშინის სიმაღლე გალავნის კედელი, სისქით 1 1/4 არშინი ძირში და ერთი არშინი ზემოთ. კედელი უნდა დაესრულებინა აგურის ორფერდა ქანობით;

ძველი გალავნის კარგად შემორჩენილი ნაწილები უნდა შეეკეთებინა და ახალი გალავნის სიმაღლემდე აეყვანა;



ღუმენია დარბაზი (ფაფავა) სოფლაგის წარწერა

სენაკები და სატრაპეზო მიდგმული ყოფილა დასავლეთის გაღაფანზე. გაღაფანის ეს კედელი უნდა აემადლებინა ერთი არშინით;

ხელახლა უნდა ავეო სამხრეთი გაღაფანის კედელი საძირკულითურთ, რომელზეც ყოფილა მიდგმული კათალიკოსის სასახლე (შეცდომია, უნდა ეწეროს მთავარეპისკოპოსის სასახლე);

რკინის ტიშკარი უნდა მოეწყო აღმოსავლეთის მხრიდან, ხოლო დასავლეთიდან – რკინისავე კუტიკარი.

ამასთან, იგი ვაღდებულებას იღებდა, რომ თუ მისი შესრულებული სამუშაო შემკეთეს არ მოეწონებოდა, იგი ამ სამუშაოს თავისი ხარჯით ხელახლა გააკეთებდა (1 არშინი=71,12 სმ; 1 საეწენი=213,36 სმ).

აქვე მოცემულია რამდენიმე პატაკი უკვე ჩატარებულ სამუშაოებზე. ირკვევა, რომ აპრილ-ივნისში ახალი გაღაფანის მშენებლობაზე დაკავებული ყოფილა 161 ოსტატი და 132 შავი მუშა. იგულისხმება სამუშაო კაც-დღე ამ პატაკს ხელს აწერენ იღუმენია დარია, მღვდელი დიმიტრი მაკაროვი, ბერმონაზონი ტარასი და დიაკვანი ვესტატი მრევლევი.

სამთავროს მონასტრის შენობებს რომ მუდმივად სჭირდებოდა შეკეთება, დასტურდება წინამძღვარ დარიას წერილით (1852 წ.) – მას ვეზარქოს ისიდორესგან მოუთხოვია 450 რუბლი სენაკების სიძველისაგან დამპალი კოჭების გამოსაცვლელად, რაც მოუღია კიდევ.

1852 წელსვე წინამძღვარ დარიას ოსტატ თადეოზ ვართანოვისათვის ამ სენაკების შეკეთება შეუკვეთია და მასთან სამშენებლო კონტრაქტი დაუდია.

წინამძღვარ დარია ფაღავას მონასტრის შენობების აღდგენის გარდა მისი ტერიტორიის დაცვაზეც უზრუნია. მას უარი განუცხადებია, როდესაც მოუთხოვიათ

სამრეკლოს მიმდებარე მიწაზე სომხური სასაფლაოს გახსნა (1851 წ.).

დარია ფაღავას მონასტერში წყალსადენიც გაუყვანია. იგი გულისტყვილით აღნიშნავდა, რომ სამთავროში წყალი არ პქონიათ. წყალსადენის გაყვანაში შემწეობა თამარ ბატონიშვილმა ითავა. წყალსადენი 1851 წელს გაუყვანიათ იქვე მახლობლად აღმოსვნილი წყაროდან. თამარ იულიონის ასულ ბატონიშვილს (ერეკლე II-ის შეილიშვილს) მონასტერზე ზრუნვა შემდეგაც გაუგრძელებია.

წყალსადენის გამართულობა შეუმოწმებია არქიტექტორ რიპარდს. ამავე საქმეში დაკულია ცნობა საქართველოში მზის დაბნელების შესახებ 1851 წელს 16 იულისს საღამოს 6 საათზე. მზის დაბნელება, რასაც ვეზარქოს ისიდორეს დაგვლებით მცხეთის ბერმონაზონი ტარასი აკვირდებოდა, სამ წუთს გაგრძელებულა. სამწუხაროდ, ღრუბლიანობის გამო, ეს საინტერესო ასტრონომიული მოვლენა კარგად არ გამოჩენილა.

1853 წლის დასაწყისში გარდაიცვალა დარია ფაღავა. მან მხოლოდ ექვსი წელი გაატარა მონასტრის წინამძღვრად, თუმცა ამ მოკლე დროშიც შეძლო ბევრი სასიკეთო საქმე გაეკეთებინა სამთავროსათვის და, რაც უმთავრესია, მისი ძალისხმევით მოხდა სამთავროს დედათა მონასტრის დამტკიცება ოფიციალურ მონასტრად. დარია ატარებდა სამთავროს პირველი იღუმენის წოდებას. მისი საფლავის ქვაზე წარწერილია: — განვიდა ხორცთა ამათგან სასურველსა თვისადმი იანვარს 5-სა 1853-სა წელსა შობითგან თვისით 45 წლისა...“ (როგორც ჩანს, დარიას წლოვანებაში აქ ოდნავი ცდომილებაა, რადგან უფრო ადრინდელ საბუთებში იგი 1805 წელს არის დაბადებული).

*ვია ჭანიშვილი*

ერთი წელი გაგრძელდა მამა გაბრიელის მშვიდობიანი ცხოვრება – სამთავროს მონასტერში და სემინარიაში მოძღვრად მყოფობა. 1972 წლის 7 აპრილს გარდაიცვალა პატრიარქი ფერე II და საეკლესიო კრებამ საქართველოს ახალ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია უწმინდესი და უნეტარესი დავით V (დევედარიანი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უწმინდესი ფერე II თავისი პატრიარქობის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დიდად მეარეულობდა და პატივს მიაგებდა მამა გაბრიელს. მისი გარდაცვალების შემდგომ, მამა გაბრიელი სამთავროს მონასტრისა და სემინარიის მოძღვრობიდან გაათავისუფლეს, ასევე სემინარიის განმგებლობიდან განათავისუფლებული იქნა მიტროპოლიტი ილია (დედეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).

შენებულად ვუვლით გვერდს კონკრეტულ მიზეზებზე საუბარს, რომელთა გამოც მამა გაბრიელი კვალად დათხოვნილ იქნა მღვდელმსახურებისაგან, რადგან ეს მონათხრობი ახალბედასთვის და უმეტარისთვის არ იქცევს გულსის სიწმინდის – ამ საღმრთო წიადის მიმართ დაბრკოლების მიზეზად ან მასზე არაჯეროვანი აზრის წარმომქმნედად. ვიტყვით მხოლოდ ზოგადად: კომუნისტური რეჟიმის – ამ საზარელი მმართველობის პერიოდში მამა გაბრიელს, ამ სოფელში, მოქალაქეობრივი მშვიდი ცხოვრება ვერ ექნებოდა; ეინაიდან მან არა მხოლოდ ერთგვის ამხილა, არამედ მთელი თავისი ცხოვრებით დაუფარავად ამხელდა არსებული წყობილების ბოროტებასა და ურჯულოებას. მას დევნიდა საბჭოთა რეჟიმი და, აქედან გამომდინარე (ნუ განვიკითხავთ ნურავის), მასთან შეგობრობა და სიახლოვე ხაშიში იყო, მისებრ სიმართლის აღიარება

ვევლას არ შეეძლო. თავისი დაუფარავი სიმართლით და ამ უღმერთო წყობილებასთან გონიერი თანაარსებობის უარყოფით, მამა გაბრიელი აღარ იყო ამ სოფლის კაცი. ამის გამო მის წინააღმდეგ მუდმივად იხლართებოდა ბოროტი ინტრიგები და ცრუ ბრალდებები. ამის მიზეზი ხანდახან იმ სახულიერო პირთა სულმდაბლობა იყო, რომლებიც მამა გაბრიელის შეუღლამაზებელი სიმართლისა და მადღმოსილების მიმართ შურით და რისხვით იესებოდნენ. მრავალს აწუხებდა შეუდრეკელი სიმართლით მისი მსახურება ქრისტესადმი და მისი ის სულისმიერი სიმაღლე, რომლითაც ის უარს ამბობდა ამ სოფელთან – ფორმალისმთან, სიცრუესთან, ანგარებასთან, – გონიერ თანაარსებობაზე, რაც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს ცოდვას, ცხონებადია, მაგრამ არ არის უსაღმრთოესი. იყო ასევე მისდამი წრფელი გაუგებრობებიც.

1972 წლიდან 1990 წლამდე – სამთავროში დამკვიდრებამდე – მამა გაბრიელმა განსაკუთრებულ დეაწლად იტვირთა დანგრეული თუ კომუნისტური რეჟიმის გამო დახურული და მიტოვებული ეკლესია-მონასტრების მოლოცვა:

– სადაც რა ეკლესია-მონასტერი ვიცოდი ან გაიცავებდი, თუ შეძლება მქონდა, ყველგან მივდიოდი და უსისხლო მსხვერპლს ეწირავდი, რათა უფალს უღმერთობაში მყოფი ხეში ერი შეეწკალებინა და ის დანგრეული თუ კომუნისტების გამო მიტოვებული და დახურული ეკლესია-მონასტრები კვალად ღმრთისმსახურებისათვის განმეახლებინა. თითქმის მთელი საქართველო მოვიარე ასე, დიდი იყო ბოროტის ბრძოლა, მაგრამ ღმრთის წვალობა და მადლი – უმეტესი.

მამა გაბრიელი ასეთი მოლოცვების

დროს, თუ ის განპირობებული იყო შორი მანძილით, რთული გეოგრაფიული მდებარეობით ან რაიმე საფრთხით, ყოველთვის მარტო მიდიოდა. ხოლო ჩვეულ პირობებში მუდამ თან ახლდა რამდენიმე მორწმუნე, რომელთაც კარგად უწყობდნენ მამა გაბრიელის სიწმინდე და ღმრთობის სახსურებაში — მუდვითნობით თუ სხვა რამ სახით შეეწყობდნენ მას. მონღოლთა ნინომ (ფეიქრიშვილი) ზოგი რამ გვიამბო იმ დღეთა შესახებ: „მაშინ ახალგაზრდა, გათხოვილი ქალი ეყავი; და მიუხედავად ოჯახისა, რომელიც ქალს ბევრ საქმეს აკისრებს და უჩენს, მაინც გამოეწახავდი დროს და საშუალებას, როცა გაეიგებდი, რომ მამა გაბრიელი მორწმუნე კრებულთან ერთად რომელიმე ეკლესია-მონასტრის მოსალოცად მიდიოდა. თვითონაც ძალიან უხაროდა, რადგან მუდვითნობა კარგად ეციოდ. ღოცვას, მწუხრ-ცისკარს დამე ჩაეატარებდით, ხოლო წირვას ძალზე აღრიანად იწყებდა, ოდნე რომ შეთუნებოდა. ეს უჩეტესად იმის გამო იყო, რომ მამა გაბრიელი სიფრთხილეს იჩენდა. რაც შეიძლება, ცდილობდა, რომ შემთხვევით ვინმეს არ შეეშინებინა და ამის გამო რაიმე ავს არ გადაეყროდით. მაშინ ყველაფერი სარწმუნოებრივი ძალზე საშინო იყო. ვინმე, ურწმუნო ან პარტიული, შემთხვევით თავზე რომ დაგვედგომოდა, შეიძლება, მილიციისათვის შეეტყობინებინა და მრავალი სატიკვარი გაეჭვინოდა. მამა გაბრიელი პირველ რიგში ჩვენსე ზრუნავდა და ამის წყალობით არც ერთხელ ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდივართ. მახსოვს, ერთხელ, ასე დამისთვეით ნაღოცები ერთ-ერთი მიტოვებული მონასტრიდან ებრუნებოდით. სოფელში მოხრდილ „პირჯას“ მიუვახლოვდით. უსაქმურმა ახალგაზრდებმა როდესაც დაგვიჩახეს, თავხედური ხორხოცი ატეხეს:

— ვა, მღვდელი?

— რა მღვდელი, ბიჭო, ნახე, მშვენიერი

გოგოები არიან!

ძველი, მშვედი საყდრიდან მობრუნებულებს იმდროინდელი ცხოვრების სინამდვილემ თავისი მახინჯი სახე დაგვანახა. მიუხედავად, რომ აქ ასე ჩვენი გუნები-სად ვერ გაეივლიდით. „პირჯახე“ მსხდომი ლახლანდარები ფეხზე წამოდგნენ, გოგოები ძალზე შეეშინდით, ჩვენი ჯგუფის ბიჭებიც აღუდგნენ. აი, ამ დროს, მამა გაბრიელმა, რომელიც ძალზე სერიოზულად მიდიოდა ჩვენ წინ, უცებ ხელები გაშალა, რაღაც წაიმღერა, ცეკვასავით დაიწყო და ასე ხუმრობა-ხუმრობით გაგვარიდა იმ ადგილს. მამა გაბრიელისგან ამის ქმნა იყო და იმ ბიჭებმა სიცილი ატეხეს: ე, ბიჭო, გიფი ყოფილაო! — ჩვენ სულ დაეავიწყდით.

მოგვანს რომ გაეცილდით, მამა გაბრიელმა ისევ თავისებური სერიოზულობით გააგრძელა გზა, თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს. ეს ამბავი არასოდეს ამოვა ჩემი მეხსიერებიდან. ეს იყო მისი ის განსაკუთრებული სიბრძნე და სიმდაბლე, რომლითაც იგი ცხოვრობდა ადამიანთა წინაშე და რომლითაც მან იქ ყველანი უწინებლად გადაგვარჩინა — გოგოები რაიმე შეურაცხყოფას და ბიჭები — ჩხუბსა და აყალმაყალს.

ასევე მაგონდება მამა გაბრიელის დავითგარეჯში ყოფნის ამბავი. ხშირად უყვარდა იქ ჩასვლა და თუვობით დარჩენა. მაშინ იქ არაფერ ცხოვრობდა და სრულიად მარტოლმარტო იყო. ამის გამო ძალიან განვიცდიდით, რას შევამდა ან როგორ იცხოვრებდა. შეძლებისდაგვარად კი ვაკითხავდით და საჭმელი ჩაგეტქონდა, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდებოდა. ასევე ხშირად უყვარდა მარტყოფის დეთაების მონასტერში ასვლა და წირვის დაყენება. ერთხელ მითხრა:

— შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ აქ მალე ქვა-ქვაზე არ დარჩება, მაგრამ ცდუბა! დრო მოვა, აქ ბრწყინვალე მონასტერი გაიმართება!

როდესაც მიტოვებულ თუ დანგრეულ ეკლესია-მონასტერში წირვას დაეყენებდით, გვეტყოდა:

— გწამდეთ, რომ აქ ჩვენ პაერს ფუჭად არ ვარხვეთ. მართალია, დღეს ბევრი ეკლესია-მონასტერი დანგრეული და დახურულია, მაგრამ წმიდა ანგელოზი, რომელიც დადგენილია აქ ღმრთის განჩინებით, ხედავს და ისმენს რა ჩვენს გულმოდგინებასა და სავედრებელს, სიხარულით ააქვს ჩვენი ლოცვა ღმრთთან და შესმენილს ჰყოფს. ხედავ, დღეს ჩვენ რა დღეში ვართ, ხანდახან თოვლსა და ჭუპაში, ცვლოფანგადაფარებულთ, გვიწვევს წირვის დაყენება, მაგრამ მოვესწრებით იმას, რომ ეს ეკლესია-მონასტრები აღდგება და ღმრთისმსახურება განახლდებოდეს!“ (ეს იმ დროს წარმოუდგენელი იყო).

როდესაც მამა გაბრიელი ეკლესია-მონასტრების მოსალოცად მიდიოდა, მამის სრული სამონოხუნო შესამოსლით იმოსებოდა. ერთხელ ასე — სრულად სამონოხუნოდ შემოსილი — დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი მიტოვებული მონასტრის მოსალოცად წავიდა. მამა გაბრიელი გააკეა იმ სოფლის აუტობუსს, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ამ მონასტერთან. აუტობუსი დანიშნულების ადგილზე მიხელისას სოფლის ცენტრში გაჩერებულა, სადაც სხვა მგზავრებთან ერთად მამა გაბრიელიც ნამოსულა. ამ დროს სოფლის ცენტრში, აუტობუსის გაჩერებაზე მდგარა იმ სოფლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელსაც მამა გაბრიელის — სამღვდლო პირის დანახვაზე რისხვა მორვეა და ყვრილი დაუწვია, თითქოს მამა გაბრიელი ქურდი იყო. მამა გაბრიელი მიხედა, რომ ეს პოროტის ბრძოლა იყო, მაგრამ რა უნდა ექნა? მიმადულიყო, ეს იქ შეოფთ სამრედელო პირზე ამ ცილისწამებას დააჯერებდა. მღვდელიც ციაც მოხულა და მამა გაბრიელი სასწრაფოდ, როგორც დამაშავე, სოფლის განუ-

ოფილებაში წაიყვანეს. მამა გაბრიელმა მილიციის თანამშრომლებს აუხსნა, რომ ეს ცილისწამება იყო, რათა ამით სასულიერო პირის სახელი გაღანძვლიყო იქ მრავლად მყოფი ხალხის წინაშე. ამას თავად მილიციის თანამშრომლებიც მიხედნენ, როდესაც განხრეკისას მამა გაბრიელს საუკულო ვერაფერი ვერ აღმოუჩინეს, გარდა რამდენიმე ნიუთისა, რომლებიც არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

მილიციის თანამშრომლებმა კეთილსინდისიერება გამოიჩინეს და მამა გაბრიელი ბოდიშის მოხდით უპირობოდ გაათავისუფლეს. ამ უსიამოვნო ამბის დასრულების შემდეგ მამა გაბრიელმა მის მიერ განზრახულ მონასტერში წახელა გადაიფიქრა და ცხაკაიას — დღევანდელ სენაკის რაიონში წავიდა, ღირსი მამა ალექსი შუშანიას საგანეში. იქ დიდად გახარებით მისი მიხვლა და რამდენიმე კვირაც დარჩენილა.

ღირსი მამა ალექსის საგანეში მამა გაბრიელის ყოფნას ამ საგანის მორჩილები, ნინო და ზოია შუშანიები, ასე იფონებენ:

„ჩვენთან იგი სამი თვე დარჩა. ადავლენდა ლოცვებს, ნათლადა ბავშვებს. იყო შემთხვევა, როდესაც, ურწმუნო მთავრობის უსასტიკესი რეჟიმის გამო მოუნათლადად შემორჩენილ უფროსებსაც ნათლადა. მამა გაბრიელს ისეთი ქადაგება ჰქონდა, რომ მკვდარს გააცოცხლებდა. მუდმივად ვინღოდა გესმინა და მის გვერდით ყოფილიყავი.“

საცხოვრებლად სასიმინდე აირჩია. არქიმანდრიტმა მეღქისხეცემა (მიქაეა) გააფრთხილა:

— იქ მორიელები იცის და არ დაგებინონ! მაგრამ მამა გაბრიელს არ ეშინოდა, მას ვერაფერი ვნებდა, ანგელოზები იცავდნენ. სასიმინდე ისე მოაწყო, თვალს ვერ მოწყვეტდი. ხატებით გააშუენა და ისეთი მადლიანი გახადა, გაგაოცებდა. იქიდან მუდმივად ამოდიოდა საქმეების სურნელი. ეკლესიის ნიუთები ისე დააპრიალა, ხალხი



რომ მოდიოდა, კითხულობდნენ, ახალი ხომ არ იყო დეფო. ერთხელ ასეთი რამ გვიამბო:

– იყო ერთი ბერი, რომელთანაც ქურდი მივიდა და ღობით მოჰპარა. ქურდს ღობეზე ღობიოს ტომრის გადათრევა გაუჭირდა. ბერმა შეხედა, რომ წყალობდა და დასახმარებლად მივიდა. ქურდს შეეშინდა და გაიქცა. კეთილ ბერს დარჩა თავისი ღობით. ამისთვის თქვა:


– რაც უნდა ცუდს გიკეთებდეს ადამიანი, დათმინებ, ბოროტებას ნუ ჩაიდენ, ღვთის განგების იმედი არასოდეს დაჰკარგო, და უფალი კეთილი საქმისთვის კეთილსდ მოგაგებს და ყოველთვის შენთან იქნება.“

დაუდალავი და დაუსარელი იყო სიკეთის ქმნაში და ყველას ამას ასწავლიდა:

– რაც შეგიძლიათ, ბერი სიკეთე ჰქმნით ქრისტეს წინაშე, რათა ამ ჰვეყნიდან გასულნი, თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ.

აქ გავიხსენებთ ერთ სათნო ამბავს, რომელიც მამა გაბრიელის სიკეთისადმი მოშურნეობას წარმოგვიჩენს. ერთ დღეს მამა გაბრიელი თბილისის რომელიღაც ძველი უბნის ქუჩაზე მიდიოდა, საფხული იყო, უცებ სარდაფის სარკმლიდან საშინელი სიმურაღის სუნი ეცა. ჯერ გზის გაგრძელება იფიქრა, მაგრამ შემდგომ გადაიფიქრა, რადგან იტყვა – აქ უპატრონო მიცვალებული ხომ არ არისო. ქუჩიდან სახლის ეზოში შევიდა, ეს გ. წ. იტალიური ეზოს ტიპის სახლი იყო. ეზოში შესულმა მეზობლები დაინახა და თავისი ეჭვი გაუზიარა. მეზობლებმა მორცხვად აუხსნეს, რომ იმ ნახევარსარდაფში ერთი უპატრონო (უცხო ეროვნების, დანახელებისაგან თავს შეეიკავებო), ღოგინადნავარდნილი მოხუცი კაცი ცხოვრობდა და ბუნებრივ მითხოვნილებებს ღოგინშივე იკმაყოფილებდა. თან თავი გაიმართლეს – შეიღებოდა ჰეავს და ისინი არ უფლიან, ჩვენ რა ექნათ, ჩვენი საქმე გვაქვს და თან მაგ სიმურაღეში ვერ შევალთო.

მისედა მამა გაბრიელი, რომ არავენ



წმიდა მამა გაბრიელი

ჰყავდა იმ საწყალს პატრონი, თავად გადაწყვიტა, მოველო მისთვის. მეზობლებს დროებით სახლში შესვლა და ფანჯრების მიხურვა სთხოვა, რათა ოთახი გაენიაგებინა და იქიდან გამოსულ მურად სუნს ისინი არ შეეწუხებინა. შესულა მამა გაბრიელი, ყველა ფანჯარა სასწრაფოდ გაუღია და ოთახი გაუნიაგებია, რათა ის დაგუბებული სიმურაღე გასულიყო და შიგნით გაჩერებაც შესაძლებელი ყოფილიყო. საწყალ მოხუცს თურმე მატლები მთელს ტანზე ეხვია. წავიდა მაღაზიაში და იქიდან დიდი ტომრები მოიტანა. მთელი მონძები, რაც იმ მოხუცს ეცვა, საბანი და ქვეშაგებელი ტომრებში მოათავსა და ქუჩაში მდგარ ნაგვის ურნებში გადააყარა – ამის შედეგად პაერი სიმურაღისგან გასუფთავებუ

ლა - სახელდახელოდ იქვე რაღაც ჩერები მოიძია და დროებით მათში გაუხვევია მოხუცი, ვიდრე სახლიდან საცვლებსა და კარგ საბან-ღეობს მოუტანდა.

მეორე დღეს დილაადრიანად მივიდა მამა გაბრიელი სნეულ მოხუცთან და თან მორწმუნე ქალბატონი, აწ გარდაცვლილი სქემიდუმენია იოანა (სიხარულიძე) იახლა, რთა ოთახის დალაგებაში დახმარებოდა. ჯერ მამა გაბრიელმა მოხუცი კარგად დაბანა, ახალი საცვლები ჩააცვა და სახლიდან მოტანილ სუფთა ქვეშაგებში ჩააწინა. ამის შემდეგ დედა იოანას სთხოვა, იქაურობის კარგად დალაგებაში დახმარებოდა. ეს რომ მეზობლებს დაუნახავთ, შერცხენიათ, ზოგს ტაშტი გამოუტანია, ზოგს იატაკის საწმენდი ჯოხი და ცოცხი უთხოვებია და თავდაც მიუღიათ მონაწილეობა ამის შემდეგ ამ მოხუცს დიდხანს აღარ უცოცხლია და ძალევე გარდაცვლილა. იმ მცირე ხანს მამა გაბრიელი ყოველდღიურ მეთვალყურეობას უწევდა მარტო მყოფ მოხუცს და როცა გარდაცვლიდა, მეზობლების დახმარებით ადამიანური პატივით დაუკრძალავს.

1972 წლიდან, ვიდრე 1990 წლამდე, სამთავროში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, მამა გაბრიელი ძირითადად თავის კულინა-კადესხიაში ცხოვრობდა. ასევე დროგამოშვებით ჩადიოდა სამთავროს მონასტერში და გარკვეული, დიდი თუ მცირე დროით, რჩებოდა იქ.

1986 წლიდან მამა გაბრიელმა სამთავროში, ე. წ. კაკლოვანში, ძალზე მცირე ზომის ფიცრულში დაიწყო ცხოვრება. ამ ფიცრულს მონასტერი ერთ დროს საქათმედ იყენებდა, ხოლო შემდგომ, როდესაც ქათმები აღარ მჯავდათ, უფუნქციოდ იყო დარჩენილი. ამ პერიოდში მამა გაბრიელი იშვიათად, სამი დღით ან ერთი კვირით დასტოვებდა და შემდგომ ისევ უბრუნდებოდა თავის ფიცრულ საცხოვრისს. ცხოვრების ეს წინი, ერთდროულად გამომხატველი იყო მისი

სიმდაბლისა და ასკეტიზმისა: სიმდაბლესა, რადგან ძნელია, ადამიანმა ამ სახით, ამ ზომამდე დაიმდაბლო თავი და ასკეტიზმისა, რადგან იცხოვრო ისეთ მცირე სიერცეში, სადაც ფეხზე გამართვა შეუძლებელია და იტანდე ზამთარში მცხეთის ნესტიან ყინვებს, ყოველგვარი გათბობის გარეშე, როდესაც შენს საცხოვრისს 2-3-სანტიმეტრიანი ღრიტოები აქვს - ეს მართლაც არის მაღალი მონოზენური ასკეტიზმი; მაგრამ ეს ყოველივე, სამწუხაროდ, მამა გაბრიელის თანამედროვეთა ყურადღების მიღმა რჩებოდა და ამის შემხედვარე ირონიითა და დაცინვით ამბობდნენ:

- რა უნდა იქ? რა ძალა ადგია? ალბათ ეს მართლა სულელია და არა ხალოსი!

უცნაურია ამ კითხვათა რიგი, რადგან სალოსობა სრულიად გამოორიცხავს საზოგადოებაში მიღებულ ე. წ. აკადემიური სახის ქცევას და ცხოვრებას. შეიძლება სალოსობა ჩვენთვის მრავალი უცნაური ფორმით განიერცოს და გამოვლინდეს, რადგან სულელად საგონებელი იყოს ჩვენთვის. მამა გაბრიელი ბრძანებდა: ჭეშმარიტი სალოსი არასდროს არ ეხება დოგმატებსა და რჯულს, ამის უფლება არა აქვს არც ზეცით ანგელოზს და არც ქვეყნით კაცს. თვით მოციქული პავლე ბრძანებს: „არამედ დადაცათუ ჩვენ, გინა თუ ანგელოსი ზეცით გახარებდეს თქვენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარე თქვენ, შეჩვენებულ იყავნ! ვითარცა წინასწარ ესთქუ, და აწ კვალად ვირვეი: უკეთუ ვინმე გახარებდეს თქვენ მისა გარეშე რომელი-იგი მიიღეთ, შეჩვენებულ იყავნ!“ (გალ. 1, 8-9).

ხოლო შემდგომი კითხვები: „რა უნდა იქ?“ არ არის ძნელად მისახვედრი; რადგან ვითარცა ქრისტეს ჭეშმარიტი მოღვაწე, როგორც სხვა ღირსი მოღვაწეები, ისიც ისწრაფოდა და მოსწრაფე იყო, რომ შეეძინა სულის ამამღლებელი სიმდაბლე, რისთვისაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე მრავალი

სახით დაუღალავად იღვწოდა. სასაცილოდ და საჭილიკოდ იხდიდა თავს, რათა ყოველი თესვლი შვეაობრობისა, სიმაღლისა და ამპარტაგნებისა ძირითურთ აღმოეფერებოდა. „რა ძალა ადგია!“ – ამ თავისუფალ იძულებას ღვთისმოყვარეთა სულში ჩვენი ვნებადი და დაცემული ბუნების მდგომარეობა განაპირობებს. ეს თავისუფალი იძულება, წმიდათა ორიათასწლოვანი, ღმრთის წინაშე თავის შემეცნებიდან და გამოცდილებიდან მოდის. შემეცნებიდან, რომელიც ღმერთთან მისახლებლად და ერთობისათვის, წინააღმდეგობრივი ვნებადი სხეულის განწმენდის აუცილებლობას უცხადებდა. ამ ვნებადი სხეულის განწმენდას და სულიერ თვისებათა აღორძინება-გააღვირვებას ქრისტეს მხნე მოღვაწეებში ასკეტობაში პქვია. ამ ფარღალა ფიცრულში ცხოვრება და საშინელი ყინვების დათმუნა იყო ნაწილი მისი იმ მაღალი ასკეტური მოღვაწეობისა, რომლითაც იგი ყრმობიდან შეეყარებულა ქრისტეთი უვნებლობის სახობში ამაღლდა. თანე სინელი უვნებლობაზე ბრძანებს: „უვნებლობისათვის გრძლად რაი ვინ თქვას, რამეთუ არღარა იგი ცხოველ არს, არამედ ცხოველ არს ქრისტე მის შორის“ (თ. 29; მ. 22).

ამ პერიოდში, როდესაც მამა გაბრიელი სამთავროს მონასტერში და კაკლოვანში, მცირე ფიცრულში ცხოვრობდა, იშვიათად, ერთი ან ორი დამით თუ გადავიდოდა და დარჩებოდა კოშკში განთავსებულ მის კუთვნილ სენაკში. ერთხელ, 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც მამა გაბრიელი კოშკის სენაკში მყოფობდა, ანგელოზი გამოეცხადა, აუწყა სვეტიცხოვლის ძელის ნაწილის შესახებ და ზუსტად მიაჩვენა ის ადგილიც, სადაც ეს წმინდა ნაწილი ინახებოდა. მამა გაბრიელმა იმ ხილვის შემდგომ მონასტრის დედაბუნთან ერთად ეს წმინდა ნაწილი იმ საიდუმლო ადგილიდან კრძალულებით გამოასვენა.

ეს საიდუმლო შესანახი ადგილი წმიდა

მოციქულთა სწორი მეფე მირიანისა და წმიდა მოციქულთა სწორი დედოფალი ნანას საფლავთა ზევით დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა კველში, გარედან ჩვეულებრივი თლილი ქვებით იყო დაფარული. ხოლო ამ ქვების გამოღების შემდეგ, კველში მცირე ნიში იყო, რომელიც წმიდა ნაწილის საიდუმლო სამაღაჯ წარმოადგენდა. ეს – სვეტიცხოვლის ძელის წმინდა ნაწილი, დღეს სამთავროს მონასტრის ფერისცვალების ტაძარშია დაცული.

მამა გაბრიელი სამთავროში დამკვიდრებამდე დროდადრო განსაკუთრებულ მოღვაწეობას მიმართავდა: მოიმარავებდა 20-ლიტრიანი შუშის ჭურჭლებით წყალს და ორცხოზილას და ორი-სამი თვით, ხან უფრო მეტი დროითაც, თავის კელია-კელესიაში საიკეტებოდა. ამ დროს ოჯახის წევრები მის შეწუხებას ვერ ბედავდნენ და თავადაც არავის იღებდა. მხოლოდ ღმერთმა უწყის ამ დროს მისი სულიერი ღვაწლი.

სასოებას, საღმრთოსა და ჭეშმარიტს, აქვს არა სათუო, არამედ ყოველადგანცხადებული გამოვლინება – დაუფრომელი მოღვაწეობა, შუქცევადი სრბა აღთქმულთა საღმრთოთა ნიჭთა მიმართ. სასოება, არის ხულის მადლისმიერი სათნოება რწმენისა-გან ნამიზეხარი, რომელიც სიცოცხლეა რწმენისა და ძალი მისი წარმართებისა. საღმრთო სასოება მუშაკი არის რწმენისა, ძალი მოღვაწეობისა და მიმახლებელი ღმერთთან.

ამ მადლისმიერი სათნოებითი ძალით იყო აღძრული მამა გაბრიელი, როდესაც ის ასე სასტიკი და შუღრკველი მოღვაწეობით იღვწოდა, რათა ქრისტე, რომელიც ყრმობითგან იწამა, ეპოვა და მისგან აღთქმულ, საღმრთო ერთობის წყალობას მიმთხვეოდა.

*არქიმანდრიტი კირიონის (ონიანი) წიგნიდან: „ღმრთი მამა გაბრიელი, აღმსარებელი და საღვთის, ცხოვრება და მოღვაწეობა“*

„ჩემს საქართველოს ათონზე ვერ გავევლი!“

ერთ დღეს მამა გაბრიელმა ბრძანა: „დღეს საბერძნეთი დაიწიქებს!“ მართლაც, ცოტა ხანში მას საბერძნეთიდან ჩამოსული ბერძენი ბერები და რამდენიმე მორწმუნე ესტუმრა. მამა გაბრიელმა დიდი სიხარულით მიიღო ისინი და დალოცა.

მღვდელმონაზონი ანდრია ტარიადისი ამის შესახებ იხსენებს: „ღვთის შეწვევით, მხედა წილად ბედნიერება, ათონის მთაზე წავსულიყავი, სადაც იქაურ ბერებს დაეუახლოვდი. ათონის მთიდან რომ

დამთავრების შემდეგ მათი ჩატანილი საჩუქრებიდან (ხატები, სანთლები, სუვენირები) მამა გაბრიელმა ერთი ხატი ამოირჩია და ერთ-ერთ სტუმარს გადასცა. მან გაკვირვებით მკითხა, ეს ხატები ჩვენ მამა გაბრიელს ჩამოუტანეთ საჩუქრად და უკან გეიბრუნებსო? მამა გაბრიელმა გაიღიმა და თქვა:

- კო, ამ ხატს შენ გჩუქნი! - ღვთის მტყვევლი დიდხანს იდგა გაოგნებული, ხელთ წმინდა სტილიანოსის ხატი ეპურა და გაკვირვებით ხან მას, ხან მამა გაბრიელს შესცქეროდა, მას ხომ სახელად სტილიანოსი ერქვა. შემდეგ დაუხოჭა და სთხოვა:

- ჩვენთან ჩამოდი ათონზე, ასეთი დიდი ბერის ადგილი სწორედ იქ არის!

- შე ჩემს ათონზე ვარ! ჩემს საქართველოს ათონში ვერ გავევლი! - უპასუხა მამა გაბრიელმა.

სვეტიცხოველში მყოფ ერთ სასულიერო პირს უიმედობის განც



ღირსი გაბრიელ ბერი

დაებრუნდი, ჩემთან ერთად წმინდა ათონის მთის ქსეროპოტამის მონასტრის იღუმენი და მასთან სამი მორწმუნე ჩამოვიდა. მათ შორის იყო ერთი ღვთისმეტყველი, რომელიც ყოველდღიურ ქადაგებას უძღვებოდა რადიოს ეთერში. მამა გაბრიელთან შეხვედრის დროს იღუმენმა მირჩია, მიხვან მიმუღო პასუხი ჩემი ბერად შედგომის შესახებ.

- მამა გაბრიელ, ბურობა მინდა და რას მირჩევთ? - კითხე.

- რახან ბურობა გინდა, შენ უკვე ხარ ბერი!

იღუმენი კმაყოფილი დარჩა. საუბრის

და დაეუფლა, ქვეყნის ასეთი დაცემისგან მოვლენილი განსაცდელის გამო. ღვთისმშობელს მიმართა თავის გულში: „ღვთისმშობელო, მიგიტოვებია საქართველო, შენი წილხედომილი ქვეყანა. ამ მიწაზე ერთი წმინდა ბერიც კი ვერ ენახე!“ ამ ფიქრებით სამთავროს მონასტერს მიადგა, მამა გაბრიელმა მკაცრად ჩახედა თვალებში და განრისხებულმა მიმართა: „როგორ გაიფიქრე! განა ცისა და ზეცის დედოფალი თავის წილხედურ ივერიას მიტოვებს?“ ამის გამგონე სასულიერო პირი უცებ მუხლმოდრეკით დაეცა მამა გაბრიელის წინ და შენდობა ითხოვა.

- ძმაო, მე კი ნუ მოხოვ შენდობას, წადი

და ღვთისმშობელს სთხოვე, შეგინდოს! – დაუუვავა, მოუფერა და გულში ჩაიკრა.

სასულიერო პირთა სათნოებაზე ასეთი რამ თქვა:

– ბერს თუ მონასტრიდან აგდებენ, უნდა ითხოვოს, რომ არ გააგდონ, ხოლო თუ გააგდებენ, უნდა ვეფდროს, რომ დააბრუნონ და თუ არ დააბრუნებენ, უნდა ილოცოს, რომ დააბრუნდეს. მონასტერი წმინდა ბერის გარეშე საერთო საცხოვრებელ ბინას ჰგავს. კარგ ბერს ქალივით ჩეილი გული უნდა ჰქონდეს. აქ თუ უფალმა ჯოჯოხეთი არ გამოგაცდევინა, ისე სასუფეველში როგორ მოხვდები?!



ერთ ზამთარს ძლიერი ყინვები იდგა, ღუღუღებდა მთხოვეს, სასტუმრო ოთახში გადადიო. მეც გადაყვდი. ვისვენებდი. უცებ დუმონების მთელი ჯგუფი დამაღგა თავზე. ათზე მეტნი იყვნენ. აი, ეს არის ჩვენი მტერიო, ერთმანეთს ეუხებოდნენ. ცდილობდნენ, ბრჭყალებით თვალები ამოეჩინქნათ ჩემთვის. არც ხატები, არც ჯვარი არ მქონდა, მხოლოდ ღოცვით ვიგერიებდი. წამოვდექი და ჩემს კელიაში წამოვედი. წამომყენენ, მაგრამ ვერ მეხებოდნენ. კელიაში შევედი, ვუღარ შემომყენენ, – აქ ღვთის მადლი მიცავს და ვერ შემოდიან.



სხვისი მონათხრობი:

ჯერ სახარებაც არ მქონდა ბოლომდე წაკითხული, როდესაც ბორბოტს სურდა ჩემი წამოშორება კელესიისგან. სიონის

ტაძარში მივედიოდი, ტრანსპორტში ახალგაზრდა ქალის გვერდით აღმოვინდი, სახარებას კითხულობდა. მე შორწმუნე მეგონა და გამოველაპარაკე – მაშინ სექტანტების შესახებ არაფერი გამეგო – მთელი გზა ცდილობდა, დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ ქრისტე ღმერთი არ იყო. არც ეკლესიაში სიარული არ იყო საჭირო. ბიბლიიდან ისეთი მაგალითები მოჰყავდა, რასაც ბოლომდე არ მიკითხავდა – ამას შემდგომში მივხვდი, როცა თავად წაეკითხე საღვთო წერილი. ამ საუბარმა ძალიან ცუდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე. თითქოს ჩემი სული ორად გაიხლინა, დებრეხიაში ჩავვარდი. უხალისოდ შევედი ტაძარში, დიდი მეტანია გაეაკეთე, თავი ქვის იატაკს დავადე, აღარც ღოცვა მესმოდა. თუ წინათ მიხაროდა ღოცვაზე დასწრება, ახლა პირიქით. ვგრძობდი, როგორ ვშორდებოდი ეკლესიას, მხოლოდ იმ ქალის სიტყვები მესმოდა – ქრისტე ღმერთი არ არისო. ამდენ ხალხში ვიდაცამ თავზე ხელი დამადო, წამომამყენა და ძალიან მტკივედ მითხრა: „ესო ქრისტე არ ირწმუნეს ღმერთად ებრაელებმა და იმიტომ წარწყმდნენ! ქრისტეა ჭეშმარიტი ღმერთი! გწამდეს ჩემი! – თან დააყოლა: – ახლა ხომ გაიგე?!“ და წავიდა. ამ ბედნიერი შეხვედრის შემდეგ თითქოს სულიერად ახლად დავიბადე, ბედნიერებისგან თითქოს ფრთებიც შემეხსა, ეს იყო მეფდრეთით აღდგომა. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მამა გაბრიელთან.



– რა უცნაურია, თქვენთან მოსული ადამიანები სრულიად იცვლებიან, რა ძალი მოქმედებს, რატომ ხდება ასე?



მამა გაბრიელმა მიუგო:

— უფალმა მომცა იმის უნარი, რომ რაც ცუდია ადამიანის გონებაში, გამოვიტანო, ხოლო რაც სასუფევლისათვის არის საჭირო, ის შევიტანო. როგორ შეიძლება, აქ მოსულ ადამიანს ვუთხრა — ესა და ეს დაგეშართება, ან ესა და ეს ვიცი შენს შესახებ? მე ვიცი ღვთისაგან, ვის რა დაეშართება, მაგრამ ვუთხრა? განა შეიძლება ადამიანს ვუთხრა, რომ შენ ხეალ მოკვდები? იქნებ ვერ გაუძღლოს და დაიღუპოს? მე შემიძლია კაცს ვუთხრა: „შეიღო, განსაცდელი გელოდება!“ — გაეაფრთხილო. იმისი ძალაც მომცა ღმერთმა, რომ განსაცდელისგან გამოვიყვანო. ადამიანი დაუღალავად უნდა ისწრაფოდეს ღვთისკენ, ერისკაცი იქნება თუ ბერი. ბოლომდე განა ვინ მიადევნებს სრულყოფილებას, მაგრამ კაცი ამ მცდელობით ცხონდება. ბერს ბერისა მოუთხოვება და ერისკაცს — ერისა. აი, მე ღვთის მორჩილებაში ვარ, აბა, გაბედე და შეეწინააღმდეგე უფალს რაიმეში, იცი, რა ძნელია? თონა რომ ვურჩა, ვუშაპმა იმიტომ ჩაეღაპა. ყველაზე დიდი მასწავლებელი და სულიერი საზრდო სახარებაა. სახარებაზე დიდი წიგნი არ დაწერილა არც ცათა შინა, არც ქვეყანასა ზედა. ყველაზე დიდი მოძღვარი უფალი იესო ქრისტეა, სახარებაში წერია ყველაფერი.



ხშირად ვისხვდით გარეთ, სენაკის წინ. პერიოდულად კოშკის სახურავიდან აგურები ცვიოდა. მოგესხენებოთ, მამა გაბრიელის სენაკი ორსართულიანი ძველი კოშკის პირველ სართულზე მდებარეობს. პერიოდულად დაზიანებული სახურავიდან აგურები ცვიოდა. გულში გავიფიქრე, აქ რომ უხივარ, საშიშია, თავზე არ დამეც-

ეს, ცოტა უნდა მოვერიდო აქ საირუღეს, თავს შევიკავებ-მეთქი. მამა გაბრიელი საღვთისობდა და იმ წუთას თვლემდა თითქოს უცებ ჩემს ფიქრზე გამოეჩიზნა და მიპასუხა: შენ ცოტა აქეთ მოიწიე, მანდ რომ ზიხარ, არ დაიღუპო. „მაინც მოვერიდები,“ — გავიფიქრე ისევ გულში.

მოხდა ისე, რომ მეორე დღეს ჩავედი სამთავროში, მაგრამ მამა გაბრიელთან არ ავედი. ტაძარს შემოვუარე და შევხედი მამა ნიკოლოზს, რომელიც ისეთ ადგილას იდგა, საიდანაც კოშკი კარგად ჩანდა (მერე მამა გაბრიელი იმ ადგილას დაასაფლავეს). ესაუბრობოთ. დავინახე, ვიღაც კოშკის სხევენზეა ასული და შრომობს, აგურებს ყრის დაბლა. ვხედავ მხოლოდ მის მკლავს და ვგრძნობ, რომ ეს ვიღაც გულნატკენი და გაბრაზებულია, მკლავის მოძრაობაში ჩანს განწყობა. მივხედი, რომ ეს უთუოდ მამა გაბრიელი იქნებოდა. მამა ნიკოლოზს ვკითხე:

— რა ხდება, ვინ არის სხვენში ასული?  
— ძალიან განიცადა, თურმე ვიღაც ბრკოდდება ამ აგურების გამო, ძირს რომ ვარდება და აღარ მიდის მასთან, გულდაწყვეტილია ძალიან, — მიპასუხა.

ამ საუბარში მამა გაბრიელმა შეწყვიტა მუშაობა. მისი მზერა პირდაპირ ჩემკენ იყო მომართული. მას ყველაფერი კარგად ესმოდა შორიდან. მამა ნიკოლოზმა ისევ განაგრძო:

— იმ აგურებს, რომლებიც ყანაელებს, ყრის და ასუფთავენს სხვენს. ასე მოთხრა, ამ აგურებმა როგორ უნდა დააბრკოლოს და ჩემთან ნუთუ ამის გამო აღარ უნდა მოვიდეს? — გულდაწყვეტილი უთქვამს.

მაშინვე მივხედი, რომ ჩემი გულისათვის აკეთებდა ამას. ძალიან დიდ სინანულში ჩავეარდი, დღემდე მაწუხებს, მრცხუვნია, რამდენჯერ შევაწუხე და დავწყვიტე გული მამა გაბრიელს ჩემი უსიყვარულო-

ბით. თითქოს გულდაწყვეტილი მეურნე-  
ბოდა, შორიდან: „აგურების ცვენამ დაგა-  
ბრკოლა, რომ მიმატოვე?“



დღა მძიმედ დასწულდა, თითქმის  
ყოველდღე ტაძარში დადიოდი მოსალო-  
ცად. არავინ იცოდა ამის შესახებ, სახად-  
მყოფოში დღვას ვეუბნებოდი, ცოტა ხნით  
დაგტოვებ და მალე დაგბრუნდები-მეთქი.  
მოვიდოდი ტაძარში მოსალოცად და უკან  
გბრუნდებოდი. ზოგჯერ მგობართან ან  
ლექციაზე წასვლას მოვიმიზეზებდი, ეკლეს-  
იაში შევიდოდი და ღმერთს ჩემი სი-  
ტყვებით, გულით, რწმენით ვთხოვდი, დღვა  
გადაურჩინა მძიმე სენისაგან. ვიცოდი, რომ  
ღმერთი იყო და შეუბღო, სასწაული მოეხ-  
დინა. ახვ გრძელდებოდა რამდენიმე თვის  
მანძილზე. ერთ საღამოს ჩემი და დაბრუნ-  
და სახლში მამა გაბრიელისგან, როგორც  
კი კარი გაუღღ, იმ წამსვე მითხრა: მამა  
გაბრიელმა შენთან დამაბარა, გადაეცი  
შენს დას, ნუ დაიღალა უფალი, ყველაფერი  
კარგად იქნებაო.

ცხოვრებაში პირველად საშინელი შიში  
ვიგრძენი, აი, მაშინ მიუხედი, მოკრძალები-  
თა და სახოებით კი არ ვთხოვდი უფალს,  
არამედ კატეგორიულად, ამპარტაუნულად  
მოვითხოვდი, „შენ ღმერთო ხარ, ყოვლის-  
შემძლე და უნდა შემისრულო, იმიტომ,  
რომ შენ ეს შეგიძლია!“ მადლობა მამა  
გაბრიელს, მისი ეს სიტყვები უფრო დიდი  
სასწაული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან  
უფალი სწორად დამანახა, სწორად შემაც-  
ნობინა. დღემდე, როცა ვიხსენებ ამ ამ-  
ბაქს, ვკვიდობ, დაუუფიქრდე ჩემს თავს  
ლოცვისას, როგორ ვთხოვ უფალს, როგორ  
ვლოცულობ. როცა ჩემი დის ეს მოგონე-  
ბა მახსენდება, ყოველთვის ვიხსენებ მამა

გაბრიელის ამ სიტყვებს: „შენში ღმერთი  
გაივლის, როგორც „ტოკი“ (რუსულიდან –  
დენი) და გაჩერდება!“

თავად მამა გაბრიელს უამრავი და-  
ვადებდა, სწულებდა აწუხებდა, მაგრამ არასო-  
დეს დაიწივლებდა. ცოდვებისაგან ვიწმინ-  
დებოდი, იტყოდა და თუ ვინმეს დააჯერებდა,  
უხაროდა კიდევ. იტყოდა ხოლმე:

– ცოდვები მაწუხებს, დავ, სხვა არაფერი.  
მინდოდა, ჩემი ქართველი ერისთვის რამე  
დამეწერა, მაგრამ საკუთარი ცოდვების  
გარდა არაფერი მახსოვს. ჭუჭყი, ტალახი,  
მტვერი, ნაგავი რომ ყრია ქუჩაში, ისიც კი  
ჩემზე უკეთესია, – თან ტიროდა. ხშირად  
იმეორებდა ამას, სულ ახსოვდა, რომ დიდი  
ცოდვილი იყო – რა საერთო მაქვს წმინ-  
დანებთანო.



მადლიან ხშირად ამბობდა ჩვენთან მამა  
გაბრიელი:

– ბოლო ეამს ადამიანებს სიმდაბლე,  
სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს!  
სიყვარული ცხოველია, რომელიც კეთი-  
ლი საქმის გარეშე კვდება. ერთმანეთის  
სიყვარული გადაგვარჩენს. ათი-თხუთმეტი  
კაცი, მეტი არა, არც ნაკლები, ერთად უნდა  
გავიდეს ტყეში საცხოვრებლად, ასეთ  
შემთხვევაში სულწმინდა შეგინახავთ.  
იცოდე, ნახევარი ჯოჯოხეთი დედამი-  
წაზეა ამოსული. დღეები შემოკლდებიან,  
დრო სწრაფად გავა. არ შეშინდეთ, უფალი  
შეგინახავთ. ისეთი დრო მოდის, თუ ქალი  
ხარ, კაცი უნდა გახდე და თუ კაცი ხარ,  
გმირი უნდა იყო. ის (ანტიქრისტე) მთელ  
ქვეყანაზე გამუფდება და ტახტს დაიდგამს.  
საქართველო დეთისმშობლის წილხვედრი  
ქვეყანაა, აქ ის ტახტს ვერ დაიდგამს,  
მხოლოდ მცირედი დევნა იქნება. ივერიის

ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დატოვებს ათონის მთას, საქართველოში ჩამობრძანდება და დაიცავს საქართველოს — ეს მოხდება ანტიქრისტეს მოსვლასა და გამეფებამდე. ანტიქრისტე დაბადებულია, ჯერ ბავშვია და რა დღეშია, რომ გაიზრდება, მერე რაღას იზამს!

მე ვკითხვ:

— როგორ იქნება, როგორც ფაშისმის დროს?

— დაახლოებით, ოღონდ უფრო უარესი. მსოფლიოზე იბატონებს, მთელი ძალაუფლება მის ხელში გადავა, ადამიანებს მისი ნომრით დაბეჭდავენ. — მიმითითა ადგილიც ხელზე — ძალიან მძიმე დრო მოდის, აღარაფის შეეძლება ამის გარეშე ამქვეყნიური ცხოვრება. ყველა ადამიანს აღწერენ თავიანთ სივსში. ნებისმიერ პროდუქტს დაადებენ თავიანთ ნიშანს. დაფიქრდი, რა საშინელ განსაცდელს უშობადებს ადამიანებს. რა ქნას ფეხმძიმე ქალმა, ან ხუთი შვილის დედამ, როგორ გამოკვებოს შვილები, როგორ იყიდოს წამალი. დიდი დაფიქრება და სიფრთხილე გმართებთ.

— მამა გაბრიელ, თვითონ თუ იცის, რომ ანტიქრისტეა?

— მან კი იცის, შუნ თუ მიხვდები?! გახსოვდეს, ანტიქრისტე ჯერ კარებზე აკაკუნებს, როდესაც აკაკუნებენ, რა უნდა ქნა? კარი უნდა გააღო. კარს რომ გააღებ და სტუმარს დაინახავ, რა უნდა უთხრა? — მობრძანდით! მოდა, ბრძანებას ელოდებიან, ბრძანებას! ბრძანება გაიცემა და მოუა! ახლა უკვე კარი ღიაა, აღარ აკაკუნებს, კარში დგას და ბრძანებას ელოდება. ქუთუვან, ახლა კარგად ყოფნა დამთავრდა, კარგად ყოფნა აღარ იქნება, შეიძლება, ყველას შეეკარება ვერ შეძლო, მაგრამ რაც შეიძლება, მეტი სიკეთე აკეთე. ანტიქრისტე მოდის და ერთი ენახოთ, მე რას მიზამს!

ჩემთვის სიტყვის შებრუნება არ შეიძლე-

ბა, მე სულიწმინდის ძალით ვლაპარაკობ! — ამ დროს შავი ღრუბლები მოგროვდნენ, მზე დაიმაღა და ცა საავდროდ მოეშადა, — ნუ შემობრუნებთ სიტყვას, ხომ ხედავთ, ამინდზეც კი მოქმედებს. — თქვა მან და თან ღიმილით დაამატა: — მოძღვარი დღეში ერთხელ ტყუილად მაინც უნდა გაბრაზდეს. ჩემს გულს გაბრაზება არ ეკარება, ეს მხოლოდ გარეგნული სიბრაზება.



— ყოველი დაბადებული ადამიანი მოუვასია. მოუვასისთვის მიწოდებული ერთი ჭიკა წყალიც კი არ დაგეკარგებათ. ყველა უნდა გიყვარდეს!

ხანდახან შეხვიდოდი მის სენაკში, იწვა, თან ტიროდა, თავს აქნევდა და ისე გვეტყოდა:

— ჩუქნა ჩემი ძმაცაცია, იმასთან ვიყავი; რა კეთილია, რა კეთილი; თვეზი მაჭამა, ირმების მწყემსია, ჩემი ძმაცაცია. — საოცარია მამა გაბრიელის სიყვარული, — ყოველი დაბადებული ადამიანი მოუვასია! — მე კი გულში ვფიქრობდი, ეს ჩუქნები საერთოდ არსად არ წერიან, რამ გაახსენა-მეთქი.

წირვის შემდეგ მშვიერ ძაღლს ქვების სროლა დაუწყვეს. მამა გაბრიელი გადმოდგა კიბეზე და მკაცრად დაიძახა:

— უმჯობესი იყო წირვაზე არც მდგაროყვით! უდაბნოში ძაღლი წყურვილისგან კვდებოდა. გზად ბერმა ჩამოიარა, მომავდავ ძაღლს თავისთვის შენახული წყალი დააღვეინა და სიკვდილს გადააარჩინა. ამ დროს ცა გაიხსნა და ხმა მოისმა: „კინც ძაღლი სიკვდილისგან იხსნა, იმას ბევრი სხვა ცოდავც მიეტყუა!“ რამდენად დიდია, თუ ადამიანს გადაარჩენთ?!





ღირსი გაბრიელ ბერი სამთავროს ეზოში

ყველანაირი კეთილი აზრი ღმერთის-გან მოდის. შენ, ადამიანს, არანაირი კეთილის ქმნა არ შეგიძლია. მე სულიწმინდის კურთხევით დავდივარ!



ხშირად მიბარებდნენ ფსიქიატრიულში შესამოწმებლად. ეჭიმიმა მკითხა:

- კიდევ გაქვეყნება ქრისტე?  
- აქ მე 45 ადამიანს შევულოცე და ყველა განიკურნა, განა მე გიყი ვარ?

კითხვაზე ისევ კითხვა მიაგეს და ეჭიმიმა კსვე გიყის საბუთი გაუფორმა – იმ მიზეზით, ქრისტეს სახელით ხალხს კურნავს.

- იქ განა ყველა გიყი იყო, ზოგს ჯადო პქონდა გააკეთებულდი. უმიმიმეს აუადმყოფ-

თან შემიყვანეს, მიეხვდი, ჩემი გაგიყება უნდოდათ. როცა ერთ ოთახში ზიხარ, სადაც არც ფანჯარაა, არც კარი იღება და ერთსა და იმავე ადამიანს უყურებ, ეს გაგიყებს. ავღეკი, შეგვტრიალდი, ზეწარი გადავიფარე და იესოს ლოცვა დავიწვეე. გამუღმებით, მთელი დღეები იესოს ლოცვას ვიმეორებდი შეუწყვერდივ. სწორედ ამ ლოცვამ გადამარჩინა და ცოცხალი ვარ.

დღეა პარასკევამ პკითხა, მამა გაბრიელ, მართლა 45 კაცს შეულოცე? არა, ეს ისე ვთქვიო, უპასუხა. მამა გაბრიელის მთელი ცხოვრება ეშმაკეულთა დიაბოლურებისა და განდევნის უამრავ ფაქტს მოიცავს. ყოველთვის აღნიშნავდა ჩვენთან, როცა ადამიანს ბოროტი დაუპატრონება, პირველად გონებას ართმევს.

თავისი ბოროტი მამა გაბრიელს ნამ-

დვილად დამარცხებული ჰყავდა, უფრო მეტიც, მე მიგრძენია, თითქოს გამოჰყრილი ჰყავდა, თან, დასცინოდა, თითქოს მახრად იგდებო, თავის ჭკუაზე ატარებდა. თითქოს გაქცევა უნდაო ეშმაკს მისგან, ჩვენს ბოროტებს კი ნამდვილად დასდევდა და დევნიდა ჩვენგან.

ფსიქიატრიულში ავადმყოფები ხშირად მამა გაბრიელს პურს ართმევდნენ, ამის გამო ბევრჯერ დარჩენილა მშვიერი. წვერის გაპარსებაც ცდილობდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს. ხან მაკარტელი დაუფარდათ და აღების დროს გაშეშდნენ, ხან ხად და ხან ხად შეშდებოდნენ. შემდეგ თავი დაანებეს.

- ავადმყოფებს ერთმანეთს აცემინებდნენ, მე ვერ შეხებოდნენ, უფლის მადლი მინახავდა. ყველას ნემსები არ სჭირდებოდა, ზოგს კვეთებულის ღოცვა განკურნავდა. წამლებსაც გვაძლევდნენ და ექიმების თვალწინ უნდა დაგველია. წამალს რომ ხელის გულზე დავიდებდი, თავისით ქრებოდა. გაკვირვებულები მიყურებდნენ. თუ რამეს ძალით შეგვატყუებდნენ, ცოტა ხანში უკან ვიღებდი, რომ არ ემოქმედა. ექიმები მიუზნებოდნენ: გაბრიელ, შენი თან გვეშინია და თანაც გვიყვარხარო.

მამა გაბრიელის შემყურე ავადმყოფები ყოველ დილას „მამაო ჩვენოთი“ იწყებდნენ. ერთხელ, როცა ჩვეული იუპორით ყვებოდა საავადმყოფოს ამბებს, უნებლიეთ გაუცინათ. მამა გაბრიელმა ახელა მათ და ჩილიაპარაკა:

- იცით, რა შწარე იყო, მოსაგონებლადაც ძალიან მძიმეა. ვირს პიტნა ეჯავრებოდა და მაინც ცხვირში ტენიდნენო, რაც ყველაზე მეტად მეჯავრებოდა, ციხიდან საგიჟეთში გადამიყვანეს, იქ იმისი ნომრით - 666-ით გამატარეს, თითქოს ის წვეული დამცინოდა: აი, ხომ ხედავ, ჩემი სახელით უკვე გიჟად იწოდებო. ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოსული, პირდაპირ

სიონში მივედი. ცოცხალი რომ დამინახეს, ყველა გაოცდა და გაეხარდათ.

ლეთის სამადლობლად მამა გაბრიელი თავისი ყრმობის საყვარელ ტაძარში, წმინდა ბარბარეს ეკლესიაში მივიდა. მისთვის დიდი ნუგეში იყო ტაძრის ხატების, შანდლების დალაგება, დასუფთავება. ცდილობდა, დაევიწყებინა განცდილი ტანჯვა-წამება. დაღლილი იქვე ჯვარცმასთან ჩამოჯდა, ჩათვლიმა. თავის ტკივილგებთან მარტო დარჩა. უცებ მოულოდნელად ხმა მოესმა: „გძინავს, გაბრიელ?“

- სასწრაფოდ გავახილე თვალი, მაგრამ ვერაინ დავინახე, - გვიამბობდა, - მცირე ხანს ვფიქრობდი, შემდეგ ისეე ჩამეძინა. კვლავ განმეორდა ხმა:

- გძინავს, გაბრიელ? მე ვტირი შენი გულისთვის! - შევეკრთი, წამოვდექი, ჩემ წინ ჯვარცმა იდგა. მივხვედი, იმისგან მოდიოდა ეს ხმა. მივედი, დავინოქე, ორივე ხელით შევეხე მის ფეხებს. ცოტა ხანში ხელები იესოს ცრემლებით დამენამა.

ნუთუ ასე ძნელია სახარების მცნებების დაცვა? ახჯერ მრუში ჯლობა იყო, ვიდრე სარწმუნოებას გადაუხვიო. ყოველი ცოდვა მტრობაა უფლისა. ვის ემტვრები, იცი, რას გიზამს?! - ყოველდღე გვესმოდა მისგან ეს სწავლება.

მამა გაბრიელთან მჯდომმა რამდენიმე ადამიანმა სთხოვა, რაიმე ღვთის სათრო საქმე ესწავლებინა მათთვის. ცოტა ხანში მამა გაბრიელმა ბრძანა, ახლა სულწმინდა მოღის და ვნახოთ, ვინ მიიღებო. მცირე ხნის შემდეგ გლახაკი ესტუმრა მას. სასწრაფოდ სენაკიდან სატყელი და ტანსაცმელი გამოუტანა, ტკილად, სიყვარულით ესაუბრა და გაისტუმრა, შემდეგ კი მათ მიუბრუნდა:

- თქვე უზუნურებო, უფალი იყო!

ბაბროილ ბერო

მუსიკისა და ტექსტის ავტორი  
ილუმენია ქუთუვალი (კოპალანი)

Maestoso religioso

„დი-დე-ბა მხო-ლო ქრის-ტე დმერთს შვე-ნის“, ქუხ-და და ჰემ-და

„დი-დე-ბა მხო-ლო ქრის-ტე დმერთს შვე-ნის“, ქუხ-და და ჰემ-და

„დი-დე-ბა მხო-ლო ქრის-ტე დმერთს შვე-ნის“, ქუხ-და და ჰემ-და

გაბ-რი-ელ ბე - რი, დუთი-სა სიტ-ყვი - სა მჭა-და-გე-ბე-ლი,

გაბ-რი-ელ ბე - რი, დუთი-სა სიტ-ყვი - სა მჭა-და-გე-ბე-ლი,

გაბ-რი-ელ ბე - რი, დუთი-სა სიტ-ყვი - სა მჭა-და-გე-ბე-ლი,

ბრძე - ნი სა - ღო - სი აღმ - სა - რე - ბე - ღი.

ბრძე - ნი სა - ღო - სი აღმ - სა - რე - ბე - ღი.

ბრძე - ნი სა - ღო - სი აღმ - სა - რე - ბე - ღი.


11 მისამღერი

„მე ჩემს სა-ქარ-თვე-ღოს ა-თონ-ზე ვერ გაფ-ცვლი, მე ჩემს ა-თონ-ზე ვარ,

„მე ჩემს სა-ქარ-თვე-ღოს ა-თონ-ზე ვერ გაფ-ცვლი, მე ჩემს ა-თონ-ზე ვარ,


„მე ჩემს სა-ქარ-თვე-ღოს ა-თონ-ზე ვერ გაფ-ცვლი, მე ჩემს ა-თონ-ზე ვარ,

14



ჩე - ში ა - თო - ნი აქ ა - რის", იტ - ყო - ჯა ბე - რი  
ჩე - ში ა - თო - ნი აქ ა - რის", იტ - ყო - ჯა ბე - რი  
ჩე - ში ა - თო - ნი აქ ა - რის", იტ - ყო - ჯა ბე - რი

17



სა - ლო - სი ჩე - ში ა - თო - ნი აქ ა - რისი  
სა - ლო - სი ჩე - ში ა - თო - ნი აქ ა - რისი  
სა - ლო - სი ჩე - ში ა - თო - ნი აქ ა - რისი

გაბრიელ ბერი, სამთავროელი,  
წმიდა სამების მადიდებელი,  
ღმრთისა დედისა თაყვანმცემელი,  
სკულთმეცნიერი, ღვთიფსანატრელი.

„მე ჩემს საქართველოს ათონზე ვერ გავცვლი,  
მე ჩემს ათონზე ვარ, ჩემი ათონი აქ არის“, —  
იტყოდა ბერი სალოსი — „ჩემი ათონი აქ არის.“

სიფრმითვე ქრისტეს მეძიებელი,  
საწუთოაჲსა დამცვევებელი,  
კაცთა ცხოვრების წინამცნობელი,  
სალოსობითა მუნ დამფარველი.

განსაცდელის ეკამ უმთავრესია  
მოთმინება და სინანულია,  
არ დავახანებს საღმრთო მადლია,  
„ღმერთი არისო სიყვარულია“.

„მე ჩემს საქართველოს ათონზე ვერ გავცვლი,  
მე ჩემს ათონზე ვარ, ჩემი ათონი აქ არის“, —  
იტყოდა ბერი სალოსი — „ჩემი ათონი აქ არის.“

ნუ მიატოვებთ საქართველოსა,  
არ განარისხოთ ღმრთისმშობელიო,  
კაცი სადაცა დაიბადების,  
ღმრთისა კურთხევა იქი გარდმოდისო.  
ხშირად ბასრობდა: „მიყალ, მიყდივარ,  
ბოლო ბუკეტი საქართველოსი“,  
ბერ-მონოზენობის მტკიცე ბეჭედი —  
აღმსარებელი ბერი სალოსი.

„მე ჩემს საქართველოს ათონზე ვერ გავცვლი,  
მე ჩემს ათონზე ვარ, ჩემი ათონი აქ არის“, —  
იტყოდა ბერი სალოსი — „ჩემი ათონი აქ არის.“

წმიდა გაბრიელ აღმსარებლო,  
ევედრე ღმერთსა, ღირსო მამაო,  
დაიფაროსო მუნ საქართველო,  
პატრიარქი და მთელი სამყარო.  
ყოვლადწმიდაო დედა ღმრთისაო,  
მარიამ, ძისა შენისათაო,  
დაიფარეო იბერიავო,  
საქრისტეანო, მთელი სამყარო.

მომღებვეო თაობების დასამოქმედრად

(პატრიარქი ეფრემ II-ის შესახებ - მეუფე იოანეხ (ანანიაშვილი) ნაამბობი)

ასევე თავად ეფრემ მეორისგან მომისმენია: როცა თავისუფალი იყო საქართველო, ანდრონიკემ დასძრა სომეხთა ღაშქარი საქართველოს მიწა-წყლის მისატაცებლად, ასე აცხადებდა, მტკერის სამხრეთით სულ სომხეთითაო. მაშინ შეიკრიბა სახელმწიფო საბჭო და ითათბირეს, როგორ დახედროდნენ მტერს. ცხონებულმა ეფრემ II-მ სულ გვარ-სახელით ჩამოთვალა ქართველთა გენერლები და სახელმწიფო მოღვაწენი, მაგრამ მე ვეღვა დამაიწყდა. საოცრად კარგი მახსოვრობა ჰქონდა ცხონებულ ეფრემ II-ს. სად გაეუშართოთ ბრძოლათ, - სთქვა ამან. ამ გენერალმა უპასუხა: სად და, რაღა შორს წავიდეთ, ჯერ ავლაბარს შეუერთოთ, მერე სასომხეთის მიწაზე დავეცხოთო. დაისვა კითხვა: რა ვუყოთ საქართველოში მცხოვრებ სომეხობას, რადგანაც თუ ომში წავიყვანთ, შესაძლებელია, მტრის მხარეზე გადავიდნენ, ხოლო თუ სამხედროში არ გავიწვევთ, მაშინ შეიძლება აგვიჯანყდნენ და ზურგში დაგვეცხონო. რა თქმა უნდა, ავლაბარს ხელი არ ახლეს, სომეხი ომში გაიწვიეს, მისცეს იარაღი და წინ გაუშვეს, რათა არ მისცემოდათ ზურგიდან დარტყმის საშუალება იმ სომეხებს, ხოლო თუ სასომხეთის სომეხების მხარეზე გადასვლას დაამირებდნენ, ქართველთა ღაშქარს ზურგიდან დაეშინა ტყვია. თანაც სომეხ ჯარისკაცთაგან დაღატს უფრო იმიტომ არ მოვლოდნენ, რომ მათი ცოლ-შვილი, მშობლები და სხვა ახლობლები მძევლების მდგომარეობაში ჰყავდათ დატოვებული საქართველოში. შეუტყეს საქართველოს ღაშქრის სომეხ-

მა ჯარისკაცებმა სასომხეთის ღაშქარს და ისე გამოიდეს თავი, რომ ქართველებსაც კი აჯობეს სიყონადეში სომხეთის წინააღმდეგ. უფრო ამის ბრალია, რომ სასომხეთის სომეხებს აქაური სომეხები ეჯავრებათ ახლაც კი, რახან მაშინ აქაურმა სომეხებმა ქართველებს არ უღალატეს. ანდრონიკე და მაშინდელი სასომხეთის მთავრობა მტკერის სამხრეთით მდებარე საქართველოში გვეცილებოდნენ და ქართველებმა კი ღამის ერევნამდე მისდიეს გაქცეული სომეხების ღაშქარსო.

მანამდე, სანამ ქართველები ბრძოლას გაუმართავენ სომეხთა ღაშქარს, თბილისში დიდი არეულობა მოხდა, სომეხები და ქართველები საცემრად დაერივნენ ერთმანეთს. ჩვენებსაც ბევრი მოხდათ, მაგრამ ქართველებმა ვაჯობეთ სომეხებს, მაგრამ ვცემეთ, მთავარი ცემა-ტყევა თვისუფლების მოედანზე მოხდა, ახლა რომ დენინის მოედანს უწოდებენ. მაშინ მე ჯარისკაცის მაზარა მეცვა და ხელთ მეპურა ტყვიისთავიანი კომბალი, ხის კენტს თავზე წამოცმული ჰქონდა ტყვიის დიდი, მძიმე ბურთი და იმას ვატრიალებდით ხან აქეთ და ხან იქით. ისე გავერთე ჩხუბში, რომ ერთი შავგერემანი კაცი სომეხი მეგონა, გაუქანე და თავში ვთხლიშე ის კომბალი. რომ ვთხლიშე, იმ კაცმა კარგი ქართულით წამოიძახა: არ მომკლა ამ - თურმე ქართველი ყოფილა, კიდევ კარგი, არ შემომაკვდა, სასიკვდილო ადგილას არ დამირტყამს. ავაყენე, მოუვარე და ვუთხარი: შე დალოცვილო, რანაირად უნდა გამეგო, ქართველი რომ ხარ ეს შავი კაცი, ვერ დაიძახე, ქართველი ვარო?

ახლა კარგად აღარ მახსოვს, როგორ თქვა ცხონებულმა – მხოლოდ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო თუ ერთდროულად ნინოწმიდელიც, ის კი მახსოვს, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად კი ნამდვილად იყო განწესებული. ასე თქვა: ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ვიყავი, მაგრამ საშიში იყო იქ მოღვაწეობა, რადგან ცალკე კომუნისტები გვარბევდნენ, ცალკე კი რუსი სამღვდელეობა მგლის თვალით გვოყურებდა და გემტრობდა. რუსი სამღვდელეობა ბუნებრივადაც გემტრობდა, რადგან ისედაც ვუჯავრებოდით ქართველები, ამას კიდევ ისიც დაემატა, რომ რუსეთის ეკლესიამ არ სცნო ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა, ჩვენ ანათემაცხე გადაგვცა, ხოლო იმ რუს სასულიერო პირსა და მორწმუნე ერისკაცთ კი, ვინც ჩვენთან ილაოცებდა და ჩვენთან იქონიებდა ქრისტიანულ ერთობას, საშინელი სასჯელითა და წვევლით ეშუქრებოდა და აშინებდა. როცა იქ ჩავდიოდი, ზოგჯერ კიდევ ვიმაღლებოდი და ასე ფარულად ემოქმედებდი ხოლმე. ვინაიდან მერე და მერე სულ უფრო გართულდა ეკლესიის მდგომარეობა, ამიტომ დროებითი კათედრა თბილისში, წმიდა ბარბარეს ეკლესიაში მქონდა და იქა ვწირავდი.

სიონის ეზოში ყოფნისას, ერთხელ ერთი გრძელთმიანი მხატვარი ვაპო შეგკითხა ეფრემ მჟორცხე ბატონო ეფრემ, ნუთუ თქვენ მართლა გწამთ ეშმაკისა და ანგელოზის არსებობაო?! მახსოვს ის ახალგაზრდა, საშუალოზე დაბალი იყო, გამხდარი, ქართველი. მისი სახელი და გვარი წინათაც არ ვიცოდი. ხშირად დაიარბებოდა სიონში, მაგრამ არ ეტყობოდა, ღრმად მორწმუნე თუ იყო. ეფრემ II-მ უპასუხა: ემაწვილო, მე ორ შემთხვევას მოგიყვები, მე თვითონ რომ გამოვიცადე და მერე თავად განსაჯე

– არსებობენ თუ არა ეშმაკები და ანგელოზები, ანუ კეთილი და ბოროტი ძალები.

ჩემი ეპისკოპოსობის ვაჟს, როცა წმიდა ბარბარეს ტაძარში ემოღვაწეობდი, ტაძართან ახლოს ორი ოთახი მქონდა ნაქირავეები. მაშინ ასე მჭიდროდ არ ცხოვრობდა ხალხი იქ, დროც ცუდი იყო. ხშირი იყო თავდასხმები და სხვა, ამიტომ მოსაღამოვდებოდა თუ არა, მაშინვე სახლის კარს კარგად ვაქრავდი. ერთი მორჩილი მყავდა, ჯერ ის დაკრავდა კარს, მერე მე შევამოწმებდი ხოლმე. ერთ საღამოსაც ასე ვყავით. ის კაცი გავიდა თავის ოთახში, მე ნახშირის სამოვარი გაეჩანადე, წამოვწექი საწოლზე და ფიქრს მივეცი, თან სამოვრის შიშინს უუგდებდი ყურს. ამ დროს გაოტრიალა კარმა, კილაც შემოვიდა გარედან და თხის ფეხთა ბაკუნის ხმით მომიახლოვდა. დამადო გაშლილი ხელი სახეზე და რუსულად მითხრა: „ოტრეკის ოტ ბოგა“ შემეშინდა, სახეზე დადებულ თითებს შორის თვალი ავაყოლე და დაეინახე კაცის მინაგვარი საშინელეობა, სახე ადამიანისას მიუგავდა, მაგრამ ცხვირ-პირის ადგილას ღორის დინგი მქონდა, თავზე თმებიც ღორის ჯაგარს მიუგავდა და უკან მქონდა გადაწეული. ეღვის სისწრაფით ეძლიე შიშს და რუსულადვე უუპასუხე: „პროჩ ატ მენია, სატანა, გოსპადუ მოემუ პოკლონიაუს ია ი ემუ ედინომუ სლუჟუ“ ეს რომ ეუთხარი, ნაწვენმა ამოვიგმინა, ნელ-ნელა ჩააცურა ჩემი სახიდან ხელი, გაბრუნდა და ისევე თხის ფეხთა ბაკუნით გავიდა გარეთ.

გაფოუნდი, ვიწქი ასე და ვფიქრობდი: მომეჩვენა, თუ მართლა ბოროტი ხელი იყო? ავდექი და კარი ვნახე, გამოვლებული იყო. მახსოვდა, რომ მორჩილის შემდეგ მე თვითონ შევამოწმე კარი და მართლა და-



პატრიარქი ეგრემ II

კეტილი იყო, როცა წამოვწყვი. არ ვუთხარი მომხდარის შესახებ მორჩილს — ემანდ მისი გაღებუელი არ იყოს და არ დაძვიროს, მოღანდებები დაგწყვიბიო. მთიარებით შევეკითხე, კარი ხომ არ გავიღია-მეთქი. არაო, მიპასუხა, წელან შენ არ იყო, რომ კარი გააღე? ხმა მომესმაო. აღარაფერი ვუთხარი. მიხვდი, რომ მართლა ეშმაკი შემოვიდა და ამის გამო ძლიერ შევწყუხდი — აღბათ რაიმე სუსტი მხარე ნახა და იმედი მიეცა ჩემში შემოსევისა, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, რატომ მოვიდოდა ჩემთან-მეთქი, — ვიფიქრე. ის დამე სულ წუხილით გავატარე და მეორე დღეს კი სიონში

წავედი. იმ დროს იქ მოღვაწეობდა ერთი დეკანოზი (სახელი და გვარი თქვა, მაგრამ აღარ მახსოვს), მოძღვართმოდღვარი იყო. მას მოუყუვევო, რაც დამემართა და ჩემი წუხილის მიზეზიც ვუთხარი. მაღალი კაცი იყო, ღამაზი, ნასწაველი და გამოცდილი. გაიცინა და მითხრა: ეგრემ, ნაკლის იმედით კი არ მოვიდა ეშმაკი შენთან, არამედ შეშურდა შენი მადლისა, ამიტომ კი ნუ წუხხარ, არამედ მადლობა შესწირე ღმერთს და მეტი გულმოდგინებით განაგრძე მოღვაწეობაო.

ეს ეშმაკის შესახებ, ახლა კეთილი ძალის შესახებ: იმავე ეკლესიაში მოხდა ეს ამბავი. მაშინ ხალხი უფრო დაშინებული იყო და ეკლესიაში ცოტა დაიარებოდა. მზის დახვდის ვაში იყო, ისევ წმიდა ბარბარეს ტაძარში ვიჯექი სკამზე ერთ კუთხეში და ჩემთვის ვფიქრობდი. ტაძარში არავინ იყო. ამ დროს შემოვიდა ერთი ქალი პატარა გოგონათი, მიიყვანა ბავშვი წმიდა ბარბარეს ხატთან, პერახელი, მიახეთქა ხატს და უთხრა: აბა, მოვიყვანე, თუ შეგიძლია, მორჩინე, შენც ხომ ქალი ხარ და დამეხმარე, თუ არ შეგიძლია მორჩენა, მოკალი და წაიყვანე. მე ამის საცოდაობის ატანა აღარ შემიძლიაო. გოგონამ ტირილი დაიწყო. მე შემეცოდა, ვიფიქრე, — თუ არ სწამს ამ ქალს, რატომ და მოიყვანა ბავშვი, ხოლო თუ სწამს, მაშ რატომღა ასე უდიერად ეპყრობა ან ბავშვსა და ან ხატს-მეთქი. მივედი მათთან და შევეკითხე: რატომ მოიქცეთ-მეთქი ასე? გოგონა ჩემგან ზურგშექცეული იდგა ტირილდა. ქალმა მითხრა: ეს ბავშვი ჩემი შვილია, დამიავადმყოფდა, თვალეები სტკევა, ვერც მოურჩა და არც მოკვდა. მე ახლა და ამ დიდი თანამდებობის კაცის ცოლი ვარ, არ გვიპირს ექიმ-პროფესორების ნახვა, მთელი ქვეყანა მოვატარეთ, უცხოელ





ექიმებსაც გავასინჯეთ, მაგრამ ვერავინ მოარჩინა. თუ ძალია აქვს ღმერთს, მომირჩინოს და ამის შემდეგ მისი მოსამსახურე ვიქნებიო. შემოვბარუნე ბავშვი და შემზარა - თვალები არც კი გტყობოდა, საშინლად ჩაშავებოდა ის ადგილები. დაწუწუვამ ბავშვს, მოვეფერე, დაეაშვიდე. მერე ვულოცე წმიდა ბარბარეს პარაკლისი, წყალი ეუკურთხე, იმ წყლით წმიდა ბარბარეს ხატი განვბანე და მერე თვალები მოებანე ბავშვს. გაეაბანე ხატის განაბანი წყალი იმ ქალს და ეურჩიე, რომ ყოველდღე ასე გამოუბანა ბავშვისათვის თვალები ამ წყლით.

ამის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი, ნათი არ იშოვებოდა. ვიშოვე ნათი, მეჭირა ხელთ ნათის ბიღონი და ასე ნელ-ნელა მიედიოდი ჩემი სახლისკენ. უცებ, ვიღაცამ მომიქიდა ანაფორის კალთაზე და ნაზად მომიქანა. მივიხედე, პატარა, ღამაზი გოგონა იღვა. კეთილე, რა გინდა, გოგონა-მეთქი. დედისკომ მითხრა, დავწიეო. გავიხედე იქით. ის ქალი იღვა. მითხრა: ვერ იცანი? ეს ის თვალუმტკივანი გოგონაა, იმ წყლით ვბანდი თვალებს და მოურჩაო. მართლა ვერ ვიცანი, თვალები მორჩენოდა, კვალიც კი არ დარჩენოდა სენისა. იმის შემდეგ ის ქალი ხელ ეკლესიაში დაიარებოდა, ძირითადად წმიდა ბარბარეს ეკლესიის მრევლის წევრი იყო. მაგრამ ყოველი ტაძრის დღეობაზე დადიოდა, სადაც კი გაიგებდა და მოახერხებდა, ძალიან ეხმარებოდა ეკლესიებს და იმ გაჭირვების ვამს მის დახმარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა ჩვენთვის. რომ მოუხშირა ეკლესიაში ხიარულს, ქმარი აუჯანყდა, რადგანაც დიდი თანამდებობა ეკავა და ეშინოდა, რომ ცოლის რელიგიურობის გამო არ მოეხსნათ. უსაფუძვლო არ იყო მისი შიში... ბოლოს, შესთავაზა ცოლს: ან მე ამირჩიე,

ან ეკლესიაო. ცოლმა ეკლესია ირჩია, გაეყარა ქმარს და სიკვდილამდე არ უღალატინა ღვთისათვის. აი, შვილო, მე ორივე შემთხვევა მოგიყვები და ახლა შენ თავად განსაჯე - არსებობენ თუ არა ეშმაკები და ანგელოზები!

ერთხელ გვიანობამდე დარჩა ეფრემ II სიონის ეხოში. ვარსკვლავებიანი დამე იყო. ამ დროს რუსი ახალგაზრდები მოვიდნენ, რუსეთიდან იყვნენ, გოგოები სჯარბობდნენ. მათ არ იცოდნენ, ვინ იყო ეს მოხუცი, მივიდნენ და კადნიერად კითხვებს: როგორ გწამთ ღმერთი, რა ძალია არისო? ეფრემ II-მ მოკლედ მიუგო: ახედეთ ზეცას. ხედავთ ვარსკვლავებს? აი, ჩვენ ის ძალია გეწამს, რომელსაც ეს ვარსკვლავები მოძრაობაში მოჰყავსო. ახალგაზრდები საკამათოდ იყვნენ შზად, უარისყოფის სულით შეპყრობილები იყვნენ. ისინი სხვანაირ პაექრობას მოელოდნენ, ვერ ჩასწვდნენ პატრიარქის პასუხის სიღრმეს, ნათქვამი პრიმიტიულად მიიჩნიეს, მისი მთქმელი - უსწავლულად, თავი დანანებით გადააქნიეს, თქვეს: ჩვენ კი სულ სხვანაირად მოაზროვნედ ჩავთვალეთ საუბრის დასაწყისშიო და წავიდნენ. ეფრემ II-მ გაიღიმა და თქვა ხუმრობით: ხომ კარგა ეუპასუხე? მაგრამ რომ ვერ გამოგესო, - დაამატა ბოლოს.

ერთხელ ერთი ახალგაზრდა შეეკითხა ეფრემ II-ს: რას იტყვით, უწმიდესო, სწორად მოიქცით, პატრიარქ მელქისედეკის მიერ განკვეთილი სასულიერო პირები რომ აღადგინეთ საეკლესიო კრებაზე, თუ ახლა ნანობთ? ეფრემ II-მ მიუგო: თავად ჩვენ არ მოვიქცით სწორად, რადგან თუ უსამართლოდ განკვეთილად მივიჩნევდით იმ სასულიერო პირებს, მაშინ მათი უსამართლოდ განმკვეთილები უნდა განგვეკვეთა, მაგრამ ჩვენ ასე არა ვყავით. მართალია, მელქისედეკ პატრი-



არქი აღარ იყო ცოცხალი და მის შესახებ ვეღარ ვიძახებდით, მაგრამ სხვები ხომ ცოცხლები იყვნენ. მე კი ახლა ვირწმუნებ, რომ ერთხელ მკედარნი აღარ უნდა გამეცოცხლებინა, რადგანაც ისინი მერე მე შემომიბრუნდნენ, სიკეთე არაეინ დამიფასაო.

ამჟამად არქიმანდრიტი გაბრიელის, მაშინ კი მღვდელმონაზონის შესახებ შეეკითხა ეფრემ II-ს ერთი კაცი: უწმიდესო, რატომ გჟავთ მაშა გაბრიელი მღვდელმოქმედებაკრძალულად. მან თქვა, პარტიარქს ბევრჯერ მიემართე თხოვნით, რათა რომელიმე ეკლესიაში განმავსოს მღვდლად, მაგრამ პასუხი არ მაღირსაო. ეფრემ II-მ მიუგო: გ იმბტომ, რომ უკეთუ თხოვნას შეუესრულებ, მაშინ გამოდის, რომ ეაწყნინებ მათ, ვის მიმართაც მან დააშავა, ხოლო უკეთუ ეკლესიურად განვიხილავ მის საქმიანობას, მაშინ იგი აუცილებლად უნდა განიკვეთოს ხარისხისგან, ამიტომაც ეყოყნანობ და ჯერ ვერაფერი მომიფიქრებია, რადგანაც იგი მღვდლობის ღირსი არ არის, მაგრამ მაინც შეცოლება და არც უმეტესადა ვსჯი და ვერც ეკლესიაში ვნიშნავო. ისე გარდაიცვალა ეფრემ II, რომ გაბრიელი არ დაუბრუნებია ეკლესიაში, როგორც მღვდელმსახური.

ეფრემ II-მეუ მოგვითხრო: 1937 წელს ლავრენტი ბერიაი დამიბარა თავისთან, დამით და მითხრა: ეფრემ, განათლებული კაცი ხარ და არ გრცხვენია, რომ ანაფორით დადიხარ? არ აჯობებს განა, რომ გაიხადო ანაფორა და ხალხს ემსახურო შენი ცოდნით? მე წინარად მივუთხვე: ბატონო ლავრენტი, ჩემი ანაფორა თქვენ ხელს ხომ არ გიშლით-მეთქი? მიპასუხა, არაო. მაშინ, - ვუთხარი მე, - მოდი, ვთელი ანაფორით-მეთქი. კარგი, - მითხრა, - იარე, მე მხოლოდ კარგი მსურდა

შენთვისო. ამის შემდეგ მალე დამიბრუნებრალდებით: სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა, თავისი კადაკებებით ხალხს მოუწოდებდა ხელი-ხუფლების წინააღმდეგო. ბევრი ვიფიცე და კუმტიცე ძიებასა და სასამართლოს, მაგრამ ვინ დამიჯერა, მომისაჯეს 10 წელი პატიმრობა და წამოყვანეს ციხიბრში. სასამართლოზე მოეთხოვე მტიცებად: თუ მე ოდესმე ასეთი რამ მექადაგოს, ერთი მოწმე მაინც მომიყვანეთ-მეთქი. ვილაცამ წამოიძახა ხალხიდან: ჭკვიანი გვევონა და გიგი ყოფილა ეს ოხერი. კაცო, ვერ გაიგე განა, რომ რახან ასეთ რამეს გიგონებენ, არც ცრუმოწმის მოყვანა გაუჭირდებათ?

ეფრემ II-მ ერთხელ მოკლედ გეიაბმი თავისი პატიმრობის ამბავი, ისე შთამბეჭდავად და გულდათუთქული აყვებოდა, რომ მსმენელებს ცრემლები გადმოგვევინდა: ეტაპით მგზავრობა, ყველგან დამციბრება, შიმშილითა და სხვა საშუალებებით წამება. ტყვეთა ბანაკში სიცოცხეში შედეგ, შიმშილი. ჯერ ხომ თამამე შიმშილითა გვეფიტავდნენ, ომის დროს მთლად გაგვაწამეს აუტანელი შრომითა და შიმშილით, რადაც საზიხდრობას გვაჭმევდნენ, აბა, ხალხისთვის არ მქონდათ პური და ჩვენთვის განა რამეს გაიმეტებდნენ? კოპტონს გვაჭმევდნენ პურის მაგივრად და იმასაც კი ცოტას. ანაფორიანი წამოყვანეს ეტაპით. ვერ გამხადეს მერე, როცა ანაფორა მთლად დაიხა, გავიხადე, მაგრამ თან მქონდა მუდამ, კის-უტებდი მკერდში და ვეფერებოდი, ამით ვინუგეშებდი თავს. ღოცვანი არ შემარჩინეს, მაგრამ ბევრი ღოცვა ზეპირად უცოდი და ხშირად ელოცულობდი ხოლმეო. როცა ამას აყვებოდა ცხონებული, კიდევ რამდენიმე ღოცვა წარმოთქვა ზეპირად - საოცრად ძლიერი, სახიფათი

ლოცვა იცოდა ცხოვრებულმა – თან ცრემ-  
ლები სდიოდა თვალთაგან. ჩემთან ერ-  
თად ერთი ებრაელიც იყო, რუსი ებრაე-  
ლი. ძლიერ ნასწაველი კაცი. უშიზეზოდ,  
უფრო სწორად, უდანაშაულოდ იყო დამა-  
ტომრებული, ჩემთან მეგობრობდა. როცა  
ლოცვას ვიწყებდი, ახლოს მომიჩინდებო-  
და ხოლმე და მეტყვოდა: „ი მენია ტოვე  
ესპომინაი ე მოლიტვას, ეფრემ,“ ან: „ი ზა  
მენია ტოვე მოლის, ეფრემ.“ იმ ებრაელის  
გვარი მე დამაეიწყადა, მაგრამ ეპისკოპოს  
ილარიონს (სამხარაძე) ემახსოვრება. თუ  
არ ვცდები, ზელენსკი თუ ზელინოვსკი  
იქნებოდა, დარწმუნებით ვერ ვიტყვი. იქ-  
თქვა უფრემ II-მ, ერთი ბრიგადირი მყა-  
ვდა, სომეხი. ძალიან ეუჯავრებოდი და  
სულ იმის მოწადინე იყო, რომ დავეღუ-  
პო. უფრემ II-მ ბევრი რამ ბოროტი გაიხ-  
სენა, იმ კაცის მიერ მასზე მოწვევული,  
მაგრამ მე მხოლოდ ორი მათგანიდა  
მასსოვს. ერთი: როცა ეტაპით მიმოევანეს  
საბოლოო ადგილამდე და იმ კაცს ჩა-  
მაბარეს, მან დამცირება დამიწყო, საწო-  
ლი არ მომცა, ერთ კუთხეში ყინულიანი  
თივა ეყარა და იმაზე დამაწვინაო. მეორე:  
მიბრძანა, რომ აბანო გამეცხელებინა  
მისთვის. გაეუცხედე და ბანაობა დაიწყო,  
მე კი ცეცხლს ვუმარჯუებდი. ამ დროს  
აბანო გასკდა (არ მახსოვს, რა ნაწილი  
გასკდა, რომელზე თქვა). ცოტას გაწყდა,  
ლამის დაითუთქა ის კაცი. მე რა შუა-  
ში ვიყავი, მაგრამ შარი მომძღო – განგებ  
მომიწვეე ეს, რათა მოგეკადიო. დამიწერა  
პატაკი და კარცერში უნდა ჩაეკვდე. იმ  
ქვისხეთქა სიცოცხლეში კარცერში ჩადგნა  
ტოლი იყო სიკვდილისა. ვიცოდი, რომ  
იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდი.  
ტირილი დავიწვე, გამოვემშვიდობე იქა-  
ურ მეგობრებს და სახიკვდილოდ გავე-  
მსადე. ვიდაც უფროსთაგანი უმადლო არ

ყოფილა, იმას გადაურჩენია ეფრემი, აღარ  
ჩაუსვამთ კარცერში. მერე, ამის შემდეგ  
ცოტა ხანი გავიდა და მოხდა საოცრე-  
ბა: ჩემი პირადი უფროსი რაღაცა დანა-  
შაულის გამო დააქვეითეს, მე დამნიშნეს  
მის ადგილას, ის კი – ჩემს ხელქვეით-  
ად. ვველას ეგონა, რომ იმ აურაცხელ  
ბოროტებათა გამო მასზე შურს ვიძიებდი  
და ისევე მოვეპყრობოდი, როგორც თავად  
მეპყრობოდა. რომ მოიყვანეს ჩემთან, ფეხ-  
ებში ჩამივარდა თხოვნით – ნუ დამღუპა-  
ვო. მე წამოვაყენე და ძმასავით შევიტყუე,  
რამაც მთლად გააოგნა და ატირდა. ამის  
შემდეგაც მისთვის და არც სხვებისთვის  
ცუდი არ გამიკეთებია.

შვიდი წელი რომ გავიდა, მანამდე  
მცირედ ადრე სტალინს გაეუგზავნე წერ-  
ილი. ეს ჩემად მოვახერხე, თორემ ხელში  
რომ ჩავედო ბანაკის უფროსობას წერ-  
ილი, არც სტალინთან გადაავგზავნიდნენ  
და მეც ძლიერ დამსჯიდნენ. წერილით  
მოვახსენე სტალინს, უდანაშაულოდ ვი-  
ტანჯებო-მეთქი და სხვა. მოვიდა სტალინ-  
ისაგან ბრძანება ჩემი გათავისუფლების  
შესახებ, მაგრამ მე ამ დროისთვის ისე  
ვიყავი დაუძღურებული, რომ მალე მოგე-  
ვდებოდი მეგონა და ამიტომაც წასვლაზე  
უარის თქმას ვაპირებდი – სულ ერთია,  
მოგკვდები, ამ ყინვასა და სიცოცხლეში შორს  
ვერ წავაღ, რატომღა უნდა ვიტანჯო უარე-  
სად, ბარემ აქვე მოგკვდე-მეთქი. ეს რომ  
მოისმინა ჩემმა მეგობარმა იმ ებრაელმა,  
მითხრა: უფრემ, ჭკვიანი კაცი მგონიხარ  
და უნ როგორ მოგიყვია, რომ უარს ამ-  
ბობ წასვლაზე. ამბობ, მოგკვდებით. წადი,  
გასცდი ამ გულის მავთულებიან ღობეს,  
თავისუფალ ცას შეხედე ბანაკიდან სამი  
ნაბიჯის იქით და მერე თუნდ მოკვდი,  
ბედნიერი კაცი იქნებიო. დავეუჯერე იმ  
კაცს და დავთანხმდი წამოსვლაზე. ძლი-



ერ ავად ვიყავი, ყველაფერი მტკიოდა, ფეხები დარუმბებული მქონდა. გამოაწვევეს ძაღლის მარხილი და წამომიყვანეს. გზად ერთ ადგილას შევეჩერდი. ერთი სახლი იდგა, დაბალი და ფართო. წინ დიდი ეზო მქონდა, შუაში ეკაღმავთულის დობე იყო, ამით იყო გატიხრული. მომცეს ახალი საერო ტანსაცმელი. დამასვენეს რამდენიმე დღე. ოდნავ მოვხუდიერდი. მერე მითხრეს, ხვალ, ამა და ამ საათზე, ერთ კაცს სურს შენთან საუბარი, ამ ეზოში გახვალ და გაჰყვები შუაში გაველებულ ეკაღმავთულის დობეს. თავდახრილი ელაპარაკე იმ კაცს, ნუ შეხედავ სახეზე, უპასუხე მხოლოდ კითხვებზე და რაც შეიძლება მოკლედ, იქით ნურაფერს შევეკითხებით.

დანიშნულ დროზე ასეც მოხდა. გავედი ეზოში, მეორე მხრიდანაც ერთი კაცი გამოვიდა და გავეყვით იმ დობეს. დინჯად მიდიოდა და მეც მისი ნაბიჯით მივეყვებოდი. შემეკითხა ვინაობა, უპასუხე. მკითხა, რატომ დაგიტირესო. უპასუხე: სახელმწიფოს წინააღმდეგ ქადაგება დამაბრალეს. განა დანაშაულია ის, რომ შორწმუნეს ასწავლო ამა თუ იმ დღესასწაულის მნიშვნელობა და როდისაა კვირა-უქმე და როდის სამუშაო დღე-მეთქი. სწორიაო, – მითხრა. სხვაც რამდენიმე კითხვა მომცა და უპასუხე. ბოლოს მკითხა: რომელ წლებში სწავლობდი გორის სასულიერო სასწავლებელშიო. უპასუხე. მითხრა, გახსოვს თუ არა სოსოს შესახებ რაიმე, როცა იგი იქ სწავლობდაო. მივუგე: სოსო უფროს კლასებში სწავლობდა, მე კი დახაწვისში, ამიტომ ცოტა რამ მახსოვს-მეთქი. მოუყვევი მერე, თუ როგორ ააფეთქა სოსომ სამასწავლებლო, როგორ გაკვიდნენ, ამ დროს მე შეეადე კარი, სოსო დამეჯახა, წაიქიცი, სოსო გადამახტა და გაიქცა. იგი ვერ იცნეს ზურგიდან, მე კი არ გავეცი,

ვიცრუე – ვერ მოვასწარი-მეთქი. მისი სახლის დანახვა, რისთვისაც საში დღე-ღამის განმავლობაში ჩამაგდეს ვიროთაგვებიან სარდაფში და მაშიშშილეს და მაშწმურვალეს. ეს რომ მოუყვევი, ღმილშერეული ხმით თქვა იმ კაცმა: სწორიაო, ბოლოს მკითხა: ახლა რომ შეგხვდეს სტალინი, იცნობ თუ არაო. მე კი გაფრთხილებული ვიყავი, რომ სულ თავდახრილს უნდა მელაპარაკა იმ კაცთან, მაგრამ წუხად მაინც ავაპარე მზერა და მისი სახე მეცნაურა. უკვე დავერწმუნდი, რომ სტალინი მელაპარაკებოდა, თუმცა მიკვირდა – სად მე და სად ის ან ამ დროს ჩემთვის სად მოიცლიდა-მეთქი, მაგრამ თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ სტალინი მელაპარაკებოდა. ვიფიქრე, ვინ იცის, იქნება არ იყოს საჭირო, რომ მე ვიცნო სტალინი-მეთქი, ამიტომაც ასე მიუუგე: რა ვიცო, დიდი ხანია გასული და აღბათ გამიტირდება-მეთქი მისი ცნობა. მან დინჯად მითხრა: სწორი პასუხიაო. ასე საუბრით გავეყვით იმ დობეს და გამოვეყვით, მერე ჩვენ-ჩვენ მხარეზე შევედი სახელში და იგი ასე ახლოს აღარახოდეხ მინახავს. ამის შემდეგ განსაკუთრებით კარგად მეპყრობოდნენ თანმხლებნი. მითხრეს, ბრძანება მოვიდა, რომ ჩამორთმეული ნიუთების სია შეადგინოთ, რაც დაჭერისას ჩამოგართვეს, გაიხსენე და ჩამოგვიწერეო. მე ვთხოვე დრო მომეცით-მეთქი. მადროვეს. იმ დამეს გავარღვიე ჩემი დამონახილი ანაფორის ის ადგილი, სადაც სრულიად საიდუმლოდ, შენიღბულად მქონდა ჩაკერილი იმ ნიუთათა სია, რომლებიც დაჭერის წინ მქონდა და, უკვევლია, რომ ჩამომართვეს. ის სია მაშინ ახლო ხანებშივე ჩამოვწერე ქაღალდზე. კარგად გავკონე, რათა შენახულიყო და შენიღბულად ჩავაკერე ანაფორაში. უფრო სწორად – ბერულ ანაფორა-კაბა



ში. მეორე დღეს მივეცი ის სია ჩემზე მომაგრებულ სხვა ხალხს. ვგრძნობდი, რომ ისინი ჩვეულებრივი მოქალაქეები კი არა, არამედ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები იყვნენ. მათ გამომართვეს სია, ცოტა ხნის შემდეგ კი გაოცებულებმა მითხრეს: რა საოცარი მახსოვრობა გქონიათ, რომ ასეთი დიდი სიზუსტით გაგახსენდათ ყველაფერი. მე კარგი მახსოვრობა კი მაქვს, მაგრამ მაინც ვუღარ გამახსენდებოდა, ასეთნაირად რომ არ ჩამომეწერა წინდაწინ და ასე რომ არ დამეშალა ის სია. არ ვუთხარი იმ ხალხს, რომ დამალული სიით შეეადგინე ახალი სია.

იქიდან ნოვოსიბირსკში ჩავედი. მცირედ რომ შევისვენე და სიარული შევიძელი, წავედი საკათედრო ტაძარში. წირვა მიმდინარეობდა. მომესმა მთავარდიაკონის ტლიერი ხმა, რომლითაც მოიხსენებდა ადგილობრივ მღვდელმთავარს: „ნოვოსიბირსკისა და ბარნაულის მთავარეპისკოპოსი ბართლომე...“ შევედი საკურთხეველში, თავიანი ვეცო ტრაპეზს და დავეკეცი მცირედ მოშორებით, შორინილი სახით. მთავარეპისკოპოსმა გადაულაპარაკა თანამწირველებს: მაგ კაცს ეტყობა, რომ სასულიერო პირია, ჩემთან მოიყვანეთ. მიმიწოდეს მასთან და მივედი. მითხა – ვინ ხარ? მიუგავ: მე სოხუმის ეპისკოპოსი ვარ, უღანაშაულოდ ვიტანჯე 7 წლის განმავლობაში ციმბირში პატიმრობით, ახლა გამამართლეს და სამშობლოში ვბრუნდები-მეთქი. გადაამეხვია. ვუთხარი: მე თქვენ გიცნობთ-მეთქი. გაუკვირდა – როგორ.



პატრიარქი ეფრემ II

ვუთხარი: თქვენ ამა და ამ დროს საქართველოში ბრძანდებოდით სტუმრად და იმ დროიდან მახსოვხართ-მეთქი. გაახსენდა. წამოყვანა თავისთან. ის ხალხი მოვიშორე. ამ მღვდელმთავარმა ძმასავით მიმიღო, მომიარა, მადანაჟა, შემოსა სასულიერო შესამოსელით. ვისადიღეთ. უცებ ამივარდა მუცლის საშინელი ტკივილი. ვკვდებოდი. გამოიბახა ექიმი. კარგად გაასინჯინა ჩემი თავი. გამაშუქეს. დაასკვნეს ექიმებმა, რომ მე სატყველს გავუღიზიანებდით; ამისი კუჭი ქილაღდივით სიფრიფანა გამხდარა და პურის ნამცეც-

მა ატკინა, უნდა დიეტა დაიცვასო. უფრო უკეთ მომიარა მოავარებისკოპოსმა. როცა იმდენად გამომაკეთა, რომ მე ზაერობა შეეძელი, დავემშვიდობე და ჩავედი მოსკოვში. იქ მომაკითხეს სახელმწიფო უშიშროებებიდან. მითხრეს: ჩვენ დავალება გვაქვს მოღებული, რომ ყურადღება მოგაგქციოთ და საჭიროების შემთხვევაში დაგეხმართო. მათ დანახვაზე მაკრეოლებდა, მაგრამ რა შემეძლო, მადლობა ვუთხარი. ეს ყველაფერი მოხდა 1943 წელს. იქ შემთავაზეს, დაგეხმარებითო სამშობლოში დაბრუნებაში, მაგრამ მე მაშინვე არ დაეთანხმდი, რადგანაც მოსკოვს ომი ელოდა და დიდი და პატარა სანგრებს აკებდა. ვიფიქრე, შეიძლება, ახლაც მცდიან-მეთქი. თანაც, ქალები, მოხუცები და ბავშვები იმ სიცივესა და ჟინვაში შიშველნი და შშივრები მუშაობენ და მე რომ ჩემი წვლილი არ შევიტანო ქალაქის დაცვაში, არ ვიქნები-მეთქი მართალი. ასეც ვუთხარი მათ: მეც უნდა ჩემი წვლილი შევიტანო ქალაქის დაცვაში, თუმცაღა 7 წელიწადია სამშობლოს მხოლოდ სიხმრადლა ვხედავ და მენატრება-მეთქი მალე დაბრუნება. მერე გავიგე, რომ მათ მართლა ევალათ ჩემთვის დახმარების გაწევა, მაგრამ იმავე ვაშს ცდილობდნენ, დარწმუნებულყოფენ ჩემს უბოროტობაში, რომ წყენა არ დამრჩა იმათ მიმართ, ვინც უსამართლოდ მაწამა, შესაბამისად - ხელისუფლების მიმართაც, ამიტომ ჩემმა ასეთმა პასუხმა დააკმაყოფილა ისინი.

როცა ვერემ II გარდაიცვალა, ამის შემდეგ ციხიანების ძმამ ლადომ მანახა სურათი ვერემისა, გადაღებული მოსკოვში, როცა ბარბაკადების აგებაზე მუშაობდა.

ვერემ II-მ გვიამბო: მოსკოვიდან სამშობლოში გამოვემართე, მაგრამ პირდაპირი გზით შეუძლებელი იყო მე ზაერობა,

რადგანაც ვერმანელებს ეკავათ - მოვიდის მიწა-წყალი, ამიტომაც შემოვლით წამოვედით, შუა აზიის მოვლით. ჩავედით ტაშკენტში. იქ მაშინვე მოვიკითხე ადგილობრივი მართლმადიდებლური კვლევის, რუსული. სასაფლაოზე იყო, იქ მივედი. კარგად მიმიღო მღვდელმა. საშინელი სიცხეები სცოდნია ზაფხულში, ხალხი დღისით ისვენებდა და ღამით მუშაობდა, ვისაც შეეძლო. ერთხელ, ღამით, სახლში რომ ძალიან დამცხა, გამოვედი გარეთ, სასაფლაოზე და საფლავის ქვაზე წამოვწექი. ცოტა ხნის შემდეგ ხალხის ხმა მომესმა და წამოვჯექი ქვაზე ხალხს ვგონა, მკვდარი წამოდგა საფლავიდან, შეშინდნენ და სულ წივილ-კივილით გაიქცნენ. ვუძახდი, მკვდარი არა ვარ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე.

ტაშკენტში ყოფნისას, ერთ დღეს, ვიდუქი ომის მსვლელობის, საომარ მოქმედებათა აღმნიშვნელი ნახაზის წინ. ამ დროს რამდენიმე კაცი დამიდგა უკან, ნახად დამადეს ხელი მხარზე და მოხოვეს ყურადღების მიპყრობა. ისე ვიყავი გადატანილ უსამართლობათა გამო დაძაბული, რომ გამუდმებით ცუდს ველოდი. მათ გამო მთლად გამეყინა სხეული, ვიფიქრე, კვლავ მიტერუნ და ვერ ვეღირსები-მეთქი ჩემი სამშობლოსთვის თვალის გადაღებას. ეტეობა, სახეზე დამეტეო შინაგანი საშინელი განცდები, ბოდიში მომიხადეს და მითხრეს: ეს ხომ თქვენ ხართ ვერემ სიღამონიძე, ეპისკოპოსი. დიან-მეთქი, - ვუპასუხე. ჩვენი, - მითხრეს, - ქალაქის ხელმძღვანელობიდან ვართ. მოსკოვიდან მივიდეთ მითითება, რომ ყურადღება მოგაგქციოთ და ყველაფერში დაგეხმართო. ისე გამიხარდა, რომ კეთილი მიზნით მომიძია იმ ხალხმა, რომ მადლობა ვუთხარი მხრუნველობის გამო - ხოლო დახ-

მარებისათვის კი არ შეგაწუხებთ, კეთილი ხალხი მეხმარება-მეთქი, ამის შემდეგ ცოტა ხანს კიდევ დავრჩი ტაშკენტში. იქ ბევრი ქართველი იყო, შემღებულად ცხოვრობდნენ. რომ გაიგეს ჩემი ამბავი, ბევრმა მინახულა და ფულითა და სურსათით დამეხმარნენ. დამტვირთეს სურსათ-სანოვაგით, მომცეს საკმაოდ ფული და გამაშხადეს საქართველოში გამოსამგზავრებლად. ერთ-ერთი სანახადგურო ქალაქიდან უნდა წამოესულიყავი გემით (დამავიწყდა იმ ქალაქის სახელი, ცხონებულს კი ახსოვდა). მგზავრობა დიდი რიგი იდგა. დაიტვირთა გემი მგზავრებით. გულისფანცქალით ველი ჩემი როგის მოხელას და გემზე ასვლას, მაგრამ ავიდა ჩემს წინ მღვთმც და გამაწერა რუსმა ჯარისკაცმა: „სტოი, კორაბლ პერეკრუჟენ, ბოდშე ნე პოლოუენი“. ვეხვეწე-ვემუადრე, ცრემლებით ეთხოვიდი – შეიდი წელია არ მინახავს ჩემი სამშობლო, ამიშვი, რა იქნება, ჩემთვის ყოველ წუთს მნიშვნელობა აქვს-მეთქი, მაგრამ იმისი გული ვერ მოვადბე, არ ამიშვა. რაღას ეიხამიდი, დაველოდე მეორე რეისს. გავიდა გემი კასპის ზღვაში. სულ რაღაც ოციოდე წუთი გავიდა გემის გასვლიდან, რომ გაისმა განგაშის საზარელი სიგანლის ხმა, მერე კი ადგილობრივი რადიოთი გამოაცხადეს, რომ ის გემი გერმანელებს დაუბომბაუთ და ჩაუძირავთ ზღვაში. გაუოგნდი... როცა ბაქოში გადასვლით გემიდან, იქ ერთი წერებთან ხნიერი რუსი კაცი გამეცნო. მოთხრა, მორწმუნე ვარო, მიპატრონა, დამეხმარა ბარგის ატანაში, დამაინავეა მატარებელში. ზედა იარუსზე დამაწვინა – ქვემოთ ხალხი ირვეა და შეგაწუხებენო, ნუ იდარდებ ნურაფურზე, მე მორწმუნე ვარო. ჩააღაგა ჩემი ბარგი, მე სახეზე თუთრი მანდილი დამაფარა – შუქმა არ შე-

გაწუხოს, კარგად დაიძინე და დაისვენე, თბილისში ჯან-ღონეზე მოსული ჩახვალო. მეც დიდად კმაყოფილი დავრჩი ასეთი კარგი კაცის გამოჩენით და ტკბილად დავიძინე. როცა გავიღვიძე, აღარც ის კაცი იყო იქ და აღარც ჩემი ბარგი, სულ პირწმინდად გაეუცლივარ იმ უღვთოს. მეწყინა, გული დამწყედა, მაგრამ სამშობლოს ხილვამ წყენა შემიწვია. აღოქმა მქონდა დადებული, სამშობლოში რომ დავბრუნდები, სადგურიდან ფეხით გავალ წმიდა ბარბარეს ეკლესიამდე, ხოლო როცა ამ და ამ ადგილზე მიუახლოვდები ეკლესიას, მერე კი სულ ჩოქვით მივალ-მეთქი. ასეც ვყავი. შევედი ეკლესიაში. ესა და ეს მღვდელი სწირაედა. უკვე რომელი ქერუბიშთას გაღობდნენ. მე ასე ჩოქვით მივედი წმიდა ბარბარეს ხატთან, ვემთხვიე, ვილოცე და ჩოქვითვე წავედი ამბოინისკენ. მგაღობლებმა მიცნეს და მღვდევარების გამო გაჩუმდნენ. ამ საგაღობლის განწვება არ შეიძლება, ამიტომ მწირველი მღვდელი განრისხდა და კმევის დროს შებრუნდა მრისხანე სახით მგაღობლებსაკენ. არც მას ჰქონდა მრისხანების უფლება, რადგანაც იმ საგაღობელში ითქმება, რომ ყოველივე ქვეყნიური საზრუნველი უნდა დაევიწყოთ. შემობრუნდა მღვდელი და. რომ დამინახა, გახარებულმა და გაოცებულმა წამოიძახა: „ეფრემ!“ იყო დიდი სიხარული და ცრემლების ღერა. თბილისს დაბრუნებიდან მესამე დღეს პატრიარქმა კალისტრატემ მომილოცა მშვიდობით დაბრუნება დეკემბრით და მამცნო, რომ დანიშნული ვარ ქუთათელ-გენათელ მიტროპოლიტად, ე. ი. ეპარქიაც მომცა და მიტროპოლიტის პატივშიც აღმიყვანა.

მასალა მოგვაროდა  
პაატა ქურდოვანიძე


### ქრისტე ყველაფერია

ყველაფერი ღოცვით გვარდება, მაგრამ საჭიროა, გქონდეს სიყვარული. შენი ღოცვა უნდა ენთოს, არ შეშფოთდე, იქონიე ღვთის სიყვარულისა და განგებულების ნდობა. სულიერი ცხოვრება ყველაფერს მოიცავს. ყველაფერი იკურთხება: კარგიც და რთულიც, მატერიალურიც და სულიერიც. ყველაფერი, რასაც უნდა აკეთებდეთ, გააკეთეთ ღვთის სადიდებლად, როგორც ამაზე პავლე მოციქული ამბობს: „გინა თუ შგამდეთ, გინა თუ სუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებლად ღმრთისა იქმოდეთ“ (1კორ. 10, 31). როდესაც მთელი არსებით ღოცულობ, მაშინ ყველაფერი კეთდება, როგორც საჭიროა. მაგ, რეცხავ ჭურჭელს და არცერთს არ ტეხ, არ ზარალობ. შენზე გადმოდის ღვთის მადლი. როდესაც შენში მადლია – ყველაფერი სიხარულით, უშრომელად კეთდება.




როდესაც ჩვენ ვღოცულობთ მშვიდობისათვის, ვიღოცოთ ფარულად: ღოცვა სრულდება ფარულად და არა სახეუნებლად: „ხოლო შენ, რაჯამს იღოციდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკაშ კარი და იღოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამა შენი, რომელი ხედავს და ფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე 6, 6). ყურადღების სწორად სხვა რამეზე გადატანა არ ეხმარება ღოცვას – მიატოვეთ ტელეფონები, მრავალსიტყვაობა და მუდმივი საუბრები ხალხთან. თუ ღმერთი არ შეგვეწყვა, რას მოგვიტანს ჩვენი საკუთარი ძალიანსხევეა? გამოსავალი ასეთია: ღოც-

ვა, სიყვარულით ღოცვა. ჩვენ უკეთესად ვეხმარებით ჩვენს ახლობლებს შორიდან ღოცვით მათზე. ჩვენ მათ შევეწვეთ ყველაზე უკეთესი, ყველაზე სრულყოფილი გზით.



თუ ჩვენ მუდმივად ვიღოცებთ, მაშინ ღმერთი განგვანათლებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ყოველ ჯერზე და რთულ ვითარებაში. თავად უფალი ღოცულობს ჩვენში, ღმერთი იპოვის საშველს. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია, შრომა ღოცვას შეუუთავსოთ, ანუ, როდესაც ჩვენ სერიოზული პრობლემა ან დიდუმა გვაქვს, მაგ, ჩვენს გადაწყვეტილებას წინ უსწრებდეს გაძლიერებული ღოცვა და მარხვა. მე ეს ბევრჯერ გამოკეთებია.



იღოცეთ ეკლესიისთვის, მსოფლიოსთვის, ყველასთვის. იესოს ღოცვა მთელ ქრისტიანობას მოიცავს. თუ მხოლოდ საკუთარი თვისთვის ღოცულობთ, ეს ანგარებაა, ხოლო თუ ეკლესიისთვის ღოცულობთ, თქვენ ამავე ეკლესიის წევრი ხართ. ეკლესიაში ქრისტე არის ერთობაში ეკლესიასთან და იმავდროულად მამასა და სულიწმინდასთანაც. ყოველდღეშიდა სამება და ეკლესია ერთია. თქვენი წყურვილი და მისწრაფება მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ განიწმინდოს სამყარო, რომ ყველა გახდეს



ქრისტესი, როდესაც თქვენ შედინხართ ეკლესიაში, განიცდით სამოთხისეულ სიხარულს, უფლის სიხარულს, რამეთუ დმრთუების სისახეს ეკლესიაში იმყოფება.



დიდია ძალა ღოცვისა. ძალიან დიდი – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბევრი ადამიანი ერთად ღოცულობს. ღოცვა ყველას აერთიანებს. შევიგრძნოთ ჩვენი მოყვასი, ვითარცა თავი თვისი – ამაშია ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სიხარული, ჩვენი საუნჯე. ქრისტეში ყოველივე ადვილია. ქრისტე არის ცენტრი, რომელშიც ყველა იურის თავს და ერთიანდება ერთ სულსა და ერთ გულში.



ღოცვა სხვებისთვის, ღრმა სიყვარულით შესრულებული – უანგაროა. მას უდიდესი სულიერი სარგებლობა მოაქვს. ასეთი ღოცვა მადლს ანიჭებს როგორც მას, ვინც ღოცულობს, ასევე მას, ვისთვისაც იგი აღესრულება. ის მას ღვთის მადლს ანიჭებს. როდესაც დიდ სიყვარულს გრძნობთ და ეს სიყვარული ღოცვისკენ გიბიძგებთ, მაშინ თქვენი სიყვარულის ტალღები იშლება და მოქმედებს მასზე, ვისზეც ღოცულობთ და ღოცვით მის გარშემო ქმნით დამცავ ჯავშანს, გააღუნას ახდენთ მასზე, მიგვაეთ სიკეთისკენ. როდესაც თქვენს მცდელობას ხედავს ღმერთი, გულუსებად გაძღუეთ თავის მადლს როგორც თქვენ, ასევე მას. მაგრამ

ჯერ ჩვენ უნდა მოვკვდეთ საკუთარი თავისთვის. ხვდებით?



ილოცეთ უფრო მეტად სხვებისთვის, ვიდრე საკუთარი თავისთვის. ილოცეთ სიტყვებით: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“ და თქვენს გულში ყოველთვის იქნება ადგილი სხვებისთვის. ჩვენ ყველანი ერთი მამის შვილები ვართ. ყველანი ერთნი ვართ, ამიტომ სხვებისთვის ღოცვისას ვამბობთ: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“ და არა „შემიწყალე ისინი“. ამ გზით ვაერთიანებთ მათ ჩვენთან.



ჩემს ცხოვრებაში პირველ ადგილზე დგას ღოცვა. მე არ მეშინია ჯოჯოხეთის და არ ვფიქრობ საშოთხეზე. მხოლოდ ღმერთს ვთხოვ, რომ შეიწყალოს მთელი მსოფლიო და მეც. როდესაც გაძლიერებულად ვლოცულობ, „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“, თუნდაც ადამიანებს ვეუბნობოდნე, არ ვანებებ თავს ღოცვას. ყველას ვღებულობ ქრისტეს სულით და ამ აუდროულად სიხარულით ვლოცულობ სამყაროზე. მე ეცდილობ, შევიყვარო ქრისტე ეს არის ჩემი მისწრაფება. ჩემი მრავალი დააუადების გამო, ბევრს ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ სიტყვებზე მეტად შემწეა ღოცვა.

მე ვლოცულობ თქვენს საჭიროებებზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია, რომ თქვენც მიპასუხოთ

ჩემს ლოცვაზე. ღმერთმა, რომელიც თავის მადლს გვიგზავნის, დაე, იპოვოს ამ მადლის მისაღებად გადაშლილი ჩვენი გულები. ყველაფერი, რასაც იგი ჩვენზე დაუშვებს – ჩვენი სულიერი სარგებლობისთვის იქნება. მაგრამ არა ისე, რომ მე ვილოცო და თქვენ გეძინოთ.



თქვენ ღიზიანდებით, როდესაც ხედავთ, რომ სხვები „არ არიან კარგები“. იმ დროს, როდესაც უნდა დაგეწყოთ ლოცვა, რომ ღვთის მადლით შესრულდეს ის, რაც გინდათ, თქვენი სიბრძნით სხვებს ასწავლით, რა უნდა გააკეთონ, მაგრამ არც მთლად მართებულად. საიდუმლოა სულ სხვა რამ – არა ის, რასაც ჩვენ ვაძიებთ ან მიეუთითებთ – საიდუმლო ჩვენს თავდადებაში, ღვთისადმი ჩვენს ლოცვაშია, რათა ღვთის მადლით ჩვენს მძებში გაიმარჯვოს იმან, რაც უკროფანია. აი, რაშია საქმე! რისი გაკეთებაც ჩვენ არ შეგვიძლია, იმას ღვთის მადლი გააკეთებს.




სწორად განმიკითხავენ, მაგრამ მე ვცდილობ, ვიყო, როგორც დაწერილია: „ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყვემან რად არა ავადის პირი თვისი“ (ფს. 37, 14). ილოცე მათთვის, ვინც განვიკითხავს. თქვი: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. მაგრამ არა ასე: — „შეიწყალე იგი“. რამეთუ შენს ლოცვაში ისედაც ჩართულია ის, ვინც გაგაცხება. შენი ახლობელი რაიმე საწყენს გაუბნება? – ღმერთმა ეს

უწყის. თქვენ განიპყართ ხელები ღვთისკენ ლოცვით: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე“. გონებრივად გააერთიანეთ შეურაცხყოფელი საკუთარ თავთან. ღმერთმა უწყის, რა აწუხებს მას შინაგანად, რა არ ასვენებს, დაინახავს თქვენს სიყვარულს და იქარებს, დაგეხმაროს.



იმისთვის, რომ თქვენი ცხოვრება ანგელოზებრივს დაემსგავსოს, ილოცეთ ყოველი ადამიანის განწმენდისათვის. დიას, ანგელოზები არ ლოცულობენ საკუთარი თავისთვის. ასე ვლოცულობ მე ხალხისთვის, ეკლესიისთვის, ეკლესიის სხულისთვის. ეკლესიისთვის ლოცვის დროს თქვენ თავისუფლდებით ვნებებისგან. ღმერთის დიდებისმეტყველების დროს ღვთიური მადლის მოქმედებით თქვენი სული დარბილდება და განიწმინდება. მინდა, თქვენც ისწავლოთ ეს ხელოვნება.



ღმერთს ნებავეს, რომ ანგელოზებს დაემსგავსოთ. ანგელოზები მხოლოდ ღმერთს ადიდებენ. ასეთია მათი ლოცვა – მხოლოდ დიდებისმეტყველება. დიდებისმეტყველება ფაქიზი რამ არის, იგი უსხლტობა ადამიანურ გაგებას. ჩვენ მატერიალური ხალხი ვართ, დედამიწაზე მიჯაჭვული, ამიტომ ჩვენს ლოცვაში ანგარებაა შერეული. ჩვენ ვთხოვთ ღმერთს, მოგვიგვაროს საქმეები, რომ ყვაოდეს ჩვენი ბიზნესი, ჩვენი უანმრთელობა, ჩვენი შეილება. მაგრამ ჩვენ ვლოცულობთ ადამიანურად, ანგარე

ბიანად, დიდებისმეტყველება კი უანგარო ღოცვაა. ანგელოზები არ ღოცულობენ იმ მიზნით, რომ რაიმე მიიღონ. ისინი უანგარონი არიან. ღმერთმა ჩვენც მოგვცა ასეთი შესაძლებლობა, რომ ჩვენი ღოცვა მუდმივი დიდებისმეტყველება, ანგელოზებრივი იყოს. ეს უდიდესი საიდუმლოებაა. როდესაც ასეთ ღოცვას შევძლებთ, მაშინ ჩვენ განუწყვეტლივ განვადიდებთ ღმერთს. ყველაფერს მას მივანდობთ, როგორც ღოცულობს ჩვენი კელესია: „ყოველი ცხოვრებამ ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევედროთ“. ეს არის ჩვენი რელიგიის „უმადლესი მათემატიკა“.



ბუერს ჰგონია, რომ მონოზონი კუშტი და უკარბაა, არ არის კომუნიკაბელური. ფიქრობენ, რომ ის მხოლოდ თავის სულზე ზრუნავს და არანაირი სარგებლობა არ მოაქვს კელესიისა და არც მსოფლიოსთვის. მაგრამ ეს ასე არ არის! ის, რომ კელესია ამდენი წელია, არსებობს და დაცულია, ყველაფერი მონოზენობის დამსახურებაა. ის, ვინც მონასტერში მოდის და ყველაფერს ქრისტეს მიუძღვნის, კელესიის წიაღშია. შეიძლება ვინმემ თქვას: „ხოლო მეუდაბნოენი, რომლებიც მარტო ცხოვრობენ გამოქვაბულში, განა ისინი ესმარებიან კელესიას?“ დიახ! გამოქვაბულის მოღვაწე კელესიას იღუმალის გზით ესმარებიან. გამოქვაბულში დაუვადებულნი, რა თქმა უნდა, არ რგავენ ხეებს და არ აშენებენ ბაღ-ენახებს, არ წერენ სამეცნიერო, საღვთისმეტყველო შრომებს და არ აღასრულებენ საქმეებს, რაც ეხმარება ცხოვრების წინსვლასა და პროგრესს, მაგრამ იგი თავის შიგნით ქმნის,

ვითარდება და განიდმრთობა. ასკეტები ცხოვრობენ გამოქვაბულებში, რათა ვერაფერი შეძლოს მათი სულიერი ცხოვრების გან მოწყვეტა. ისინი ეხმარებიან კელესიას თავიანთი წმინდა ცხოვრებით და უმთავრესად თავიანთი ღოცვებით.



დავ. თქვენი სული გაიხსნას ღვთის სიყვარულთან შესახვედრად ყოველთვის, როდესაც შედიხართ მონასტერში, სადაც ყველაფერი ნაკურთხია: ამდენი სული ღოცულობს, იღვწის, ღვთისნიერად ცხოვრობს. განწმენდილი სულები – მონასტრის დიდებაა. სული დაჯილდოებულია უდიდესი ძალებით, რაც მის გარშემო აისახება. ამგვარად კურთხეული ადგილები გაველენას ახდენს ჩვენზე და გვაძაღლებს სულიერად.



მონასტერში წარმატების მისაღწევად უნდა იღვაწოთ ვინმეს მხრიდან იძულების გარეშე: ყველაფერი სიხარულითა და სურვილით უნდა იყოს და არა ძალდატანებით. მონოზონი არ არის ის, ვინც იძულებულია, რაიმე გააკეთოს შექანიკურად და შიშის გამო. იგი ყველაფერს მხოლოდ ზეციური სიძის სიყვარულის გამო, ღვთიური სიყვარულით აკეთებს და არა იმიტომ, რომ ჯოჯოხეთი და სიკვდილი ახსოვს. მონოზენობა უნდა იყოს არა (ცხოვრებისაგან) უარყოფითი გაქცევა, არამედ გაქცევა ღვთიური სიყვარულისა და ღმერთის სამსახურისკენ.

ითარგმნა  
სამთავროს დელათა მონასტერში

## საშობრები და წერილები

ცოდეთ დაცემისა და სამოთხიდან განდევნის შემდეგ ადამიანის გონება მიდრეკილია გაფანტვისკენ, მას კერატის ხის (შოკოლადის მასალა) ნაყოფი იზიდავს და ამოც ცხოვრების სიცარიელეთ, ე.ი. ამსოფლიური წარმავალი ზრახვებით იკვებება. მას არ სურს ამოებისგან გათავისუფლება. სწორედ ბავით ლოცვას შეუძლია გონების ამსოფლიური ზრახვებისგან გათავისუფლება და სამარცხენო საკვების წართმევა. იგი გვაწვდის წმიდა საკვებს - ღვთის მადლს და ამ სულიერი საკვებით დამტკბარი გონება თანდათან წინ მიიწევს ლოცვაში.



მონაზვნობის მსურველს ბავით ლოცვით ყურადღებიანი ლოცვის შესაძლებლობა ეძლევა. თავიდან ყურადღება ყველა მხარეს გაიფანტება და მთელ სამყაროში იტრიალებს, მაგრამ ბავით ლოცვა თავის საქმეს გააკეთებს. რა თქმა უნდა, თავიდან ლოცვას აბი პროცენტით ვერ შევაკავებთ, მაგრამ ამას საკმაოდ კარგად შევძლებთ. ლოცვის სიტყვები გონებას მიიზიდავს, დაუბრკოლებლად ხეტიალის საშუალებას არ მისცემს და ამკარად ნელ-ნელა საკუთარ სამოფელში მიიყვანს.



ბავით ლოცვა გონებას ლოცვის შეკავებაში ეხმარება და გზას აშხადებს გონებრივი ლოცვისათვის. როდესაც გონება ყოვე-

ლივე ამსოფლიურის ტყვეობისგან თავისუფლდება, მაშინ ის გონებრივი ლოცვის გზას ადგება, ბავით ლოცვა კი ამ გზას „ამოკლებს.“ როდესაც გონება ბავით ლოცვაში განმტკიცდება, მაშინ გონებით ლოცვის აღსრულებას შეძლებს. დროთა განმავლობაში, ღვთის შეწვევითა და მღოცხველის მხრიდან მკვდილობით, მას შემდეგ, რაც ლოცვა გონებას დაეუფლება, მაშინ ის გახსნის გზას ქვემოთ - გულისკენ (სულიერი მნიშვნელობით), ხოლო როდესაც ლოცვა გულში ჩავა, გული მას ზემოთ „აისერის“.



დავაკვირდეთ საკუთარ სიტყვებს, აზრებს, ქცევას, მორჩილების აღსრულებას. ჯეროვნად გვეშინია თუ არა ღმრთისა? ყურს ვუვდებთ საკუთარ სინდისს? აღერიცხავთ სულიერ ბაღანსს? ელოცულობთ თუ არა? ხად არის ახლა ჩემი გონება? რა ვთქვი დღის განმავლობაში? რა დამისხლტა ყურადღებიდან? ამ კითხვებზე სინდისის „კომპიუტერი“ უპასუხებს: „აქ განიკითხე!“ „აქ მორჩილების დროს დაუდევრობა გამოიჩინე!“ „აქ ჩაგუბინა მღვიძარების დროს!“ „აქ გაიფიქრე ერთი, მეორე, მესამე!“ მე კი პასუხად ვუტყვი: „შვეცოდვ, შეშინდვ, ღმერთო ჩემო, შევცოდვ შენს წინაშე, ჩემი უფლის წინაშე! შეშინდვ, ღმერთო ჩემო, ასე აღარ მოვიქცევი, მსურს გამოვსწორდვ, შემეწივ მომეცი ყურადღება, ვინანიებ!“ და სხვ. ამგვარად, საკუთარ დაცემას განვაქარებთ და ვიძენთ ძალას შემდეგი ბრძოლისათ-


ვის. აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუ ყურადღებით ვიქნებით!



როგორც ქრისტემ ჯოჯოხეთში ჩასვლისას შეკრა ძველი ბოროტება, ღუციფერი, გამოიხსნა მართალთა სულები და ზეცად აღიყვანა, ასევე, როდესაც მის სახელს მოუუხმობთ, იგი სათნოებებს ჩვენს სულზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს და მას ღმერთთან ერთობისაკენ მიმართავს. როდესაც ღოცვა გონებიდან გულში ჩადის, ღოცვის მეშვეობით გონება ღმერთთან შესახვედრად მადლდება, მაშინ გული ღმერთის სასუფეველში შედის და სულიერი გრძნობით შეიცნობს სასუფეველს, სამოთხეს და ღმერთთან ერთობას განიცდის; მაგრამ თუკი გული არ განიწმინდება და მასში ქრისტე არ შევა ღოცვის მეშვეობით, მაშინ ის ენებიანი და უწმინდური დარჩება.



ქრისტე – ხორცშესხული სიტყვა – ჩვენთან მოვიდა, ჩვენს შორის ცხოვრობდა, საღმრთო ჭეშმარიტებას გვახწავლიდა და ღვთის სამგებლობა განგვიცხადა. იგი გვესაუბრებოდა სასუფეველზე, ადამიანის დანიშნულებაზე დედამიწაზე და მარადისობაში. ქრისტე ჭეშმარიტებას გვეუბნებოდა, ამიტომ მივიღებთ რა ჩვენში ქრისტეს (ქრისტეანად მონათვლით), ჭეშმარიტების მატარებლები გავხდებით, ჭეშმარიტება კი განგვათავისუფლებს ყოველგვარი სიცრუისაგან, ეშმაკის ყოველგვარი ტყუილისაგან



ბერი ევრემ არიზონელი

– ყოველი საეშმაკო ზრახვა ხომ მზაკერობა და ტყუილია. მტერი არასოდეს ამბობს სიმართლეს, არამედ ყოველთვის სიცრუეს ჩაგვაგონებს.



ბავით ღოცვა იყო პირველი, რასაც ჩვენი ბერი (იოსებ ისიხასტი) თავის მორჩილებაში მყოფებს აეაღებდა. იგი ამას ჩაგვაგონებდა და გვაძიებულებდა. მან აუცილებელი სწავლება გადმოგვცა და

მისი პრაქტიკულად შესრულება დაგვაკავალა: „როგორც კი თვალს გაახედა, დაიწვევს ხამამდლა ლოცვა!“ ჩვენ საქმით გამოვცადეთ ამ დარიგების უდიდესი ხარგებლობა. მორჩილების დაწვებამდე ვიფიქრებდით და თვალის გახედისთანავე ლოცვა ჩვენი ძალისხმევის გარეშე, თავისით მოვდინებოდა ჩვენი ბავშვებიდან.



სიმდაბლე არის „მწვანე შუქი,“ ამპარტავენება, სიამავე, ეგოიზმი, პატივმოყვარეობა კი – „წითელი შუქი,“ რითაც შეუძლებელია რაიმე წინსვლა. როდესაც გამოურთავთ „წითელს“ და „მწვანე შუქს“ ჩავრთავთ, ისევე დაიწვეება ლოცვაში წარმატება. როგორ შევიტყოთ, გვაქვს თუ არა ამპარტავენობა და ეგოიზმი? თუკი ძმა რაიმე დამამცირებელს ან შეურაცხმყოფელს გატყვის, შენიშენას მოგცემს, შენ კი შინაგანად აღშფოთდები, დამწუხრდები, აღდგება შენი „მე“ და შეწინააღმდეგებას დაიწვევს შინაგანად ან გარეგნულად – აშკარაა, რომ შენს გულში ამპარტავენობისა და ეგოიზმის იარაა. ღმერთმა დაუშვა, რომ ძმას ეს სიტყვები ეთქვა. ისინი ჭრილობაზე დადებული წამალია, სამედიცინო სპირტია – აი, რატომ განიცდი ტკივილს. მაგრამ ეს ტკივილი ჩვენთვის სახარგებლოა, თუ მას სწორად მივიღებთ. რა ხდება? – „სამედიცინო სპირტით“ ჩვენი იარა იწვეება. ხედავს ეს საშუალება, ანუ ამის სიტყვა, ნაკლებად დაგვეწავს და ისე ძლიერად აღარ გვეტყინება. ასე თანდათანობით მოწვეით ამპარტავენობის წყლული განიკურნება. მაგრამ თუ ამ ტკივილით გაღიზიანებულნი შევეწინააღმდეგებით

და ვიკამათებთ, დამწუხრდებით და აღმწფოთდებით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ წამალი არ მოგვეწონა, არ მივიღეთ და ამის შედეგად ჩვენი ჭრილობა გამიზნდება, სიტუაცია გამძაფრდება და ადამიანი შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ყოველივეს მტრულად შეხედეს. სიმდაბლე აღებს კარს, რომლითაც შესაძლებელია დუთის შიდა ეზოში შესვლა. იესოს ლოცვა ჩვენს შინით იჩქევს, გარეთ გადმოდინდება, სიმდაბლე კი ლოცვას დაეხმარება და საიმედოდ გვიხელმძღვანელებს. ასე დაიწვევს ლოცვა ნაყოფის გამოღებას.



წარმატების მიზეზი ადამიანის მცდელობაშია. ჩვენს სკოლაში ერთხა და იმავე რამეს ვამბობთ, მაგრამ წარმატება მხოლოდ ის, ვინც თავს აიძულებს, მორჩილებას იწენს და წმიდა მამათა ამ დარიგებებს შეისმენს. შეიცნობს ისეთ ხუდიერ საგნებს, რომლებზეც ვერც იოცნებებდა. ხოლო თუკი თავს არ აიძულებს, ისეთივე ვერ დარჩება, როგორიც იყო, ვინაიდან ადამიანი ან ზემოთ ადის, ან ქვემოთ ეშვება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმე ჩვენგანი ქვემოთ დარჩეს!



მაგონდება, რომ ჩვენი ბერი ძალიან ცოტას გვარიგებდა და იმასთან შედარებით, რამდენსაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ ლოცვის შესახებ. მაგრამ ის ცოტაოდნო, საკუთარ მისწრაფებაზე გადაამრავლებული, ბევრი ხდებოდა. უდაბნოში ხალხის დასანაყრებლად მოციქულებმა მხოლოდ

ხუთი პური იშოვეს. ქრისტემ აკურთხა პურები, რის შემდეგაც ისინი ათასობით ადამიანს ეყო საძლომად და დარჩა კიდევ (მთ. 14,19). ასევე, ბერის ხუთ სიტყვას, ღვთის კურთხევითა და ჩვენი გულმოდგინებით, უხვი ნაყოფი მოჰქონდა.



ურ ცხოვრებაში მარცხი განიცადა, ეს იმიტომ, რომ კარგი საწყისი არ დადო, არ დაგეგმა თავისი სულიერი სახლი, არ ჩაუყარა მყარი საძირკველი, საიმედოდ არ გაამაგრა და ამიტომ სახლი დაინგრა.

თავი ვაიძულოთ ღოცვისათვის! დაეიწყეთ მცირედით: გაღვიძებისთანავე, როგორც კი თვალს გაუახვლო, ბაგეებმა მაშინვე დაიწიონ ჩურჩულით ღოცვა. როდესაც მორჩილებაზე უშრომობთ, დაე, ყველგან თან გუდევედს ღოცვა. ასეთი ქმედების შემდეგ უკვე რამდენიმე დღეში სულში ეივარძნობთ რაღაც განსაკუთრებულს: სიხარულს, მშვიდობასა და განსვენებას. მხოლოდ ისიც კი, რომ ღოცვის წარმოთქმისას რამდენიმე დღე ზედმეტად არ ეილაპარაკებთ, მცირე შენაძენი როდი იქნება – მხოლოდ ისიც კი, რომ ღოცვა ხელს უშლის საუბრებს, არის რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი.



თუ მონაზონს სიმდაბლე და თავის ბრალდება არ გააჩნია, მისთვის ცხოვრება ძნელია. განა ეინმე ცხოვრდება სიმდაბლის გარეშე? აბა ისააკ ასური ამბობს, რომ სიტყვა ღმრთისა შეიმოსა სიმდაბლით, ადამიანური სხეულით, გახდა ადამიანი და ასე შეძლო ადამიანთან მიახლოება და მიწაზე სიარული. ის რომ მთელი თავისი დიდებით მოსულიყო, ვერც ადამიანი გადაიტანდა ღმერთთან სიახლოვეს და ვერც დეღამიწა შეაკავებდა ღვთაებრივ ცეცხლს. სიმდაბლემ დაფარა ღვთაებრიობა და ქრისტემ ადამიანის ცხოვრება შეძლო. ცხოვრებისათვის ადამიანიც სიმდაბლით უნდა შეიმოსოს.

ღოცვა ყველაფერს მოაწესრიგებს: დიდიანვე აკურთხებს მთელ დღეს და მას სასარგებლოდ გაკატარებინებს. დაიწყეთ ბავით ჩურჩული: „უფალო იესო ქრისტე, შემიწავლე მე!“ ეს ღოცვა დაეხმარება გონებას და მთელ სულიერ წყობას. ამ ღოცვის მაღლით კარგი განწყობით დაიწყებთ დღეს. როდესაც ამას ყოველდღიურად გაეიმეორებთ, ყოველი გაღვიძებისას, მაშინ დაედგბთ ისეთ კარგ საწყისს, რაც აუცილებელია ცხოვრების გზის კეთილი დასასრულისთვის. თუკი ადამიანმა სული-

სიმდაბლე მოდის მაშინ, როდესაც ვამბობთ: „შემინდე, შეუცდი!“ როდესაც მონაზონი ამას კი არ ამბობს, არამედ ეწინააღმდეგება და თავს იმართლებს, ეს აბრკოლებს მას, აძნელებს ცხოვრებას. როდესაც კინოეიაში მცხოვრები მონაზონი განიკითხავს და განსჯის დანაშაულს და ამბობს: „დამნაშავე ვარ, შემეშადა!“ ეს სათნოება იქცევა მისთვის საძირკველად, რომელიც ისე გააძლიერებს და განამტკიცებს, რომ დაცემის საფრთხე აღარ ემუქრება.



მლოცველისათვის ღოცვა იქცევა ღირსებად და სამკაულად, განსაკუთრებით – მონაზვნისთვის. თუ მონაზონი არ ღოცულობს, მას არ ექნება სულისა და გონების ეს სიღამაზე და შემკულობა. რას ნიშნავს გონების სიღამაზე? – მისი შეცნობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ღამისთევის ღოცვის დროს გონება მადლდება ღმერთთან სხვა, სულიერ სამყაროში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ამ მატერიალურ სამყაროსთან. როდესაც სულიწმიდა გადმოვიდის, მაშინ გონების აღტაცება ხდება მცისიერად. გონება ღვთიურ ნათელსა და სამოთხეს ეხება, ზებუნებრივ, მიღმიერ სამყაროში მოვზაურობს, განიხილავს, იკვებება, კეთილშობილდება, გაბრწყინდება, გამშვენდება, კეთილსურნელებით ივსება, მადლდება საკუთარ თავზე.



ქრისტეს სახელის მოხმობა დაფუძნებული უნდა იყოს სიმდაბლეზე, იმის შეცნობაზე, რომ მე ცოდეილი, განსახველი, ენებიანი, დაჭრილი ადამიანი ვარ. რომ მე ყალიბი, საბაგელი, სულით ბრმა ვარ. მე ვუხმობ ქრისტეს, რათა დავიჩახო, რათა თვალი ამეხილოს, ტრილობები განმეკურნოს, ჩემი დანაშაული აღიხოცოს, რათა გამოვეჩან-მრთელდე, რადგან სწული ვარ. რათა მწვირისაგან განვიწმინდო და კეთილსურნელება შევიძინო. აი, რა არის ჩემთვის ღოცვის ხმაძალა წარმოთქმის საბაბი და არა ის, რომ თითქოს რაიმეს წარმოვადგენდე საიდან უნდა მოდიოდეს ეს „რაიმე“ მოციქული პავლეს სიტყვების თანახმად: „რად

გაქვს, რომელი არა მიგიღებოც? ხოლო უკეთუ მიგიღებოც, რახა იქავდი, ვითარცა არა მიღებულსა?“ (1 კორ. 4, 7).



ქრისტეს სახელის წინაშე „ყოველი მუსლი მოდრკეს ზეცისათანი და ქვეყანისათანი და ქუესკნელთანი“ (ფილიპ. 2, 10). ყველა ერი, ტომი, ყველა ადამიანი თავყანის-სცემს და აღიარებს, რომ ქრისტე არის მსაჯული ცოცხალთა და მკვდართა. ნეტარი და ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ქრისტეს სახელს აღიარებს. როგორც ცოდეილიც გინდა იყოს – თუკი ქრისტეს სახელს აღიარებს, მაშინ თავად ქრისტე ახსნის მას ცოდვათა სიმძიმეს და წარხოცავს მის დანაშაულს. „ნეტარ არიან, რომელთა მიეტყვენეს უშჯულუობანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი“ (ფს. 31, 1).



ცოდვები მიეტყვება და დაიფარება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ღმერთს უხმობს შეწვევისათვის. მაშინ ქრისტე ანიჭებს სინანულს, რომელიც შეერთებული ცრემლებთან და ცოდვებზე წუხილთან და განაახლებს და ხელახლა შობს ადამიანს ამის შემდეგ სინანულს ის მიჰყავს ჯერ სიხარულთან შეერთებულ ტირილამდე შემდეგ კი – ტირილამდე ღვთიური სიყვარულის გამო. ამგვარად ადამიანი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ამ ყველაფერს შობს და მოგვიტანს ღოცვა მხოლოდ ქრისტეს სახელის მოხმობა.

თარგმნა მონოზონმა ვეგენიამ



ქართველთა ჯერის მონასტერს ძალიან საინტერესო ნარკვევი მიუძღვნა რუსმა ებრაელ-მა მეცნიერმა, ზორის ვაშმა. შრომა პატარა წიგნაკის სახით გამოიცა იერუსალიმში 1990 წელს, რუსულ ენაზე. 2009 წელს იგი სამთავრობო მონასტრის მონაზონმა ევენიამ თარგმნა. საინტერესოა უცხოელი ავტორის თვალთ დანახული ქართველთა ჯერის მონასტრის ისტორია. ნარკვევიდან ნათლად ჩანს, რომ იგი სიღრმისეულად იცნობს როგორც ქართულ, ისე ბერძნულ წყაროებს და მათი შეჯერების საფუძველზე წარმოგიდგენს ჯერის მონასტრის რეალურ მატეანეს.

ქართველი ხალხი ფრიად მიჯაჭვულია თავის მიწა-წყალს. ძნელია საშვობლოს გარეთ ბედნიერი ქართველის წარმოადგენა. იქნებ, სწორედ ამიტომ მოწანს ასე მოწყვნილ-ჩაფიქრებულნი ჯერის მონასტერი იერუსალიმში.

ქართველი მოღვაწეების მიერ აგებულმა მონასტრმა ისეთივე ბრძოლა და უბედობა გამოიარა, რაც წილად ხედა თვით ქართველ ხალხს. დღესაც, საბერძნეთის ტყვეობაში მყოფი, დასახმარებლად უხმობს და მოუთმენლად უღის თავის ნამდვილ პატრონს.

პირველი ცნობები ჯერის მონასტრის შესახებ გვხვდება ისტორიულ წყაროში „ქართლის ცხოვრება“. ქართველებმა უძველესი დროიდან დაიწყეს თავიანთი ცხოვრების, ბუდის უმნიშვნელოეანები მოვლენების აღწერა. ეპითაღმწერლებს თითქოს ეშინოდათ იმ აზრისა, რომ, შესაძლოა, დაიწყებდნენ მისცემოდა ისტორია ქვეყნისა და ამიტომ ცდილობდნენ, დაწერილებით აღწერათ იმ დროინდელი მოვლენები. საქართველოს ისტორია, შეიძლება ითქვას, მოვლენების ცხელ კვალზე იწერებოდა.

აღნიშნული წყაროს თანახმად, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა IV ს-ში, წმიდა მეფე მირიანის დროს. ამ ამბავმა მიადწია საბერძნეთის მეფის, წმიდა კონსტანტინე დიდის ყურამღე, რომელმაც ქართველთა მეფეს სხვა ძვირფას სიწმინდეებთან ერთად (მაცხოვრის ფერხთა

ფიცარი, ხელთა სამსჯვალნი და უფლის ჯერის ნაწილი) აწუქა მიწის ნაკვეთი იერუსალიმში.

სხვა ვერხითი, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უჭერს მხარს, წმიდა მეფე მირიანმა ეს მიწის ნაკვეთი საჩუქრად კი არ მიიღო, არამედ შეიძინა.

ასე იყო თუ ისე, ქართველები გახდნენ სწორედ იმ მიწის ნაჭრის მფლობელები, რომელზეც ოდესღაც იზრდებოდა ხე, რომელიც რომაელებმა უფლის ჯვარცმისთვის გამოიყენეს.

ამ ხის ისტორია ასეთია:

„ერთი სირიული აპოკრიფული წერილი მოგვითხრობს შემდეგს: ერთ დროსა, როდესაც ღოტმა შესცოდა, წარვიდა იგი, რათა ეღიარებინა თვისი შეცოდება წინაშე აბრაამ მამამთავრისა. შემდეგ მოსმენისა ღოტის მიმე შეცოდებისა, აბრაამმა გამოიღო ცეცხლიდან სამი მუგუზალი, რომელნიც იყვნენ კვიპაროსისა, ნაძვისა და სოჯისა და უბრძანა ღოტსა: დანერგე ეს მუგუზალნი და მორწყე უკეთუ ეს მუგუზალნი იხარებენ და გაიზრდებიან, ეს იქნება ნიშანი მიტვეებისა შენის მიმე ცოდვისა. ღოტმა შესარულა ესრეთ, ვითარცა უბრძანა მას ბიბამან. მუგუზლები განედლდნენ, აღმოსცნდნენ და შეერინენ ერთ ხედ. სოლომონ მეფის ტაძრის აღშენების დროს იქნა მოჭრილ ეს ხე, მაგრამ რადგან არ გამოდგა შენობისთვის, იგი იქნა დატყვებულ უხ-

მარებელად. ხოლო მაცხოვრის ჯვარცმის დროს, საკუთარს განგებთა ღვთისათა, იგი იქმნა მოღებულ და ხმარებულ მოსამზადებლად ჯვარისა, რომელზედაც ჯვარცმულ იქმნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

მეორე გადმოცემა მოგვითხრობს შემდეგს: როდესაც პირველი მამა ადამ მძიმედ დასნეულდა, მან წარავლინა სეთი, ძე თვისი ედემსა, რათამცა ეთხოვნა წამალი საკურნებლად უძღურებისა. ანგელოზმა, რომელიც იცავდა სამთხის ბჭეთა ცეცხლის ხრმალითა, წაშლის მაგიერ მისცა მას სამი თესლი: კვიპაროსის, ნაძვის და სოკის. მაგრამ სეთის მობრუნებამდის უკვე გარდაიცვალა ადამ. სეთის მოუვიდა აზრად დათესვა ამ სამის თესლისა მამის საფლავზედა. ამ სამი თესლისაგან აღმოსცენდა შემდეგ ერთი დიდი ხე, როდესაც აშენებდნენ სოლომონის ტაძარსა და ყოელის მხრიდან შეპირებადნენ უმჯობეს მასალათა, მაშინ ეს ხეც იქმნა მოკვეთილ; მაგრამ გამოინდა იგი ხმარებისათვის უვარგისად; ამისათვის იგი იქმნა გადაგებულ მახლობელს ხილაძის საბანელში ხიდათ, რომლითაც გადადიოდნენ მეორე ნაპირზედ. როდესაც უფალსა იესო ქრისტეს მიუხაჯეს ჯვარცმით სიკვდილი, მაშინ ურიათა მოინდომეს მძიმე ხისაგან შემზადება ჯვარისა, მათ მიერ მოძულეებულისა რაბინისათვის (მოძღვრისთვის) და აღირჩეს ეს ხე, ვითარცა ყველაზე უმძიმესი, რადგან მთელი საუკუნეები იდგა წყალში.

ესე გადმოცემა, შეწუნარებული მამათა მიერ ეკლესიისა და წმიდა იოანე დამასკელის მიერ და სხვათა გალობის შემთხვევითა, ქრისტიანობრივისა ეკლესიისა, შეიქმნა საფუძველად აღმენებისა ამ ადგილზე სავანისა და სახელწოდებისა მისისა მონასტრად პატიოსნისა და ცხოველსმოყოფელისა ჯვარისა“ (ეკ. პეტრე კონსტოშვილი, „მოგზაურობა წმიდა მიწაზე“).

წინა საუკუნეებში ამ გადმოცემის ამ

სახეელი სოფეტური სცენები ამჟღავნებდა ჯვრის მონასტრის ტაძრის ედგლებს, მაგრამ ისინი წაიშალა და შეიღება ტაძრის ახალი მფლობელების მიერ. ახლა ქართული ფრესკების ხილვა მხოლოდ აქა-იქ შეიძლება.

წმიდა მეფე მირიანმა ახლად შეძენილ მიწაზე ააგო პატარა ტაძარი, მეტი მანვერ მოასწრო. იერუსალიმის ქართული სიწმინდეების შემდეგი მფარველი მოამაგე იყო წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი. გამთაღმწერელი ახასიათებს 15 წლის ასაკში გამეფებულ ვახტანგს, როგორც ბრძენ მმართველსა და უშიშარ მეომარს. წმიდა ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდს მემატრიანენი აყვავების ხანას უწოდებენ. მის დროს დაიწყო მრავალი ახალი ტაძრის მშენებლობა. მეფემ უკურადღებოდ არც იერუსალიმის ქართული ტაძრები დატოვა. ერთ-ერთი მემატრიანე მეფე ვახტანგის პალესტინაში მოგზაურობის შესახებაც მოგვითხრობს. ცნობილია ასევე, რომ გორგასალმა იერუსალიმში გააგზავნა ქართველ ცხენოსანთა გარნიზონი, რომელსაც ევალებოდა ჯვრის მონასტრის დაცვა იოლი ნადავლის მოყვარულთაგან. მეფის გამოგზავნილნი დასახლდნენ მონასტრის ახლოს, დააარსეს სოფელი მალხა და თაობიდან თაობას გადასცემდნენ წმიდა მეფე ვახტანგის ანდერძს - დაცევით მონასტერი.

დუკანოზმა პეტრე კონსტოშვილმა (შემდგომში ეპისკოპოსი), რომელმაც XIX ს-ის ბოლოს იმოგზაურა პალესტინაში, ჯერ კიდევ მოასწრო ამ სოფლის მოლიანობაში და უწებლად ხილვა. „ჯვრის მონასტრის ახლოს, ე.წ. „ვარდის დედეში“ მდებარეობს ადგილი მალხა. იქ ცხოვრობს ორივე სქესის 600 ადამიანი. დადის ხმები, თითქოს მალხის მცხოვრებლები არიან V ს-ში ვახტანგ გორგასლის მიერ ჯვრის მონასტრის დასაცავად ჩამოსახლებულ ქართველთა შთამომავლები. მათ დააიწყოდა“



მშობლიური ენა და შამა-პაპათა სარწმუნოება, მაგრამ ყურმოკერით მაინც იციან, რომ არიან შორეული აღმოსავლეთიდან აქ ჩამოსახლებული უცხოტომელები და უწოდებენ თავს „გურჯებს“. ამ ადგილის ახლოს მცხოვრები არაბები მათ თვლიან მოსულს, უცხო ტომად. ისინი ღაპარაკობენ არაბულად, ცოტას თათრულად და ბერძნულად. იცავენ და ემსახურებიან ჯვრის მონასტერს, ამუშავენ მონასტრის მიწებს და ეენახებს. მონასტერს მხოლოდ მესამედს აძლევენ, მაგრამ მეტადრებს არ შეუძლიათ მიწის გადაცემა სხვა მეიჯარეებისთვის, რადგან ეშინიათ მალხულების უკმაყოფილები. სახით, ხასიათით და ზნე-ჩვეულებებით ისინი განსხვავდებიან მათ მესობლად მცხოვრები არაბებისაგან, – წერდა დეკ. პეტრე კონტოშვილი.

ირაკლი აბაშიძემ, რომელიც 1960 წელს იყოფებოდა იერუსალიმში, სამეცნიერო ექსპედიციის შემადგენლობაში, მოესწრო მალხასასე ეთნოგრაფიის, მის ბოლო ამოსუნთქვას. გზაზე მცენიერმა მას აუხსნა, რომ იქ

ახლა თითქმის არაინაა. აწ დაცარეულ ბული სოფლის მცხოვრებლები ომის-დროს გადაასახლეს სადაც შორს, უწინ კი აქ ცხოვრობდნენ არაბები, რომლებიც რატომღაც თავს უწოდებდნენ „გურჯებს“.

ადგილობრივ მცხოვრებთა ბოლო თაობა ისე გაიფანტა პალესტინაში, ვერ გაიგეს, რომ მათი შორეული წინაპრები მართლაც „გურჯები“ – ქართველები იყვნენ ირაკლი აბაშიძეს დარწმუნდა მხოლოდ შეკახილი: „მალხა... მალხა... მშვიდობით, სახითა და ხასიათით უცნაურო არაბები! მუქვენება, თითქოს ახლახანს დამთავრდა თქვენი სეველიანი სიმღერა“.

კიდევ 6 წლის შემდეგ ისრაელში გაგზავნილ იქნა ქართული ტელევიზიის თანამშრომელთა ჯგუფი ჯვრის მონასტრის გადასადგებად. მწერალი ილია რურუა მოგვითხრობს, რომ მალხის ადგილას იპოვა „მხოლოდ ნანგრევები, მაგრამ ამ ნანგრევებშიც შეგვეპოვა გაგვეჩინა ჩვენთვის ნაცნობი არქიტექტურული ფორმები – ქვის სახლები, ტიპური ქართული ფანჯრებით,



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი



წმიდა იქვსი წმინდა სტეფანოსი

ბუხრებთა და კედლის კარადებით; ჩვენი ყოფის განუყრელი ატრიბუტი – მარნის მიწაში ჩამარხული უხარმაზარი ქვევრები, ამჟამად, ვაი, რომ ქვებით საესე...“

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს მონასტერმა ახალი სახე მიიღო. გაფართოვდა და შეიმკო ტაძარი, მოწესრიგდა ტაძრის მიმდებარე ტერიტორია.

საკურთხეველის ერთ-ერთ ფილის ქართულენოვანი წარწერა გვამცნობს: „ესე წმიდა და უპატიოსნესი ჯვრის მონასტერი, ღვთის შეწვევით, აგებულ იქნა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ“.

დროთა განმავლობაში ჯვრის მონასტრის ირგვლივ იზრდებოდა ქართული კოლონია, ჩნდებოდა ახალი დასახლებები, სასტუმრო სახლები, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს პეტრე იბერს, ერში – მურვანოსს.

როგორც მოგვითხრობს პეტრე იბერ-

ის ცხოვრების ავტორი, მურვანოსი წერს კიდევ უფლისწულობაში, მცირე ასაკიდან აედუნდა მიდრეკილებას განდევნილობასა და ხანგრძლივი ლოცვისადმი, მაგრამ 12 წლის ასაკში ძლიათ იქნა გაგზავნილი საბერძნეთის კეისრის კარზე. თურმე ბერძნებს ეწინოდათ, რომ ქართველები არ დაახლოვდნენ სპარსელებს და „შეგობრობის ნიშნად“ მოითხოვეს უფლისწული. რამდენიმე წლის შემდეგ მურვანოსმა და მისმა ერთგულმა შეგობარმა მაინც მოახერხეს საბერძნეთის საშუალო კარიდან გაქცევა და იერუსალიმამდე მიღწევა. იქ ისინი აღიკვეცნენ ბერად უფლის საფლავის ეკლესიაში და მიიღეს ახალი სახელწოდება: მურვანოსს უწოდეს პეტრე, მის შეგობარს – იოანე. მოკლე ხანში პეტრე იბერმა და იოანე ღაზმა აღაშენეს იერუსალიმში სასტუმრო ქართველ მომლოცველთათვის. არანაკლები ზრუნვა გამოიჩინეს ჯვრის მონასტრისადმიც. ქართველი ბერების ამბავი სინათლის სისწრაფით ერცვლდებოდა. და მალე, პატრიარქის დაქვემდებარებით, პეტრე იბერი იძულებული იყო, მიეღო ეპისკოპოსის ხარისხი და გადასულიყო მათში (ღაზა), რა თქმა უნდა, განუყრელ იოანესთან ერთად. პეტრე იბერი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში და დაკრძალულ იქნა თავისსავე მონასტერში, იოანე ღაზის გვერდით.

XX ს-ის 40-იან წლებში იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პეტრე იბერის მონასტერში ვათხრების დროს აღმოაჩინა ორი ცარიელი საფლავი. რა იქნა ქართველი მოღვაწეების ნეშტები? მცენიერ შადვა ნუცუბიძის ვარაუდით, XII ს-ის ბოლოს, როდესაც პეტრე იბერის მონასტერი ნანგრევებად იყო ქცეული მუსლიმი დამპყრობლების მიერ, პეტრესა და იოანეს ნაწილები, მთელი აღბათობით, გადატანილ იქნა ჯვრის მონასტერში ხოლო, როდესაც XIII ს-ის დასაწყისში იქ



ჩავიდა შოთა რუსთაველი, პირველი, რაც მან გააკეთა – განამშვენა ტაძარი, როგორც ძველი მხატვრობის განახლებით, ისე ახალი ფრესკებით. მათ შორის არის პეტრე იბერიისა და იოანე ღვთისმეტყველების გამოსახულებები. შ. ნუცუბიძე ასკენის: „პეტრეს სურვილმა, განუყრედ მეგობართან ერთად დამარხულიყო, გამოხატულება კჳოეა არამარტო მეზობელ სამარხებში დაკრძალვით, არამედ ჯვრის მონასტრის კედლებზე გვერდი-გვერდ გამოსახებითაც“.

უინტერესო არ იქნება, აღვნიშნოთ ერთი დეტალი: როდესაც პეტრე იბერი და იოანე ღვთისმეტყველი იმყოფებოდნენ იორდანეს უდაბნოს მონასტერში, ამ უკანასკნელს სახე დაუმახინჯდა ავადმყოფობის გამო, წაერთვა მხედველობა – დაბრმავდა. მის რცხეუნოდა თავისი უძღურებისა და იფარავდა სახეს. ჯვრის მონასტრის ფრესკაზე ჩვენ ვხედავთ სახევეს მის თეალებზე და წარწერას: „იოანე წელი თქვენნი მორტყმულ და სანთელი აღნითებულ“. აქედან ჩანს, თუ როგორი სიზუსტით ცდილობდნენ მხატვრები გამოსახატავი პირის გარეგნობის აღწერას, ეს ფაქტი კი გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველის პორტრეტმაც ტაძრის სვეტზე ამგვარადვე შემოგვინახა უდი პოეტის რაღაც ნაკეთები...

დავუბრუნდეთ XI ს-ის პირველ ნახევარს, როდესაც გაერთიანებული საქართველოს მეფის, ბაგრატ კურაპალატის სახსრებით ჯვრის მონასტერი ახლიდან აშენდა. ყველა ამ სამუშაოს ხელმძღვანელობდა პროსორე შავთელი. იგი ვახტა იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის პირველი წინამძღვარი. წარწერა ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯზე გვაუწყებს: „მე, უდორსმა წინამძღვარმან ჯვრის მონასტრისა და გოლგოთისა, დაწვერე ესე უდიდესი შრომითა და გარჯით. ამინ“!

პროსორემ თავის გარშემო შემოიკრიბა ორმოცამდე ქრისტესმოყვარე ძმა. უზრუნ-

ველყო ისინი ყოველივე აუცილებელით, დაუდგინა ტიპიკონი და უბრძანა მუხლნა უზრელი ლოცვა და შრომა.

პროსორე შავთელი აღესრულა 1066 წელს „შრომითა და სიბერითა“. მონასტრის სამშოს დახმარებით მის მიერ აგებული ტაძარი დღემდეა შემონახული.

საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა ჯვრის მონასტრის დიდება და იგი დამსახურებულად იქცა სახელგარეთის ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის დედად.

საქართველოს მეფეები და დიდებულები თავს ვალდებულად თვლიდნენ, შეეწირათ წიგნები და ხელნაწერები ეროვნული კულტურის მთავარი საეპისკოპოსოსის ქვეყნის გარეთ – ჯვრის მონასტრისთვის. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ აქ ოდესღაც ხელნაწერებითა და გრაგნილებით მდიდარი წიგნთსაცავი იყო, მაგრამ მუდმივი თავდასხმებისა და საეკლესიო ქონების გაძარცვის შედეგად, მონასტრის ბიბლიოთეკა მთლიანად განადგურდა.

სალადინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვრის მონასტრის წიგნთსაცავი ისეთ საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მემატინანს თქმით, „არსად დარჩენილა ხელნაწერის ან წიგნის არცერთი ფურცელი“. რაც ცეცხლს გააღურჩა, იფიდებოდა გროშებზე იერუსალიმის ბაზარში. მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, მონასტრის დაბრუნებისთანავე, ქართველები შეუდგნენ წიგნთსაცავის შეესებას ძვირფასი ექსპონატებით. დღეს ისინი ობლად დევს საბერძნეთის საპატრიარქოს არქივის თაროებზე.

იღია რურუამ და მისმა მგეობებმა მოახერხეს ამ სათავსოში შედგენა. — კიბებზე ჩასვლისა და ლაბორინთის გადვის შემდეგ, — მოგვითხრობს იგი. — ჩვენ აღმოჩნდით უშნო შუშანი გადვრეის დაკეტილ კართან. ნუთუ ეს არის ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელზეც ამდენი გაგვიგო-

ნია და წაგვიკითხავს.

პატარა მისაღებიდან, რომელიც არტემიოსის ბიბლიოთეკის მმართველის კაბინეტის როლს ასრულებს, მოხედებით ბნელ და ნესტიან ოთახებში. ისინი ორია. ამ წიგნთსაცავების იატაკი არის მიწის დონეზე. ხის მატლით გამოჭმულ და ნესტისაგან დამპალი კარადების თაროებზე დევს ქართული ფოლიანტები. ათვალიერებ ტყავის ან ჭილ-ვერატის გრაგნილებს და ფიქრობ ადამიანებზე, ჭეშმარიტ მოღვაწეებზე, რომლებმაც მრავალი დეაწლის ფასად შექმნეს ეს ხელნაწერები.

კრძალვით ვიღებთ თაროდან უბეველეს წიგნს, ფრთხილად ვფურცლავთ გაყვითლებულ ფურცლებს, ვუცქერთ მარგალიტით ასხმულ ასოებს... სინგურით დაწერილი სტრიქონები მოედინება, როგორც ახლადდათხეული სისხლი...

სულის ხიდზეში ჩვენ ვშოშობდით ამ ხელნაწერების ბედზე. ვაი, თუ ისინი აღარ არსებობენ, ვაი, თუ დაიტაცეს ან დაკარგეს და გულწრფელად რომ ეთქვას, ცოტა დაუმშვიდდით, როცა ისინი ადგილზე დაგვხვდა.

მაგრამ ადგილზეა ისინი? ჩვენი ქართული განძეულობა განა აქ, საქართველოდან ასე შორს უნდა იყოს? მტერის ფენით დაფარული და ყოველდღიურად უკვალოდ გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი?

მატლითა და ნესტით შეჭმულნი, გაბნეულნი და დაულაგებელნი, თითქოს შეწყალებას ითხოვენ და თუ ჩვენ დროულად არ გაუწვევით დახმარების ხელს, დიდი ხანი ვერ იარსებებენ”.

და კვლავ სამწუხარო შემთხვევა, 1960 წელს ქართველი მეცნიერების თვალწინ მოიხდარი. ამის შესახებ მოგვითხრო „პალესტინის დღიურებში“ თვითმხილველმა - ირაკლი აბაშიძემ.

„ქსანთოპულოსი სწრაფად შესრიალდა საკურთხეველში, იქ, სადაც ინახებოდა ლეკანდარული ქრისტეს ჯვრის ხის ფეს-

ვი. მან საიდუმლო სამალავში ნახა ჯვრცხლის კოლოფი. გავსხენით იგი. მასში აღმოჩნდა ძვირფასი თვლებით მოჭკვილი ოქროს ჯვარი. ეს სწორედ ის ჯვარია, რომელიც 1643 წელს ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა მონასტერს შესწირა დადიანის დავალებით.

სხვათა შორის, ეს ჯვარი და მასზე ქართული წარწერა აღწერილი არ აქვს არც ცაგარელს და არც სხვა მოგზაურებს, ამიტომ, იგი სრულიად უცნობი იყო ჩვენი მეცნიერებისათვის. და უცებ, ეს უნიკალური ჯვარი ქართული წარწერით აღმოჩნდა არქიმანდრიტ ქრისანტის ხელში.

ჩვენ დაეინებით ეთხოვდით რამდენიმე დღით მაინც დაეტოვებინათ ჯვარი მონასტერში მეცნიერული გამოკვლევისთვის, მაგრამ მათ ჩვენი მოსმენაც არ სურდათ.

ქრისანტმა სწრაფად შეახვია ეს ძვირფასი და უნიკალური ჯვარი რაღაც ჩვრებში და ღუთისმსახურები გაგარდნენ მონასტრიდან.

ჩვენ მათ კვალში გავეყვით. პატრიარქის მანქანა გაჩერდა საბურთეთის საკონსულთსთან. ჩვენ კვლავ ეთხოვდით ნებართვას, ფირზე მაინც გადაგველო მეცნიერებისათვის უცნობი ეს ქართული კულტურის ნიმუში პატრიარქმა ციფი თვალებით შემოგვხვდა როცა შეამჩნია, რომ არ ვხუმრობდით და აღშფოთებულნი ვიყავით, ქრისანტმა გადმოგვცა პატრიარქის მოწყალე სიტყვები: „ხელადილით მობრძანდით და გადაიღეთ ჯვარი“. შემდეგ დიდას საკონსულოში მისულბმა შევტყუეთ, რომ პატრიარქი იმავე დღეს წასულიყო იერუსალიმიდან. კიდევ კარგი რომ ჩვენმა მეცნიერებმა მონასტერში მოასწრეს ჯვრის წარწერის ხელით გადაწერა.

ვინ იცის, სად და რომელ მდიდარს ჩაუვარდა ეს ჯვარი ხელში - სახელგანთქმული ქართული მართლმადიდებლური ოქრომჭედური ხელეწების უნიკალური ნიმუში?”

აღბათ, სამართლიანად შიშობდა მწერალი ირაკლი აბაშიძე, რადგან მას შემდეგ ეს



ჯვარი მზის სინათლეზე აღარაღის უნახავს. გერმანელმა მეცნიერმა ბაუმშტარკმა, რომელიც XX ს-ის დასაწყისში სწავლობდა ჯვრის მონასტრის ფრესკებს, მოგვითხრო, რომ „ტაძრის დამატებითი სათავსოების ნგრევისას, მოხატულობის ნაწილები იყო ჩამოხსნილი და გადატანილი მეზობლად, ბნელ სათავსოში. მათზე გამოსახული ყოფილა დიდებულ ფილოსოფოსთა თავები“.

სხვა წყაროებიდან ვგებულობთ, რომ 1910 წელს ჯვრის მონასტერი მოინახულა პრინცმა იოჰან გეორგ საქსონელმა. მან ტაძრის ბნელ სათავსოში იპოვნა ძველი მოხატულობის 10 ფრაგმენტი თავის გამოსახულებებით. 4 მათგანი იყო ნახევრადდაშლილ მდგომარეობაში. დანარჩენი, პატრიარქის კურთხევით, გადაიტანეს იერუსალიმში და შემდეგ პრინციის პირად კოლექციაში, დრეზდენში. ბოლოს ეს ფრაგმენტები პრინციის მემკვიდრეებმა აშშ-ში გაიყარეს.

ვინაიდან საუბარი ჩამოვარდა ჯვრის მონასტრის ქართული ფრესკების ბუფზე, მოგვითხრობთ შემდეგს, რომლის თვითმხილველიც თავად გავხდით:

ტაძრის რემონტის დროს ბერძენმა სტეპანეებმა ჩამოხსნეს სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტიდან ყველა ფილა ქართული მხატვრობით და ერთი მეორეზე დაყარეს ზედა სართულის პატარა სათავსოში. თუმცაღა ერთი გამოსახულება – გრიგორი ასენავრისი ვაჟითურთ შეიწყალეს და კედელზე დაკიდეს. ასე ყვარა ის მძიმე ფილები უპაურო ხარდაფში რამდენიმე წელი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობილი გახდა ისრაელში საქართველოს კედლისის საგუმოპყრობლის ვიზიტის შესახებ, საბერძნეთის პატრიარქმა გადაწყვიტა მზრუნველობის გამოჩენა სულთმობრძავი ფრესკებისთვის. გამოიყო გარკვეული თანხა და მხატვარი ანდრეი რუზნიცკო მუშაობას შეუდგა. მან მეორე მხრიდან დააბეჭონა

ფილები, შემოავლო აღუმიწის კანტი და დააწყო ხარაჩოზე უფრო ნათელ ოთახში, ისევე ზედა სართულზე. 1987 წლის 18 ოქტომბერს მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან დაათვალიერა ჯვრის მონასტერი და კმაყოფილი დარჩა ქართული რელიქვიების მდგომარეობით. ჩანს, სიჩქარეში ან რაიმე მოსახრებით, უწმინდესმა პატრიარქმა არ დაიწყო ხსენებული სვეტიდან ჩამოხსნილი ფრესკების ბუფის გარკვევა...

კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტი დასრულდა თუ არა, ბერძენებმა შვებით ამოისუნთქეს. იქნებ დაენანათ კიდევ ფილების განახლებაზე დახარჯული თანხა. ის ფრესკები ხომ ვერც ერთმა სტუმართაგანმა ვერ შეამჩნია. სარესტავრაციო სამუშაოების გაგრძელების შესახებ ღაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. მხატვარს უბრძანეს სწრაფად აეკრიფა იარაღები და კარი კლიტით დაეკეტა.

ფილები ქართული ფრესკებით დღესაც განისვენებენ დაკეტილ ოთახში, რომელიც მათთვის აკლდამად იქცა; დრო კი აგრძელებს მუშაობას ისედაც საცოდავ მდგომარეობაში მყოფი მხატვრობის ნარჩენების განადგურებაზე.

ოდესღაც, ფილებზე გამოხატული იყო სიუჟეტები: ქრისტეს გამოცდა ეშმაკის მიერ; წმიდა პრთხორე და ღუკა; ორნამენტული დეკორი; წინასწარმეტყველ ელიას ზეცად ამაღლება; წმიდა ბასილი დიდი და წმიდა იოანე ოქროპირი; წმიდანები: საბა და ექვთიმე, მათ ფერხითი გრიგორი ასენავრისი ვაჟითურთ; წარწერა „სიბრძნე მან იშენა სახლი“; წმიდა სებასტიანე და მის ფერხითი იოანე გურული.

XIII ს-ის დასაწყისში ჯვრის მონასტერში მივიდა შოთა რუსთაველი, რომლის შესახებაც ძალზე ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. იერუსალიმში მიხი წახვლის შესახებ ერთნი ვარაუდობენ, რომ თამარ მე-



წმიდა მაქსიმე აღმსარებლის, წმიდა იოანე დამასკელისა და შოთა რუსთაველის ფრესკა

ფის მიმართ უიმედო სიყვარულმა აიძულა დიდი პოეტი და ფინანსთა მინისტრი ჩახრუხაძე, ეკებნათ თავდავიწყება შორეული მონასტრის კედლებში. მეორენი ფიქრობენ, რომ საყვარელი მეფის სიკვდილმა უბიძგა მას წმიდა მიწაზე მომლოცველობისა და სწორედ იმ მონასტერში მოღვაწეობისაკენ, რომელზეც ასე დაუღადავად ზრუნავდა თამარი (როდესაც საღაღინმა დაიპყრო იერუსალიმი, შექმნილი ვითარებით შეწუხებულმა თამარმა სარაცინების ბატონთან წარგზავნა ელჩები საქართველოდან, რომლებმაც მოახერხეს ჯვრის მონასტრისთვის დარბევის საფრთხის არიდება). ზრუნვას ქართულ მონასტერზე მიწიერ იერუსალიმში პოეტი თითქოსდა აერთებ-

და ლოცვასთან საყვარელი მეფის სულის განსვენებაზე ზეციურ იერუსალიმში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მთელი სოცოცხლის მანძილზე რუსთაველმა დაწერა ერთადერთი ნაწარმოები, თუნდაც გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. რა თქმა უნდა, მონასტერში მისული პოეტი გააგრძელგბდა სამწერლობო მოღვაწეობას. ვინ იცის, იქნებ საბერძნეთის საპატრიარქოს წიგნთსაცავში, ქართულ გრაგნილებს შორის არის რუსთაველის უცნობი ქმნილებები. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერებს იქამდე ხელი არ მიუწვდებათ.

შოთა რუსთაველის ჯვრის მონასტერში მოხვლით დაიწყო სამუშაოები ძველი ფრესკების განახლებისა და ტაძრის გუმბათის მოხატვა. ჩანს, რუსთაველს არანაკლები დამსახურება მიუძღვის ტაძრის მოწესრიგებასა და ბიბლიოთეკის მოწყობაში, სხვაგვარად მონოზენები ვერ გაბედადნენ მისი სახელის შეტანას მონასტრის მატეანეში და, რა თქმა უნდა, შეეწინააღმდეგებოდნენ კიდევ მისი პორტრეტის დაწერას ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე.

შოთა რუსთაველის ფრესკა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ბურჯზე წმიდა იოანე დამასკელისა და წმიდა მაქსიმე აღმსარებლის გამოსახულებებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი ამ სიახლოვეს არც თუ შემთხვევითად თვლის.

წმიდა იოანე დამასკელი იყო შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის ფუძემდებელი. წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ცნობილია, როგორც VII ს-ის საეკლესიო მოღვაწე და მოაზროვნე. იგი განდევნილ იქნა ბიზანტიიდან და თავშესაფარი პპოვა საქართველოში. დასახლდა ცაგერში, მურის ციხეზე, მაღალი მთის წვერზე, სადაც დააარსა მონასტერი და დაუფლა იქვე - გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი.

ამ ცნობებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შოთა რუსთაველი განიცდიდა სულ



ერ ნათესაობას წმიდა იოანე დამასკელთან და წმიდა მაქსიმე აღმსარებელთან და იხრუნა იმაზე, რომ მისი პორტრეტი ყოფილიყო ახლობელი ადამიანების გარემოცვაში.

თავისი მიწიერი გზა შოთა რუსთაველმა ჯერის მონასტერში დაასრულა და თუმცა მისი საფლავი დღემდე უცნობია, ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ რუსთაველი დამარხულია ან მისი პორტრეტიანი სვეტის ქვეშ, ან მისგან რამდენიმე მეტრის რადიუსში.

ეფიქრობ, არ უნდა გაგვაგულგრილოს სპეციალური ექსპედიციის უშედეგო მცდელობამ აღმოჩინათ რუსთაველის საფლავი. მათი დრო ხომ შესწდელი იყო და მიზანიც არა საფლავი, არამედ პორტრეტი იყო.

„დავდივარ მონასტერში, – მოგვითხრობს ირაკლი აბაშიძე, – და ვცდილობ განესახაზურო ის ადგილი, სადაც, გადმოცემით, არის შოთა რუსთაველის საფლავი. ეს სადაც შოთას პორტრეტის სვეტანაა. უცვბ მჭვენება, რომ მესმის ვრუ ხმა, თითქოს აქ იატაკი შედარებით რბილია და მის ქვეშ სიცარიელვა. მე კვლავ ვაკაკუნებ ფეხით და კვლავ მასახუბობს ვრუ ხმა. ნუთუ??? ვუხმობ დასახმარებლად გიორგი წერეთელს. მასაც უცნაურად მჭვენება ეს ხმაური. აკლდამა? – რა თქმა უნდა!!! ყველა შემთხვევაში, ეს ადგილი უნდა გაითხაროს... ტაძრიდან გამოსვლისას, ჩვენ მოულოდნელად (რატომღაც მხოლოდ დღეს) ეურადლება მივაკციეთ სარდაფს. იგი ცარიელია. მხოლოდ აქა-იქ ყრია ყუთების ფიცრები. სარდაფი მიდის პირდაპირ ტაძრის იატაკის ქვეშ. „უხუჯ შენი რუსთაველის საფლავი!“ – გულგატეხილად თქვა გიორგი წერეთელმა.

მართლაც, სარდაფის ჭერი გადის ტაძრის იატაკის სწორედ იმ ადგილზე, სადაც უნდა იყოს რუსთაველის საფლავი...“


და მინც, არ ღირს ნაადრევი დასკვნის გამოტანა. საკითხი ითხოვს სერიოზულ კვლევას ადგილზე, არქეოლოგიურ გათხრებს.



წმიდა მოციქულების პეტრე და პავლეს და წმიდა პროხორე ქართველის ფრესკა

არსებობს გადმოცემაც წმიდა თამარ მეფის საფლავზე იმავე ჯერის მონასტერში. სიცოცხლის ბოლო წლებში წმიდა მეფემ გააპკაცრა სულიერი ელაწლი. მემატიანის სიტყვით, მან დღის წესრიგში შემოიტანა პალესტინის მონასტრის ღოცვის ტიპიკონი. ხოლო თუკი შეეადარებთ თარიღებს, დაინახავთ, რომ ნახრუხაძე და რუსთველი მანამ ჩავიდნენ წმიდა მიწაზე, ეიდრე თამარი გარდაიცვლუბოდა. ისმის კითხვა: სპეციალურად ხომ არ გააგზავნა ისინი მეფემ ქართული სიწმინდეების გასაღამაზებლად და წესრიგში მოსაყვანად?

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით. მრავალი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი თუ



იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ინტერიერი

მკვლევარი მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება. ერთი კი ცხადია: წმიდა თამარ მეფე აღესრულა 1213 წლის 18 იანვარს. მიცვალებულს პანაშვიდებს უხდიდნენ რამდენიმე დღე მცხეთის ტაძარში, შემდეგ წაასვენეს გელათში და დამარხეს საგვარეულო სამარხში, მამა-პაპათა გვერდით. მაგრამ არქეოლოგთა მიერ თამარის საფლავის პოვნის ყველა მცდელობა, მემანტიანის თანახმად, ამაო აღმოჩნდა.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში კვიპიტის მამლუკებმა ძალით დაიპყრეს ჯვრის მონასტერი და ქართული ტაძარი მუსლიმურ მწეოთად აქციეს. მოძალადეებმა შეუპოვარი წინააღმდეგობისთვის აწამეს და სახიკვილოდ გაიმეტეს მონასტრის

წინამძღვარი ლუკა აბაშიძე, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. ამ მოწამის ფრესკა იმყოფება ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ სვეტზე, ჯვრის მონასტრის პირველი წინამძღვრის გამოსახულების გვერდით.

თუ თვალს გადავაგვლებთ ჩვენს ისტორიას და გადავხედავთ, თუ როგორ ანადგურებდნენ მუსლიმები ქართულ ფრესკებს (ცეცხლის ანთებდნენ კედლის გასწვრივ მოხატულობის გასანადგურებლად, რაც დაწვას გადაურჩებოდა – შუბის წვეტებით ფხკედნენ), ადვილი წარმოსადგენი იქნება, რასაც ისინი დაატრიალებდნენ ჯვრის მონასტერში.

33 წელი იყო ქართული სიწმინდე მუსლიმთა ტყვეობაში და მხოლოდ 1305 წელს მეფე დავით VIII-ის მცდელობით დაუბრუნდა ნამდვილ პატრონს. ბევრი მუშაობა მოუხდათ ქართველებს ტაძრის ძველი მოხატულობის გასაცოცხლებლად და ახალი ფრესკების შესაქმნელად.

მიდიოდა წლები... მძიმედ მიაბიჯებდნენ საუკუნეები... ქართული კოლონიების მდგომარეობა იერუსალიმში კატასტროფულად უარესდებოდა. ვის აღარ ედგა თვალი ქართულ ეკლესია-მონასტრებზე: მუსლიმებს, ბერძნებს, რომაელებს...

მნიშვნელოვანი საფეხური ჯვრის მონასტრის ისტორიაში გახდა 1643 წელი, როდესაც მის წინამძღვრად დაინიშნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. მისი ხელმძღვანელობით მონასტრის სამშომ შეძლო ტაძრის შეკეთება, კედლის მხატვრობის განახლება და ახალი ფრესკების დაწერა. ამას ხელს უწყობდა ქართველი თავადებისა და გლეხების უხვი შემოწირულობანი. მთელმა ქართველმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ჯვრის მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოებისათვის სახსრების შეგროვებაში. ხოლო როდესაც სამუშაოები დასრულდა, ჩოლოყაშვილმა არცთუ სიამაყის გარეშე განაცხადა, რომ „ისე გაამშვენა ტაძარი, რომ მთელი

საბერძნეთი და არაბეთი განკურდა“.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იყო სახელოვანი გვარის, მხედართმთავრის ვაჟიშვილი, სწავლული (ფლობდა რამდენიმე ვერსოპულ ენას) და განათლებული პიროვნება. სასულიერო წოდების მიღების შემდეგ იგი ჩაეიდა იერუსალიმში და რამდენიმე ხანს ცხოვრობდა ჯვრის მონასტერში. შემდეგ იგი გამოიძახა მეფე თეიმურაზმა ელჩის მოვალეობის შესასრულებლად. 1626 წელს მან მოინახულა რომის პაპი, რათა იგი დახმარებოდა საქართველოს მუსლიმური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნიკიფორე ითვლებოდა დახვეწილ დიპლომატად, მუჟის განათლებულ მოხელედ, თავისი სამშობლოსა და კულტურის პატრიოტად. რომში მან პოლინიხთან ერთად შეადგინა პირველი ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

1643 წლიდან მან, უკვე ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ხარისხით, დაიწყო ტაძრის რესტავრაცია და მოხატულობის განახლება.

ახლა ძნელია მხველობა იმაზე, რომელი ფრესკები დაახატინა ახლიდან, გადაიხატა ძველიდან ან დაამატა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა. დროთა განმავლობაში ბევრი გამოსახულება გაქრა, სხვები გადაიღება, წარწერები კი ბერძნულად გადაეწოდა. და მაინც, შემორჩენილი ნიმუშების მიხედვით, შესაძლოა ჩოლოყაშვილის დროინდელი ტაძრის ფერწერის საერთო სურათის აღდგენა. ასე შეგალითად: ცნობილია, რომ ტაძრის დასავლეთის კედელი მტკვული იყო თავისებურ გალერეად, პორტრეტებით იმ ქართველი მეფეებისა, კელეხის მამებისა, მწიგნობრებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს მხრუნველობას იხენდნენ ჯვრის მონასტრის მიმართ.

საკბროა, დამატებით შეენიშნოთ, რომ ჩოლოყაშვილი სრულიად არ იხახავდა მიხნად ტაძრის კედლებზე და სვეტებზე ჯვრის მონასტრის ყველა გულშემატ-

კიერის უკვდავყოფას. მან შერჩევით გამოსახა მხოლოდ ის მოღვაწეები, რომელთა მხრუნველობაც დააკეშირებულ იყო ამ მონასტერთან. ტაძრის აღმშენებლები-სა და განმანახლებლების პორტრეტებით მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქართველები ძველთაგანვე ფლობდნენ ამ ადგილს და იყვნენ ტაძრის პირველი აღმშენებლები. მას სურდა, გამოეხატა ჯვრის მონასტერზე ქართველთა უფლებების კანონიერების იდეა. ჩანს, ამივე მიზნით, ზოგიერთ პორტრეტზე მითითებული იყო „ივერიელი“, „ქართველი“. სხვა შემთხვევაში ქართულ წარწერას ერთვოდა ბერძნულიც, რათა ყველასათვის ნათელი ყოფილიყო, თუ ვინ იყო ტაძრის ნამდვილი პატრონი.

გადარჩენილ ფრესკულ წარწერებს შორის ინტერესს იწვევს ისტორიული ცნობაც შესასვლელს ზემოთ ტაძრის რესტავრაციის შესახებ. იგი დაწერილია ორ ენაზე, ქართულად და ბერძნულად:

„ეს უპატიოსნესი ცხოველსყოფელი ჯვრის ტაძარი მოიხატა და იკურთხა სახელგანთქმული და ყოვლადგანათლებული ღეონ დადიანის დახმარებითა და მონღომებით, ყოვლადღვარსი ჯვრის და გოლგოთის მონასტრების წინამძღვრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ხელითა და მრავალი განსაცდელის გადატანით. ამ მონასტრის ერთგულია და მსახიობელია, რომელმან განაახლა გუმბათი და წმიდა საკურთხეველი საკუთარი, პატიოსანი სახსრებით, ქორონიკონს 331. ანონ“.

მიმე დრო იყო საქართველოსთვისაც და ჯვრის მონასტრისთვისაც, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა დეთის შეწვევით შეძლო თავისი მისიის აღსრულება და მომავალ თაობას დაუტოვა დარიგება ომფაღის ბრინჯაოს წრეზე „ღვეით მტკიცედ და შეურყვევად და მომიხსნეთ მე, ცოდვილი წინამძღვარი ჯვრისა, ნიკიფორე-ნიკოლოზი, 1643 წ“.



XX საუკუნე მართლაც რომ უმძაფრესი ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. თუმცა, რომელ დროში უცხოვრიათ ქართველებს მშვიდად და დაღვინებულად?

1905 წლის რევოლუციური არეულობა და მისი საგალალო შედეგები: პირველი მსოფლიო ომის წლების სიდუხჭირე, ასიათასობით დაღუპული და დასახიზრებული ქართველი ეპეაცი, უამრავი გაუბედურებული ოჯახი და დათბლებული ბავშვი... გრძელა საწუხარის ჩამონათვალი, მაგრამ მდგომარეობა მომეტებულად დამძიმდა კომუნისტური ჯვარცმის პირველი დღეებიდანვე. ნებისმიერი რელიგიისადმი მტრულად განწყობილი ბოლშევიკების მმართველობის დროს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას რომ რთული ხანა დაუდგებოდა, ეს ყველასათვის ნათელი იყო. მაგრამ რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...

1923 წლის დამდეგიდან ხელისუფლებამ სარწმუნოებისა და ღვთისმსახურთა წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლების ორგანიზება დაიწყო. უხეში ზემოქმედება – დაშინება, შეურაცხყოფა, სამღვდელთა და მორწმუნეთა დევნა ჩვეულებრე ამბად იქცა. ქართველი კომუნისტები ანტირელიგიურ საქმიანობაში რუსეთის მთავრობის მითითებებსა და გამოცდილებას იყენებდნენ; ეცნობოდნენ იქ ჩატარებულ ყველა ღონისძიებასა და შემდეგ თავგამოდებით იმეორებდნენ. 1923 წლის აპრილისათვის თბილისის მარშიში 48, ქუთაისში – 160, სენაკში – 148 ეკლესია-მონასტერი დაიხურა. სხვადასხვა მონაცემებით, მათმა რიცხვმა მოელს ქვეყანაში 1500-ს მიაღწია.

ასეთ აღტყინებას, რა თქმა უნდა, არც ახალსენაკელი ბოლშევიკები ჩამორჩენიან. 1923 წლის 27 თებერვალს ქალაქში დიდი მიტინგი გაიმართა. ეს ანტირე-

ლიგიური შეკრება დასრულდა იმით, რომ სენაკის ცენტრში აღმართული წმიდა გიორგის ტაძარი ჯერ გაძარცვეს და შემდეგომ დაანგრიეს. ამ საყდრის ბედი ერგოს სხვა სალოცავებსაც, რა გასაკვირია, რომ ასეთი ორგანიზებული მიტინგის ჩატარების შემდეგ, ხელისუფლებისაგან დავაღების მიზნით აქტივისტები, უპირველესად, თქმლათის დედათა მონასტერს შესუფენენ, მით უფრო, რომ ამ დროისათვის ის მარხის რეკომის თავმჯდომარის, სამსონ მაშელაის ბრძანებით უკვე დახურულად იყო გამოცხადებული და ჩამორთმეული ჰქონდა ყველანაირი ქონება.

როგორც მომსწრენი იკონებდნენ, ტაძარში შეკრიბდ, ჭკუადაუზღვდარ ახალგაზრდებს უპირველესად ამბიონი წაუბილწათ, შემდეგ ოქროს ვარაყით დაფარული კანკელი დაუტერვეით. ზოგ მათგანს ხატებისათვის შლეგური სროლაც აუტეხავს დაუმსხვრევით ბარძი-ყუშუში, დაუხვეით საღვთისმსახურო დანიშნულების წიგნები. შემდეგ ოქროსკლდით ნაქარგი სამღვდლო შესამოსელი ჩაუკვამთ და ისე შესვეიან მონაზონთა სენაკებს... გადაუხსნიით სამრეკლოს თავი და ზარები ჩამოუყრიათ. ურმით გაუზიდავთ ტაძრის კუთხილი ჭურჭლეულობა და ოქრო-ვერცხლის ნივთები. თავზარდაცემული დედეები ამოდ ცდილან გადაერმინათ სიწმიდენი, მაგრამ შეველა არსაით იყო. მათ შეურაცხყოფდნენ, ზოგიერთი უკვამით კიდევ.

ასეთი რბევა რამდენიმე დღე გზრძელბუღია. ტაძარი რომ საბოლოოდ დაუცარიულბიით და გამოუკბრათ, ესეც არ უკმარიათ და ახლა მისი საძირკვლამდე დანგრევეც მოუნდომბობათ. ჯერ სამხართულიანი სამრეკლო დაუქვევით, შემდეგ კ ტაძრის კედლების დაშლას შესდგომიან.

მოულოდნელად მოწმენდილი ცა მოქუ

ფრულა, ტექიქუხილი ამტყვარა და ერთ მუხას მეხი დასცემია აი, მაშინ კი შემინებულან უღვთონი და უკანმოუხედავად გაქცეულან...

დღეს ძალზე ძნელია განესაზღვროთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რამდენი სიწმინდე ივარიქნა, ჩვენი სამშობლოს ბედრული ისტორიის რამდენი უძიერფასესი საბუთი დაგკარგეთ მსგავსი ბარბაროსული ქმედებების შედეგად.

სენაკის მახრის ხელისუფლებამ კომკავშირულ აქტივისტებს მონასტრის ტაძარი რომ დააცდევინა და შეაბიღვინა. ალბათ ივარაუდა, რომ რაც უფრო მეტად შეაქიწროებდნენ თკლათულ მონაზვნებს, მით უფრო სწრაფად დაიშლებოდნენ და ოჯახებს დაუბრუნებოდნენ, მაგრამ მწარედ შეცდა.

დევებმა მოახერხეს ზოგიერთი სიწმიდის გადამაღლა, მათ შორის სატაძრო ხატისა, იმპერატორმა ალექსანდრე III-მ რომ უძღვნა მონასტრს. ასევე გადარჩა ათონის მთის იოანე ღვთისმეტყველის მონასტრიდან მობრძანებული ღვთისმშობლის ხატი – „კეთილი დაუტნობელიც“. დათაგან რამდენიმე სხვადასხვა საშუალებებით – პირადი დანახოვითა თუ ნათესავ-მოყვრების წყევნით – შეძლო მძარცველებისაგან ზოგიერთი სხვა სიწმიდე და ტაძრის კუთვნილი საღვთისმსახურო ნივთი გამოესყიდია. ასე დაიბრუნეს ოქრომკვდით ნაქარგი უწვდის გარდამოხსნაც.

ტაძრიდან გამოდევნილმა კრებულმა სატრაპეზო სამლოცველო სახლად გადააკეთა და იქ დაიწყო წირვა-ლოცვა, მაგრამ შეიტყო თუ არა ეს ფაქტი ხელისუფლებამ, ახლა „მებრძოდ უღმერთოთა კავშირის“ თავიაცები გააქეხა. იმათაც სატრაპეზო ისე დაშალეს, რომ ჭვა ჭვაზე არ დატოვეს, უწყო ქალებს კი უბრძანეს სენაკებს გასვლიდნენ – ყველაფერი ახლად დაარსებულ მებოცერეობის საბჭოთა მეურნეობას უნდა გადასცემოდა. საცხოვრებლის და-

ტოვებაზე მონაზვნებმა სასტიკი უარი განაცხადეს. გამოსავალი მოიძებნა, დევებს სენაკების წინა კარები აუჭვავეს და საერთო ეზოთი სარგებლობა აუკრძალეს. ძველებურად გაგრძელდა ეკლესია დამეული თავდასხმები. ბოლშევიკები ახალგაზრდა მონაზვნების მშობლებს გასაუბრებაზე იბარებდნენ და მათზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ, რათა აქმულებინათ ქალიშვილები, სახლებში დაბრუნებულიყვნენ. ასეთმა დაუნდობელმა ბრძოლამ კრებული გარკვეულწილად შეამცირა, მაგრამ მოწესეთა ძირითადი ჯგუფი სავანეს ცოცხალი თავით არ ტოვებდა. სატრაპეზოს დანგრევის შემდეგ დებმა დეკანოზ გიორგი ახელედიანის მიერ ატეხულ შედარებით დიდ შენობაში დაიწყეს ღვთისმსახურება. ამ სახლში გამოიყო ერთი დიდი ოთახი, მოეწყო კანკელი, დაიდგა ტრაპეზი და სამკვეთლო...

ძნელია დაწერილებით ყველა იმ უკეთურობის ჩამოთვლა, ხელისუფლებამ იმ წლებში რომ ჩაიდინა. მეუფე იოანე (ანანი-აშვილი) წერდა: „ბოიკოტაც გამოუცხადეს მონაზვნებს და ყველას, ვინც კი გაბედავდა მათთვის დახმარებას. ეს კი, როგორც მთხერეს ძველმა მორწმუნეებმა და მათ შორის დედა მატრონა ეჯიბიამ (იგი ბოლოს აღიკვეცა ჯერ ენკარტისად და შემდეგ კი დიდ სქემწონაზვნად) ნიშნავდა იმას, რომ მეზობელიც კი ვერ მიაწვდიდა ჭიქა წყალსა და პურის ნატეხს. ბოიკოტამოცხადებულს ცეცხლი რომ წაქიდებოდა, ჩასაქრობად ვერონ მიხმარებოდა... მონაზვნებს ერთხანს ქალაქის ბაზარშიც კი არ უშვებდნენ რაიმეს გასაყიდად თუ საყიდლად, მათ ვუბნებოდნენ: „თქვენ მუქთახორები ხართ!“...

მაგრამ სასწაული ხდებოდა – ვერანაირი დარბევით, ვერანაირი დაშინებით, ვერანაირი იძულებით ვერ გატეხეს ეს ფიზიკურად სუსტი ქალები და პირიქით – რაც უფრო მეტ განსაცდელს მოაწვედნენ მათზე, ისინი უფრო მეტად განმტკიცდებოდნენ ხოლმე და უხაროდათ, ენაიდან სწამდათ, რომ ამ-

დენ რბევას, დაშინებას, ლახმღვა-გინებას, დაცინებას, ათასგვარ შეეწროებას ისინი ქრისტეს გულისთვის დაითმენდნენ და, რაც მეტ იწროებას მოითმენდნენ, მით მეტ სიხარულს მიიღებდნენ მაცხოვრისაგან.

„როგორც კი რომელიმე დიდი დღესასწაული მოვიდოდა – მაგალითად, ქრისტეს შობა, ხარება, აღდგომა და სხვ. – ამ დროს ამოიყვანდნენ სახანძრო მანქანებს, წყალს მთელი ძალით შემოუშვებდნენ ჩვენს სენაკებში, დაგვისველებდნენ ყველაფერს, გაგვიფუჭებდნენ და თან გვიფუვროდნენ: „წაიდა, გადაშენდიო აქედან, უპატრონოები ხომ არ ხართ, რატომ არ მიდებხართ?“ – ჩვენ მაინც არ ვტოვებდით მონასტერს. ჩვენ ყველაზე უარესები დაგვტოვა ღმერთმა ამდენხანს, ჩვენზე ბევრად უკეთესი მონაზვნები წინათ იყვნენ, ისინი იყვნენ ნამდვილი მონაზვნები. თორემ მათთან შედარებით ჩვენ ვინ ვართ?“ – იტყვოდნენ ხოლმე სულიერი სიქადულით.

ამ რამდენიმე წლის უკან ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის გაზეთ „საფარველის“ 2001 წლის მეორე ნომერში მამა დავით ფიფიას მშობლებისადმი გაგზავნილი ვინმე „ღუდა თებრონეს“ წერილი გამოქვეყნდა. ეს ღუდა თებრონე, ცხადია, თუკლათელი ცნობილი მონაზონი, თებრონე ჯინორია. წერილში მოხსენიებული მღვდელი პეტრე – მამა პეტრე ბაკურაძე, ხოლო ნიკო – 1924 წელს სენაკში დახვრეტილი მოძღვარი, მამა ნიკო ხეცურაიანი უნდა იყოს. ღუდა ფასტო – ფასტო შუშანიია, მარია – ღუდა მარიაჰ ჰიჭინაძე, აღზრდილი თებრონე ჯინორიასი, შემდგომში ძველი დასის უკანასკნელი წინამძღვარი. წერილი დაუთარიღებელია, ვფიქრობ, ის 1924-25 წლებშია დაწერილი. გთავაზობთ ამ ტექსტს:

„ქრისტე აღსდგა! 10 აპრილი ძველით. ჩემი ძვირფასო მეგობარნო, მიხაილ და ანასტასია! თქვენი ხსენების ღირსი, მოცილონო რეთ პასტელის დღესასწაულს. მრავალ ზედნიერ დღეებში დახსრნობდეთ საყვარელის

შვილებითურთ, მასთან დღეა ელანაზე და მამის მსგავს ჩაგუს სასოებით ვიკოხსე და ქრისტე აღდგას ვეცვი შორიდან. მარხოვარს ვეცვიდრები მათთვის. კეთილი დრო და ეპის მოქსნროთი მათ, მანეში აროხსლოს. აგრეთვე თქვენ საყვარელ შვილებს ვიორგი, დავითი, კონსტანტინე, მარიაჰ, ახლად შემქნელი ასული ნინას ვეპმბორები შორიდან ყველას და ქრისტე აღდგას უგალოზ სასიხარულოდ და აღსაზრდულოდ იმ ნარმოდგენით, ვითომ მე თქვენს ზედნიერ ოჯახში ვიყო და იქვე ვგალოზდი. ისე შორით ვახსენებთ სიყვარულით და ვგალოზ ქრისტე აღდგას ამანაგე მითურთ ჩემით, აღვავლენთ ღვთის ნინამე ვფერებას თქვენდა სადღევერძელოდ.

ძმამო მიხაილ, მე მშვიდობით გახლავარ ღვთის შენვენით. თქვენ მიერ ნერილი თუშრალა მომივიდა ადრევე. მადრამ იდენი განსაფიცილები ტრიალენდა შემდგარი ჩვენთვის, დროის გამოკეთებას უყურებო და მივომ ვერაფერი მოგწერეთ. ჩვენ ვიყავით ათასი ფუთი სიმინდით დაწვერილი, ანუ გადახდა, ანუ სამი დღის შიგნით დაგდა მონასტრისა. ეს ნინადადენა გამოგვიხდაეს. მე ჩემი შორით გამოურხადე მონაზვნებს – „ძა, ფენო, მოანია ჩვენმა ზედნიერმა დღემ, მოცემხადოთ, ნამტმა მოგველის, ჩქარა გვიძვენენ მარხოვართან-მეთქი“. და, რასაკვირველია, ჩემი მიხაილ და ანასტასი ღირსი... დავითანხმე ყველა და ვეშადე-ზოდით, უსიკვილოდ გადასვლა არ შეიძლე-ზოდა. ეს ჩვენი აზრი შეიკვეს, ზვერი რამე არჩიეს, მადრამ რადგან ღმერთი მონადღე ვეყურებდა, იდიდა მისი ხატენა, სიმინდის გადახდა მოხსენეს და ჩვენზე ხელშეუხებელი დავრჩით. თქვენი კეთილი მეგობარი ფასტო დავიერეს, ჩვენში ყავდათ ირი დღე-ღამე ვითომ ლივერი (მეგრულიდან რევილიერი) უნდა ქონებოდა. ვილარ სულის მტრმა მური იძია, ფასტომ სიკვცა ვასრეს: „თუ ჩემ ანაფორა ლივერად მიგაჩინათო, არ ვიყო მე და ეს ერთად უნდა მოვკვდიოთ და სხვა სული ტყველი და სიწრუე არის“. მთავრობამ



თველათის მონასტერი, 1910-იანი წლები. მარცხნიდან: მონაზონი მარიაში (ვიტინაძე), სქემშონაზონი თებრონე (ჯინორია), დიაკვნებიც არეთა (სახოკია) და ონოფრე (შუშანია), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დეონიდე (ოქროპირიძე). ხატთან დგას იღუმენია ნინო (ჯანაძე); მარჯვნივ: ჯერით ხელში მამა პეტრე (ბაკურაძე), მამა ანდრია (გობენა), მამა გიორგი (ბაკურაძე), მის მარცხნივ უკან დგას სქემალუმენია ელვინორა (ერში ოღდა ჯადიანი) და მისი უფროსი ვაჟი კოკი დადიანი

სასტუმრო მიიღო, როგორც სიმართლაც ქონდა, მეორე ფაქტს გაუშვეს. ესეა მშვიდობით არიან ორივე ფაქტი. ახალი კარგი აქცენი, ეკლესია სამოთხის შესადარია, გაღებლია, ვლორელოზთ, ვვალონთ და ვავადრებით მონაყლეს მშვიდობა ინებას საყოველთაო. ჩვენმა სამღვდლოუნამ ყველამ ხელი მოანერა, უარი თქვეს საეკლესიო სამსახურზე, ჩვენმა მღვდლომა პეტრომ ყველაზე ნინ გაიძრო, გაპარსა. მაგრამ სიმოფი 30 ფული მანერ გადახდევინეს. ჩვენმა ნიკომ ქნა, არ ვერ, დაიფრესო - ვავადრე შებდევი ვერაფერი ვავადრე. იმეფი მაქვს ის მხე ვერა და სხვა... თქვენი თებრონია".

როგორც იმ აბეგდითი, სასტიკი წლების მოწმენი და მონაწილენი იგონებენ, ახაკოვანნი ახალგაზრდებს ამხნეებდნენ, რწმუნას განუმტკიცებდნენ და სიმშვიდისაკენ მოეწოდებდნენ, ხოლო ახალგაზრდები მოხუცებს, ავადმოყვებსა და დოგინად ჩავარდნილებს უვლიდნენ. დოცვას რომ მორჩებოდნენ, მიწის საშუაოებს იწ-

ვებდნენ. თითოეულ საცხოვრისს თავისი პატარა ნაკვეთი ჰქონდა. მონაზვნები იქ სიმინდს თესდნენ, ბოსტანს ამუშავებდნენ, უვლიდნენ პირუტყვს, ეწეოდნენ მეფურტკრეობას, რგავდნენ დაფნას. უამინდობისას ხელსაქმით იყვნენ დაკავებულნი და ასე გრძელდებოდა ზამთარ და ზაფხულ.

ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი ცხოვრება სიკეთისა და სათნოების მოესკვლი ელვინორა დადიანი. ეოველ ცისმარ განდევნისა და აწიოკების მომლოდინე დედეები მომტკებული დოცვით ვედრიდნენ უფალს მონასტრის მფარველობას და დედა იღუმენიას ბრძნული წინამძღოლობის მოიმედენი მისგან ელოდნენ გამოსავლის პოვნას.

განცეფიერებული ვრჩები და ვერ ვხხნი, მაშინ, როცა ქვეყანაში მართლმსაჯულება - უკანონობითა და ძალადობით; სამართლიანობა - ნებისმიერი მოქალაქის, მით უფრო, დუთისმსახურის, უფლებების შეზღუდვით იყო შეცვლილი, როგორ შეძლეს





ნებული კალბატონ ბაბო ნიკოლოზის ასული დადიანის ნაამბობიც: არაერთხელ შეეხვედრებოდა იმ წლებში სტუმრულმენია ელიონორას. თუ თბილისში იყო, სიონში წირვა-ლოცვას არ დააკლდებოდა. ღვთისმშობლის ხატთან უყვარდა ღვთა. სიტყვები არ მყოფის ცრემლმდინარე მლოცველის სულიერი თუ ხორციელი სიღამაზის აღსაწერად. იმ ხანაში, ტაძარში წირვაზე მხოლოდ სარწმუნოებისათვის თავდადებულნი თუ დაედოდათ, ეკლესიის წევრები იყვნენ. შიშისაგან დაზარალებული ხალხი ეკლესიას ვერ ეკარებოდა. წარმოიდგინე უწმინდესი ამბროსი, უკვე ავადმყოფი, დაუძლურებული, მაგრამ რწმენით ძალამცემელი, ან ჩემთვის განსაკუთრებულად მოსაგონარი კალისტრატე ცინცაძე, მაშინ მიტროპოლიტი, როგორი გრძობითა და სულიერი აღმაფრენით აღადგენდნენ ღვთის სადღებელს და ამ დროს საკათედრო ტაძარში კონტიკუნტად შდგარი მრევლი.

მახიდა (ასე მიემართავდი) პირველად ბუნაში გაეიცანი, ჩემი აღმზრდელი ბუბის თამარ მიხეილის ასულ შარვაშიძის თვატში. ბუბია მეორედ თ დ კიწი ფაღვასზე იყო გათხოვილი. სტუმრიანობა მათთან ხშირი იყო, მაგრამ განსაკუთრებულად უსხადებოდნენ დედა ელიონორას მისადებად. იგი წინათაც არაერთხელ სტუმრებია ბუბიას, მე მხოლოდ ერთხელ შევესწარი ასეთ შეხვედრას. მოგეხსენება, გრიშა ბატონიშვილი და ბებიასეი ალალი დეიდაშვილები რომ იყვნენ. უახლოს ნათესაობასთან ერთად, მათ სულიერი მეგობრობაც აკავშირებდათ. რამდენადაც მახსოვს, იღუმენია იმჯერობას მარტვილში ბრძანებულიყო ჭკონდიდულ მიტროპოლიტ ამბროსისთან. მობრუნებულზე ჩვენსას უსურვებია ღამის გათუვა. მთელი სახლი ფეხზე დადგა, დიდი პატივით მიიღეს.

იყო, რა სანახავი იყო? კხლავ თვალწინ მიდგას მადალი, ღამიანი სახის, შავით მოხელი, ხელში სკენილით, თანმხლებ მონაზ-

ვნებთან ერთად რომ შემოვიდა ეზოში. პირველი ბუბია თამარი მიეგება.

16-17 წლის გოგონას უფროსების საუბარს ეინ დამასწრებდა, მაგრამ მოსასვენებლად ჩემი ოთახი რომ მოუზინეს, სიხარულით ვას ვეწვი, გაეუშინაურდი კიდევ. მარტონი რომ დაერჩით, მოსვენება არ მიეცეო და ვაამბობინებდი სხვადასხვა ამბებს ენატრობდი, გაგრძელებულიყო ის დამე და უსახარულოდ მესმინა მისთვის. ღრმა რწმენამ, დამაჯერებელმა საუბარმა, ხმაამ, წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა. სურვილი გამიჩნდა, მეც მონახუნად აღეკვეცილიყავი. ბავშვური გუღუბრევილობით მეჯეროდა, რომ შეეძლებოდა ამის მიღწევა. მოფერებოთა და ყურადღებით გათამამებულმა გაეანდე კიდევ ჩემი ეს სურვილი. მომისმინა და ღმილით დამაროგაშვილო, მონაზუნობა შენთვის ჯერ აღრვა, ცხოვრებაში უფის არც შევიდგამს. უფლის მსახურება, ღოცვის გარდა, სხვა ბევრ რამესაც მოითხოვს. ბუბია თამარს ეგ აზრი არ გააგონო, ეწყინება ეგეთი სითამამეო.

როგორც გაამბე, შემდგომში, წუთისოფლის გაუტანლობისაგან ფრთად გულნატკენს, რამდენიმეჯერ შეეხვედი სიონში. უწინდებურად მშვიდს, მორჩილად მომლოდინეს ამქვეყნით განსვლის ეამისა, ერთი შეხედვით ვერაფერს შეატყობდი. მხოლოდ სპეტაკ სახეზე მომრავლებული ნოკები და თვალთა უძირო სვედა თუ მიგანიშნებდა ნეტარსხენებულის გაუნდებულ მწუხარებაზე.

წარსულს იგონებდა ქნი ბაბო და ვგრძნობდი, რა მისმე იყო მისთვის ამ ამბების განხსენება. იმ ავადსახსენებელ წლებში მასაც არაერთი ტკივილი მიაყენა წუთისოფელმა. გარდასულ ამბებს მიყვებოდა და იქვე მიჩვენებდა თავის ფოტოალბომებში დაცულ წინაპრების სახეებს.

იფიქრებდა კი სტუმრულმენია ელიონორა, იმ დამეს მოტიტინე გოგონას სულ მადე რომ მოელოდა ცხოვრებისეული გოლგოთის გზაზე შედგომა. იმ გზაზე, რომლის

გავლა უპირველესად თვითონ მას და მის თაობის უდიდეს უმრავლესობას მოუწია... ასეთ ტრაგიკულ გარემოებაში მყოფ დედა ილუმენიას მოულოდნელი სიხარული ეწვია. 1928 წელს ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა უმრწემესი ვაჟი დავითი (ქუქურია), ოქსფორდის უნივერსიტეტდამთავრებული ელექტროინჟინერი. იგი იმედით შეგუწრებდა მომავალს, მაგრამ გასაბჭოებულ საქართველოში მისთვის სამუშაო არ გამოიხაზა. ხელისუფლებას არ სჭირდებოდა თავადი შვილი. მერე რა, რომ იმ დროისთვის იშვიათი პროფესია ჰქონდა. დაბრკოლება გადაუღახავი შეიქნა. გულდაწყვეტილი და შეცბუნებული ახალგაზრდა კაცი იძულებული გახდა, ერთხანს ქუთაისში ბავშვთა სახლის დარაჯად დამდგარიყო... მაგრამ დიდხანს იქაც არ გააჩერეს. პატარაობიდანვე ქრისტიანულ სიბრძნეს ნაზიარებმა, განიშორა სამოქალაქო ცხოვრების სინამდვილეს, ბერად აღიკვეცა და ორი წლის შემდეგ, უკურნებელი სენით დაავადებულმა, 1931 წლის 24 იანვარს დედის კალთაში დაღლია სული. დავით დადიანი, ანუ როგორც ოჯახში მოიხსენიებენ - ქუქურია ბიძია, უმცროსი ძეა გრიგოლ (გრიშა) და ცოცხად დადიანებისა. 17 წლის იყო, ბიძამ, უნა დადიანმა გასაბჭოებულ საქართველოს რომ გაარიდა, მაგრამ შემდგომში რატომღაც მათი გზები გაიყო. უნამ ამერიკას მიაშურა, დავითი ერთხანობას ჩეხეთში რუსულ გიმნაზიაში სწავლობდა. შემდგომ გერმანიაში გადავიდა. არანაირ საქმეს არ თაკილობდა. ერთ-ერთი პრესტიჟული რესტორნის მენტრლოტელმა ჭურჭლის მრეცხავი ემაწვილის გამორჩეული მუსიკალური ნიჭიერება შენიშნა და ესტრადაზე მიიხმო. „ქართველი პრინცის“ შესრულებულ რუსულ რომანსებზე უმაღლაპარაკდა საზოგადოება. ერთ დღეს, იმ რესტორანს დავითის უფროსი დები, ემიგრაციაში მყოფი ნინო და მარიამი თავისი

ინგლისელი მეუღლით ესტუმრნენ. მისმენილი რეპერტუარით მოხიბლულმა ქალბატონებმა მომდგრდის ვინაობა იკითხეს. პრინცი დადიანიო, უმაღლ მოახსენა ოფიციალტმა. მაგიდასთან მიიწვიეს და... წლების უნახავი უმცროსი ძმა შეიცნეს.

შემდეგ დაიწყო დავითის განსწავლა და როგორც გადმოცემითაა ცნობილი, საბოლოოდ მან ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა. პროფესიით ელექტროინჟინერი გახლდათ. სტუდენტობისას, ფეხბურთის თამაშისას უმნიშვნელო ტრავმა მიუღია, რაც საბელისწერო შეიქნა - ძეგლის ტუბერკულოზით დაავადდა... თანდათანობით მდგომარეობა დაუმძიმდა და ერთ-ერთმა პროფესორმა სამშობლოში დაბრუნება ურჩია, იქაური ჰავა თუ მოგარჩენსო.

დედასეგმს, ნინო დადიანს, ცხადად ახსოვდა 1928 წლის შემოდგომის ის დღე, დავითი რომ სოფელ ხორშში დაბრუნდა. - ეტლი გაჩერდა თუ არა, იმწამს გადმოხტა მადალი, შავ პალტოში გამოწკეპილი, მეტად სიმპათიური წვეროსანი მამაკაცი. დედა აივანზე იყო. ეტყობა, უმაღლ შეიცნო სტუმარი და მისკენ გაემართა. ქუქურია ბიძია ჩვენ ნანახი არ გვეყავა. შორიდან შევცქეროდით, როგორ უკოცნიდა დედას ხელებს. დედა კი ტიროდა და გულში იკრავდა. ბოლოს, ბავშვებიც მიგვიხმეს ნება არ მოგვცა, სახეზე ვმოხევედით, თავზე გვაკოცა სათითაოდ ყველას.

გადაძლები სენით დაავადებული დავითი მისიშვილებს მალე განეროდა და ერთხანობას დედამისთან, თეკლათის მონასტრში დამკვიდრდა. რძალი გაამხნევა, ბავშვების აღზრდაში მე დაგვხმარებო...

მიუებრუნდები დედის ნაამბობს: ქუქურია ბიძია რამდენიმე უცხო ენას ფლობდა დღენიდან გვიკითხავდა და გვითარგმნიდა ცნობილი ევროპელი მწერლების რომანებს. ბრწყინვალედ ვრკვეოდა საბუნებისმეტყველო დარგებში. გვაამეცადინებდა ქიმიამ, ფიზიკაში, მათემატიკაში. მუღმივად სწერ

და, როგორც შემდეგ გავიგეთ, ფრანგ შეუ-  
ვარებულს, ვინმე ევას. სამწუხაროდ, მისი  
წერილები და დღიურები დაკარგულია.  
შესანიშნავად გალობდა, მაგრამ მიუხედა-  
ვად ბერად აღკვეცისა, საერო სიმღერას  
ვერ შეუღია. როცა ხენისგან ტკივილი  
დაეწეებოდა, აივანზე გაეიდოდა, პლემმო-  
ფარებული, გიტარას მოიმარჯვებდა და  
ხმადაბლა იწყებდა სიმღერას. ერთდებო-  
და მონახუნების მუდგროების დარღვევას.  
საოცარი მოსასმენი იყო მისი რომანსები,  
ფრანგული სიმღერები, მაგრამ განუყოფ-  
ბელი – „თავო ჩემოს“ შესრულება...

ამ დროს მუხლმოდრეკით მღოცხველი  
ბებია ცრემლმდინარი ევდრებოდა მარი-  
ამ ღვთისმშობელს შვილის სიცოცხლეს.  
თუთონ შკაცრი, მონახუნური წეს-განგების  
აღმსრულებელი გახლდათ. მომაკვდავი შვი-  
ლის საერო სიმღერის ერთგულების გამო,  
რასაც ბერისთვის მიუღებლად თვლიდა, მაცხ-  
ოვარს ის გამუდმებით სთხოვდა პატივას...

დავით დადიანმა 1931 წლის 24 იანვარს  
ღუდის კალთაში დაღვია სული და თქვა-  
ლის მონახტერშივე განისვენებს. ასე დას-

რულდა კიდევ ერთი ქართველი „თარაშ-  
ემუხეარის“ ტრაგიკული ცხოვრება.

გულდასხრილ, ოთხი შვილის აღსა-  
რულის მომსწრე დედა ილუმენიას ნუ-  
გეშისმცემელნი არ აკლდა, მაგრამ რა  
ნუგეში შეიძლება არსებობდეს გულმონუ-  
ღულთათვის! ალბათ მცირეოდენად მაინც  
შეველიდა სამძიმრის ასეთი ბარათები:

„აუტანელ მსუხარენისაგან გულმონუღუ-  
ლო მალალ ღირხი ფედაო ილუმენია!“

მულარე ერემლით მოვისამძიმოდენით  
თქვენი ძვირფასი შვილის დავითის ამიერ  
სოფლიოდან მიფარებას. მართალია, ფედაო,  
მოგვჯათ ერთი ნაწლევი და გუნვის უმკურ-  
ნალოდ, მაგრამ აი ხანუგეშო! დავითმა მისი  
გმირობით აუტანელი განსაწყვეტის გაუძლო  
და ზურსური ფიფემა ირგო, და ანგელოზათ  
გაფორინდა და მოისვენა ნეტარეულომან. არა  
არს საგლოვი, თქვენ უზუნაქმან მსა-  
კულომან ვანუგეშოთ და ჩვენი სულიერი  
ტეკომრის დავითის სახსენებელი ქრისტეს  
ნინ იუოს. ამინ. თქვენი მწუნარების თა-  
ნამგრობოში საწყალი მონახონი ევგენია.

1932 წ. 24 იანვარს ძველით“.



მარცხნიდან დავით (ქუჭურია) ვრიგოლის ძე დადიანი, ვლენე (ვლუ) ვიორგის ასული ყაზბეგი-გამრუ-  
კულია, ნინო (ჩაქურია) ვრიგოლის ასული დადიანი-ყაზბეგისა, მარინა კონსტანტინეს ასული ყაზბეგი,  
უცნობი; ღვას მარიამ ვრიგოლის ასული დადიანი. დრუზდრა, 1923 წ.

იყ-ფ, პატიოსანი დედაო მღვდელ ღირსო იღუმენია ელეონორა!

მივიღე თქვენი ნურილი ნეტარსენ-ნეტულის სქ. მ. დავითის გარდაცვალებულ-ზევა. ნუ სნუს დედაო, არამედ გინაროდენ, რაშეყო ის იქნება ზეუბში, შენი ნუგეში. მან მიმამა ნინაპართა ჩვენთა მუვეთა და კეთილმისწრაფებით შეუფა მის საცრფი-ლო ცმლოს იესოს, მიიღო ანგელოზებრივი სახე და აღფრინდა მათთან თან ერთად საუკუნო ნეტარებაში.

მე ვაზეთის სამჯალეთთ გავიგე მისი ამ ქვეყნით განსვლია. მაშინვე შეუფუქი მისთ-ვის ნირვას. ამაზეუ პრძინფინოვით გულ-დამშვიდებით და სანამ არ დავმინფინო, არ დავიციეებ ჩემს თანამოსავრე დავითს. შეტყობინებთანავე მე თქვენ მოგაროვით სამისძირის ნურილი, მიიღეთ თუ არა არ ვიფი. იქნებ დაიკარგა... რარ შეგებნა ნივითერ სახეიფელს, ამაზეუ არ შესნუსფეთ, გთხოვ სიძინალოით. ისე მის ხსოვნას თუ მაპყრობთ ნმიდა სანთლისათვის, ესერ თქვენი ნეტა... ამ ნურილის მიღება გთხოვთ მიპასუხოთ. მარად ღვთის კუფრებში თქვენი მღვდელ ღირსების მომხსენებელი კრებითურთ გიჯახ-აკი იღ. დავით (ჯინჯარაძე).

ტველით 3/11-336.

ველაფერს აქვს დასასრული ამ მხისქევეშეთში, ადამიანის სხეულიც ცვდება, იფი-ტება, მტერად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს...

ველარ გაუძლო ამდენ განსაჯირს ნეტარ-სხენებულმა, ფიხიკურად დაიბუნდა და გატყდა. 1933 წლის შემოდგომაზე სნებამო-რეულმა, მოიკიბა უკანასკნელი ძალა და ხორში მეუღლის, უფროსი შვილისა და შვილიშვილების საფლავები მოიღოცა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, დეკემბრის ცივ და თოვლიან დღეს, სიკვდილისწინა სინანულით ღვთივ განიწმინდა, ქრისტეს წმიდა საიდუმლოთა ზიარებით უკანასკ-ნელი ხაგზალი მიიღო და რძლის ხელში დაღია სული.

მონასტრის ტერიტორიაზე არსებული მებოცვრეობის მეურნეობის იმდროინდელ უფროსს, გეარად შვარცს, ეროვნებით გერმანელს, ხელისუფლებისაგან შეკრად ქონდა აკრძალული ჭიშკრის გადაღმა გარდაცვლილი მონახენის დასაფლავებაზე ნებართვის გაცემა. მაგრამ ამ პატიოსანმა ადამიანმა დიპლომატიურად, ორი დღით დატოვა იქაურობა და დედათა კრებულსა და ნათესაეებს საშუალება მისცა, მადლად მოეხვეწებინათ და დაეკრძალათ სქემილუმენია.

შემორჩენილია ქრისტესწმიერი დების, მისი სულიერი შვილების სახელით, 4 დეკემბერს წარმოთქმული გამოსათხოვარი სქემინახონ ფავსტო შუშანიას მიერ. დედა ფავსტო გულმხურვაღე სიყვარულთა ყთხოება სულიერ დედას, ადამიანს, რომელმაც მართლაც რომ საკვირველი მოთმინებით მიიღო წუთისოფლის მწარე გამოცდა და მის გარშემო აღადგებულ მძღაერობას, უსამართლობასა და ჩაგვრას არნახული სულიერი სიმტკიცე შეაგება.

„მღვდელ ღირსო სქემ-მონახონო დედაო იღუმენია ელეონორა!

„ნეტარ არს გზა ევე შენი, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს“.

თუშე, ვიფრე სოფლის გამოთხოვებამდე აქერ გინოდებდენ ნეტარად და ფეოფლოაჟ და ყველანი თქვენს გარშემო მყოფიანს და დაახლოებებს ნატროზდენ, რადგან ეს თვლითმაქერი ნხოვრება საყოფაც ადამიანს ატყუებს და ხიზლავს. რასაკვირველია, ამისათვის ყველანი შეგნატროფდენ და გყვარობდენ მისთვის, რომ თქვენი ფიფნული სასახლე ლიჭონ ნხოვრებას წარმოადგენდა და ფიფიდან უკანასკნელიამდე ყველას ამხანავად უხდებოდი. ყველას ვაფირვებანსა და მწუხარებანს თანაეზიარებოდი, და თქვენს თავს არ ამღლოებდი. აი, ზემოხსენებულ ფეოფლომა შენს ღრმა სარწმუნოებას ვერ აღუმატა და მღვდელ სარწმუნოებაში ამ ქვეყნის ფეოფლომა ვაფერე, რომ წარმავლია და წარუალი ფეოფლომისაქერ

მიგითითა: რომელიმან უარსაცვ ესე ყოველი და მიერდფ ზეწიურ ფეფა ღვთისას. მავრამ აქარ არჩულო იქმენ: სიხსლის ოფლით აღ-მენეწულო, თავგანნირვით მქხოვრენი სან-არმედიის ფეფათა მონახტრის ფეფაშისა და ფენახავან ნინამძღვრად. აქ მეტი სამდაძლოე გამოიჩინე და არამერ თუ უფროისი, არამედ იქროფი ყველაზე უკანასკნელიად და უკო-ნოდ და იყავი ყველაში არა თანახსნორი ამხანაგი, არამედ უმირნემესი. მავრამ იმ ფეფა ღვთისამ, რომლის გულში განვილი მახვილომან, მენთვისაერ ნილხვოთილოყო და განვლო გულისა მენსა მნარე მახვილომან და მოვტყარა მენი სინორჩის სხარული ჰირმ-ში შვილი კოკი. ეს არ გავმარეს, უცფავი ქვენი დიდხულიმისათვის დავავილოფეს: კოკი, ვახუ, მირ და ქუქურისას განშირე-ნით, რამაერა მნარედ დამზარა გული მენი. თუმერ მხეგავსად იონისა, დაუფხროთელი მად-ლომან სნირავდი, მანერ მძიმე შემთხვევამ მენერ გამოვასალომ ნუთიერ უხოვრემას და გადავიყვანა იმ დაუსრულოეშელო და უკ-დავ ქვეყანაში, რომელია მინა მყოფნი მენი ძვირფასი შვილნი ფლეს გარემო გუხვე-ვან და აქ მნარედ დახვილო ფეფას, იქ სუცარულით დავატყბომენ. აქ კი ხორეყ-ლაფ მენი ძვირფასნი შვილნი, რძლეში, შვილიშვილონი და თქვენი ოჯახის თავმე-ნირვით აღზრდილნი და ცომნი და ნათე-სავნი, აგრეთვე თქვენი სულიერი შვილონი - აქ მყოფი მონახვენნი მენს რეფარს გარემო ესვეიან. მავრამ ამითი ყველაზე უმეტესი, თქვენი ოჯახის მტკორედ მოსუ-ვარული სულიერი მოძღვარი, მამა ლოქში მითა მოგვემეშა. - მის სულიერ საყვარელო შვილს და ქრისტეს მვეგვეფორემს და მე, მამინ კი მოვევიკონეთ, მრავლაფ-დახვილო-ნი და დამოლომულონი სულიერი შვილონი და რიერა რა მვეგვიკონეთ და განგარის-ხეთ ყოველივე მვეგვირფევით და გვაპატივეთ, რათა თქვენიერა მგზავრომა ნარმაროეშელო ჰოს მუხოვარმან, ანგელოზნი ვიძლოფეს და ფეფა-ღვთისამ შვეიცემოს. ამინ.



აქენი ჩურგია ქლიონირა  
(იხილეთ ძეგლი აქენი)

ახე განშორდა საწუთროს ცხოვრები-საგან არაერთხელ გულნატკენი ეს ტან-ჯული ქაღბატონი. განშორდა და თავისი სიცოცხლის მოწამებრივი გზით ნათლად მიგვანიშნა, უფლის მცნებათა ჭეშმარიტ მიმდევარს რავგარად ძალუქს ამქვეყნი-ურ შეტირეგებათა დამარცხება, რათა იქ მარადიულ ცხოვრებაში, გახდეს ღირსეუ-ლი მოქალაქე ზეციური სასუფეველისა და მკვიდრი წმიდა საგანისა.

პაატა ქურდოვანიძე



### რა სტკიოდა პოეტ მირზა გელოვანს...

გაუთუითცნობიერებულს მოვლენათა არსში დიდხანს მიკვირდა, რა განსახვდრავდა პოეტი-ჯარისკაცის მირზა გელოვანის ან თუნდაც, ჭლეკით სახიკვდილოდ დაავადებული ღაღო ასათიანის უკიდვებანო ოპტიმიზმს, განსხვავებულს მათივე თანამედროვეობის, ე.წ. საბჭოთა აღმშენებლობითი ეპოქის პათეტიკური ოპტიმიზმისგან.

ლიტერატურის ისტორიამ იცის მაგალითები, როცა განუყოფელი მწერლის ცხოვრებისეული და ლიტერატურული ბედი, როცა ერთარსად იქცევიან ქმნილება და ავტორი, ან პირიქით, არსებობს საკუთარი ბიოგრაფიის დრამატიზმს აცდენილი შემოქმედებითი ცხოვრებაც.

რამდენად რთულია პოეტისთვის ომი და ჯარისკაცობა, ეს მირზა გელოვანმა ჯერ კიდევ კურსკის სადგურში იგრძნო, როცა შემთხვევით კონსტანტინე გამსახურდიასა და შალვა ნუცუბიძეს შეხვდა, თბილისში გამგზავრებულთ. მათ უნებურად გამოხატეს ამგვარი დისონანსის უცნაურობა, როდესაც წინ ახალგაზრდა პოეტი იდგა ჯარისკაცის ფარაჯით, როგორც მირზა წერს, „თოვით და კატილოკით ხელში“...

მაგრამ ხომ ჯარისკაცები იყენენ ღოპე დე ვევა, ბაირონი, ღორკა... აქაც, ამ სფეროშიც გამოიჭიდანდა მათი დამოკიდებულება სამყაროსადმი და მათი პირადი პათოსი... ისიც ღოგიკურია, რომ აღარავის ახსოვს ღორდ ბაირონი, როგორც ღიბერალური პარტიის წევრი, როგორც პოლიტიკოსი. მსოფლიოსთვის ბაირონი ოდენ დიდი პოეტი, მაგრამ მისმა სამშობლომ, ინგლისმა დღემდე ვერ მოუქებნა ახსნა თავისი უპირველესი პოეტისა და უღამაზესი დუნდის ღეგოინეროვით სიკვდილს ბერძენ ინსურიგენტებში.

„სანტერსოა იბრძოლო იქ, სადაც შენს მამა-პაპს არასოდეს უბრძოლდა“... ეს მირზა გელოვანის გამოუქვეყნებელი წერილიდანაა, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, არ შევიდა პოეტის კრებულებში, ვინაიდან მირზას სახელის საბჭოური პროპაგანდა მას გარკვეული სტერეოტიპით გუთავაზობდა.



მირზა გელოვანი



ოფიციალურ დღესასწაულებზე „საბჭოთა ჯარისკაცად“ იხსენიებდნენ და გაუტეხეულობის საილუსტრაციოდ მირზას ფრონტიდან შშობლებისთვის გამოგზავნილი წერილების ფრაგმენტებს კითხულობდნენ:

„მე მინდა, ისე უცქერდეთ ამ ომს, როგორც მე ვუცქერი, უშიშრად, უშუბროდ. გვეროდეთ, ჩემო ძვირფასებო, თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ საცდელი მიწერია, ძვირად დაუკუსვამ მტერს ჩემს სიცოცხლეს. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნება!...“

აქ ჩანს სურვილი პოეტისა, მის ბრძოლას აუცილებლად მაღალი იდეა ახლდეს. სწორედ ასეთ მირზას იცნობენ თაობები და შუუძლებელია. ეჭვი შეიტანო ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათის გულწრფელობაში.

მირზას ცნობილი წერილების მაღალ პათოსს მისივე უცნობი და ნაკლებად ცნობილი წერილების სულისშემძვრელი ტრაგიზმი აფერმკთავებს.

მირზა — თავის უფროს მეგობარს, პოეტ რაქვეან გვეტაძეს:

„ამ წერილს ხარკოვიდან გწერთ. ეს ჩემი უკანასკნელი დღეა ხარკოვში. სადამოს მივდივარ აქედან და მერე ვინ იცის, შეიძლება დავბრუნდე, შეიძლება არა და ახლა, როცა დავფიქრდი, მივწერო გამოსამწვიდობებელი ბარათი, ჩემს ხსოვნაში ვერ აღმოვანინე ვერცერთი უზრდილო საბჭო, ვერცერთი გული ადამიანისა, რომელიც ამაღ მღიარებოდა და აი, თქვენ გწერთ, რადგან თქვენ ყოველთვის კეთილად მაგონდებით. ასე თუ ისე, ამას გულწრფელად ვაკეთებ.“

ჰოდა, აი „გამამწესეს“, ანუ ნომერი დამკიდეს და ნაშართვეს საკუთარი სახელი და გვარი, რომ ვინიცობაა ნომრით ამომიკნონ. თქვენ იცით, რა არის კარისკაცის ნომერი? იგი შედალიონს ნააგაკს და შედალიონივით ან გულზე უნდა დაიკადონ ან ტანსაცმელზე დაკერდეს. ის პატარა კოლოფია, სადაც მებრძოლი უკანასკნელ ბარათს ჩასდებს. იმ წერილში იქნება მოკითხვა მუზობლებისა და ვინ იცის, ვისი არა. ამ წერილში იქნება ცუდად შემალული, ცრემლიანი ნუხილი და ჩივილი საკუთარ ბედზე. ჩემს ნომერში არაფერი იქნება. მე ის საცდელის ანგელოზივით მძულს და



პირველივე კონტროლის შემდეგ უთუოდ გადავაგდებ, რადგან სიკვდილის შემდეგ კი არა, სიცოცხლეშივე არაეინ მიცნობდა მე.

რამდენჯერ მოეხვედი ქალაქის სამხრეთ სადგურში, რომელიც მუდამ სავსეა ქართველებით. მოდიან მზით დამწვარი ბიჭები და როცა ეშელონი ჩამოდგება, გუგუნებენ გაყინული ვაგონები: „ვაიმე, ჩემო, ვაიმე, ჩემო ვენახო“... და მუნანება მათი უვაჟკაციოდ დარჩენილი ოჯახები (ჩემი ოჯახიც ასე დარჩა ჩემი ნაფეხანის შემდეგ) და მინდა, მთელი ძალით ვიფვირო, რომ დაუბრუნონ ისინი საქართველოს მინას. დააბრუნონ ისინი და დაე, პირველივე ტყვიამ მოიკლას მე...

აქ ვოთნაში ხანდახან ვეიქრობდი გზებზე, პოეზიაზე, ჩემს უღონო ნივინზე, რაც მხოლოდ დასანჯისი მეკონა. დასანჯისი კი არა, ერთგვარი ბავშვობა ხმის შექენის, რომლის შემდეგაც ნანილობრივ მოვიპოვებდი უფლებას მეთქვა სხვა, უფრო გაბედული, მაგრამ ეს გველაფერი რადაცნაირად გაცურდა გადაღმა და მე არ ვიცი, რა იქნა მირზა გელოვანი, რომელსაც ჰქონდა უდიდესი ოცენება და რწმენა გამარჯვების.

მოკლე ხანში შემასწავლეს საომარი ზელოვნება, თუ როგორ უფრო ადვილია მოკვლა მტრის. აღმოჩნდა, რომ ეს ბევრად იოლია, ვიდრე ეიქრი სინტაქსზე... რა საინტერესოა, იბრძოლო იქ, სადაც შენს ნინაპრებს არასოდეს უბრძოლიათ. უნდა ნახვიდე და ეცადო, რომ მოკლა, რათა არ მოგკლან...

თქვენ, აღზათ, არანორმალური გეზვენებათ ეს ნერილი. იეიქრებთ, თითქოს, მეშინოდეს ან ვნაიოდე. არა! მე მხოლოდ მინდოდა, მეთქვა, რომ შეცდომით დაქიდე ს ნომერი და ნამართლეს საკუთარი სახელი და გვარი! მე მხოლოდ მინდოდა, გამოემშვიდობებოდით...“

მირზა თითქოს წინასწარ გრძნობდა სიკვდილის გარდუვალობას, ემშვიდობებოდა ყველას და ყველაფერს თავის გარშემო... პარადოქსია და ემშვიდობებოდა იმასაც, რაც შერე უნდა მომხდარიყო, სიკვდილის შემდგომ... რაღაც აღსარების მავგარი იყო მის გამოთხოვებებში, სოგჯერ ღია, სოგჯერ დაშიფრული...

მრავალი წლის წინათ ჩემი მეგობრის, მარინა რევიშვილის მამამ, ცნობილმა გერმანისტმა შოთა რევიშვილმა, მირზას თანაკურსელმა, საკუთარ არქივში არსებული მირზა გელოვანის ხელნაწერი მანეუნა. ეს იყო დროისგან გაყვითლებული, გაცრეცილი წერილი, ზემოდან მინაწერი: „არ წააკითხო არავის.“





ამ წერილის დაწერის შემდგომ დრომ ბევრი რამ გადააფასა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. ამიტომაც ალბათ, ბატონმა შოთამ ეს აკრძალვა („არ წააკითხო არავის“) შეგნებულად დაარღვია. ის დათარიღებულია 1937 წლით. ცნობილია, რომ იმ პერიოდში მსგავსი შინაარსის წერილებს წვაებდნენ ან აგდებდნენ, ჩხრეკვის და რეპრესიების მოლოდინში. ცხადია, ბატონმა შოთამ მეგობრის ეს ბარათი გასახანდგურებლად ვერ გაიმეტა და ინახავდა, როგორც სვედიან რელიკვიას.

### მირზა გელოვანი — შოთა რევიშვილს

„გესუბრები შორიდან, გესუბრები. თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, არ ვიცი, რაზე გელაპარაკო... ჩემს არეულ ცხოვრებაზე არ ღირს ნერო კაცმა. სხვა რაზე კი მე არ ვიცი. სხვა დროს მოგწერდი, როგორ წავიდნენ ორნი გზის საძებნელად და როგორ გადავიწყეს ერთიმეორე... ან მამალზე გესუბრებოდი, რომელმაც მხოლოდ ერთხელ იფიცლა, ისიც მამინ, როცა შეიტყო, ქვეყანაზე სამუდამოდ უნდა გათენებულიყო ღამე... ახლა კი ვურატურს მოგწერ. ვარ ძაღვი. მესმის მოდალატე თურგის ხმა და გული მტკივა. მეგობარო, ვახსოვს, შენ რომ დაგემშვიდობე? მას შემდეგ მე ბევრგან ვიყავი. არსად დიდ ქალაქში არ აღმოხნდა ჩემთვის თავშესაფარი — ესეც დროის და ბედის ბრალია, მეგობარო!..“

შენ ვახსოვს ჩემი რეკოლგერი? ამ ბოლო დროს დამწედა მისი კიბით ტარება და ხელს რომ შევატებ, მგონია, სიკვდილი დამაქვს კიბით. ხანდახან, როცა დაცხება ჩემს ოთახში, ამ რეკოლგერით ვიგრილვებ შუბლს. თუმცა, უნდა გამოვიტყდე: სისულელეა, კაცმა თავში დაირტყვას ტყვია. განა გული რას



მირზა გელოვანი და ნინო ახელედიანი.  
კურორტი შოი, 1939 წელი



მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი თიანეთში

აკეთებს? ჩემო კარგო, ჩემი გულია ჩემი უბედურების სათავე და შენ თითქმის დამეთანხმები: საჭიროა მისი განჩერება.

ამ რეკოლექციაში მოკლა ერთი ადამიანი... მას ნატყვიარი მარცხენა ტუტუს ქვეშ ჰქონდა... რად მენჭება მეც ტუტუ? ტყვიას ზომ არ ელის? ...

შოთა, ჩემო შოთა, ნეტა აქ იყო ახლა!.. მე ავად ვარ, მეგობრო!... მე ზელები მიცახტახებენ... მე საშინელს ვუახლოვდები... იქნებ გადამარჩენდა მეგობრის ზელი. ეინ იცის...

ეს წერილი არ წაკითხო არავის. ეს ჩემი თხოვნაა. დღეს რატომღაც ვგულა ცბიერი მენჭენება, გარდა ალიოშა საკაიასი. მოკითხვა გადაუცი მას, ჩემო კარგო. მე ადარ მაქვს მისი მისამართი. მახსოვს შოლოდ მისი მეგობრული ღიმილი...

მშვიდობით, შენი მირზა

9 დეკემბერი, 1937 წელი“

ეს სულისშემბრუნელი წერილი თითქოს საბაბს იძლევა ვარაუდისთვის, რომ მირზა ევრ გაუტლებდა ომის სისასტიკეს და თავად მოისწრაფებდა საკუთარ სიცოცხლეს.

ბატონი შოთას გადმოცემით, მირზა გვლოვანს ერთხელ იარაღით დაუჭრია კიდევ საკუთარი თავი სწორედ იმ რეპრესიების წლებში. ისტორიამ არ შემოგვინახა ამ ფაქტის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. თუმცა, მემუარებში ამას ადასტურებდნენ ვახტანგ ბეწუქელი და ახლო ნათესავი ნათელა ქვინტი. მტკიცებულებების სხვა დოკუმენტი ჩვენ არ გავაჩინდა.

თიანეთში, მირზას სახლ-მუხუშუმის გულისხმიერი თანამშრომლები დამპირდნენ, რომ პოეტის ბავშვობის მეგობარს გამაცნობდნენ. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მხოლოდ ძალიან ახლობლისგან შემქმნლო გამეგო რეალობა.

დანიშნულ დროს შორიდანვე დაინახე სახლის აივანზე მდგარი, მუქ კოსტუმში გამოწყობილი მოხუცი. როგორც შემდგომ შევეტყვე, ბატონი ბიძინა მამურიშვილი ავადმყოფი საწოლიდან ამდგარა, საგანგებოდ გამოწყობილა, წვერიც გაუპარსავს, მთელი დამე უფიქრია: „მირზაზე საღაპარაკოდ ჩამოსულან და რაღაცა უნდა შემეკითხორო...“

ფეხზე იდგა. რაღაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, სერიოზულობა და პუნქტუალობა ეწერა სახეზე.

იმ წუთებში ცოტა შემრცხვა ჩემი ტურისტული განწყობის, ჯინსების, ზურგზე მოვდებული ჩანთისა და ათი წუთით დაგვიანების გამო...

ბატონი ბიძინას დეტალური საუბარი ჩავიწყრე. თუ როგორ გაატარეს ერთად ბავშვობა და სიყმაწვილე, როგორ დადიოდნენ სანადიროდ და სათევზაოდ... რომ მირზას პაპამისი სოსიკოს ნაგანი და დამბაჩა პჭონია, მას კი მოკლე „ბურღენკა“... რომ მირზა თინათლი ბიჭებისთვის მუდამ მისაბაძი იყო... რომ მირზას ჰყავდა არაჩვეულებრივი წითელი ცხენი და კარგი მხედარიც ერჭვა... სულ გმბობაზე ღაპარაკობდაო და ნატრობდა ერკლე მეფისა და სააკაძის ხმლების ნახვას...

შერე ეს შეკითხვაც დაეუსვა: „ბატონო ბიძინა, არსებობს აზრი, რომ მირზა გვლოვანი თვითმკვლელობისთვის ემზადებოდა...“

მაშინვე ეგორბენი ამ კითხვის სრული უადგილობა და სიტუაციასთან შეუსაბამობა.

ბატონი ბიძინა აღელდა. აღშფოთდა კიდევ. მიმტკიცებდა, რომ მირზა სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული იყო და თავს არასოდეს მოიკლავდა. ასე რომ ყოფილიყო, რაღაც ხომ ეკოდინებოდა მის ძმას თემოს ან რომელიმე ახლობელს... ის ვაჟაკი იყო და უშიშარი...

დასძინა: რას არ მოიგონებენ თბილისელებო...

მაპატიეთ, ბატონო ბიძინა და მადლობას გიძღვნით თქვენი მშვენიერი მოგონებების, მირზას ასეთი სიყვარულისა და თქვენი გულწრფელი აღშფოთებისთვისაც, გამადლობოთ...

ასეთი იყო ჩვენი დაუვიწყარი შეხვედრა თიანეთში... უპასუხოდ დარჩენილი კითხვაც და მირზა გვლოვანის უსაზღვრო სვედის აღმბრუნელი წერილებიც, როგორც მისი ცხოვრების გაბზარული ეპიზოდების მატრიანე... ამ წერილებში უფრო მეტს ვეღარაფერს დავინახავთ, პოეტის დიდი ტკივილის გარდა...

პართული საღვთისმეტყველო ტერმინები  
„აღსვების“ რაობისთვის

საკლესიო ლიტურგურაში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „აღსება“ იგი ორიგინალური, ძველი ქართული ტერმინია და, უპირატესად, პასქალიონში გამოიყენება. სალექსიკონო განმარტებით, ნიშნავს: „აღსება, გაღსება, შესრულება, განძლება, აღსრულება“ (აბულაძე 1973), ასევე, „აღდგომის დღესასწაული; აღდგომა“ (სარჯველაძე 2001; გოგინიძე 2016). ჩვენთვის საყურადღებოა აღნიშნული ტერმინის როგორც შინაარსობრივი, ისე ეტიმოლოგიური განმარტება.

სიტყვა აღსება ებრაულიდან მომდინარე ტერმინ პასქის ზედმიწევნითი შესატყვისია და ბურძნულ პახხას და სომხურ ზატის შეესაბამება (ჭელიძე 2008: 217). რამდენადაც საკლესიო ლიტურგურაში აღდგომის დღესასწაული გვხვდება ტერმინით აღსება, სწორედ ამიტომ მივიჩნევთ საჭიროდ, შევეხოთ აღნიშნულ ტერმინს და წარმოვაჩინოთ მისი წარმომავლობა და მნიშვნელობა.

ცნობილი პიწოვრეფები ყოველთვის ცდილობდნენ, აღდგომა, როგორც მოვლენა, განსაკუთრებულად შეემკობთ და მისი არსი მთელი სისაკმის წარმოეჩინათ. აღდგომის დღესასწაულის ერთ-ერთ ცნობილ საგალობელში ვკითხულობთ:

„კითარ ტარივი უბიწო, მაკურთხეველი ჩუენი, გურგანი ქრისტე, ნებისთ ყოველთათჳს დაიკლა პასქჳდ წმიდამყოფელად და კუალად შუენიერად საფლავით სიმართლისა იგი მჴე აღმოგებრწყინდა ჩუენ“ (ტრიოდონ ზატკი 1878, 4).

როგორც ვხვდავთ, პიწოვრეფი მაცხოვრის მკედრეთით აღდგომას მხის ამო-

ბრწყინებას ადარებს და ამგვარად ამკობს დღესასწაულს, ხოლო იოანე მინჩხი მესამე დღეს საფლავიდან აღმდგარ მაცხოვარს ამგვარად განადიდებს:

„გამო-რავ-ხუედ საფლავით მესამესა დღესა, კითარცა სიძე, გამომავალი ეზოთ თჳსით, განძჳსენ კრულებათაგან აღამ და შენ თანა აღადგინე, ქრისტე სახიერ, მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ“ (იოანე მინჩხი 1987, 289).

ხშირად აღდგომა პასექის სახელით მოიხსენება, რადგან, საკლესიო სწავლებით, ძველადღესობის პასექი „ახალადღესობის პასექის“, ანუ აღდგომის სახე-სიმბოლო გახლავთ: „პასექი ბრწყინვალედ აღმოგებრწყინდა ჩუენ დღეს, პასქა ახალი წმიდა, პასქა სამღვდლო, პასქა ყოვლადქებული, პასქა საიდუმლო, პასქა საუფლო, პასქა დიდი და პასქა უბიწო; პასქა, რომელმან სამოთხისა ბჭენი დაჭმულნი განგვხუნა ჩუენ, პასქა, ყოველთა წმიდამყოფელი“ (იოანე მინჩხი 1878, 9).

აღდგომის დღესასწაული სხვადასხვა სახელით მოიხსენიება, მათ შორის, ხშირად ტერმინით პასექი. ყველაზე ხშირად როგორც ჩანს, ქართველ პიწოვრეფებს იგი უთარგმნელად გადმოუტანიათ ებრაულიდან და დაუმკოდრებით ლიტურგიკულ დუთისმსახურებაშიც. რაც შეეხება აღსებას, თუ სიტყვის კუთხით განვიხილავთ, იგი პასექთან ერთად აღდგომის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინია და მისი გამოყენება ადრეულ ქრისტიანულ პრაქტიკაზე მიუთითებს. თუმცა, განსხვავებით ტერმინ პასექისგან, მას პიწოვრეფულ საკითხავებში არც თუ ისე ხშირად ვხვდებით.

„უბეველეს იადგარში“ აღსება აღდ-

გომის საგალობლებში გვხვდება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მისი, როგორც ტერმინის სიძველეს. აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანოთ ნიმუშად: „დედანი ნელსაცხებელითა ღმრთიუ-შემოსილნი შემდგომად შენისა აღდგომისა სრბით მიიწინეს საფლავად, და რომელნი-იგი ვითარცა განსრწანდას გვიებდეს, სიხარულით თაყვანის-გცეს შენ, ღმერთსა ცხოველსა, და საიდუმლოდ აღვსებისა მოწაფეთა შენთა აუწყეს“ (იადგარი 1980, 545). ასევე „მოედით და მიუგებოდით შემასხმელნი გალობისანი ქრისტესა, გამომაგალსა საფლავით, ვითარცა სიძესა, და ედღესასწაულობდით გუნდას თანა მოყვარეთა დღესასწაულისათა აღვსებასა ქრისტესს, ღმრთისა ჩუენისასა“ (იადგარი 1980, 545). იმავე „უძველეს იადგარში“ აღვსება ხშირად პიროვნულად თავად მაცხოვარს მიემართება. მაგალითისთვის ორ საგალობელს დავიმოწმებთ: „აღვსებაო დიდებულო, დაუსაბამოო ქრისტე, სიტყუაო ღმრთისაო, სიბრძნეო და ძალო, მომეც ჩუენ მორწმუნეთა უბრწყინვალესი დიდება, რათაო აღვიესნეთ შენ მიერ მადლითა დღესა მას დაუღამებელსა სასუფეველსა შენსა“ (იადგარი 1980, 546); „მოასწავა სჯულმან, ვითარცა-იგი განელო საშოი ქალწულისა და გამობრწყინდა ქრისტე და არს იგი კაცი სრულ. კრავად სახელ-სდვა მას უბიწოდ, რამეთუ არა იხილა ცოფავი აღვსებამან ჩუენმან, ქრისტე და ვითარცა არს ღმერთი ჭკმმარიტ, სრულიად თქუა“ (იადგარი 1980, 544).

ძირითადად ტერმინი აღვსება პოშიდუტოკურ და პაგიოგრაფიულ ძეგლებში გამოიყენება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აქ მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობით არ გაიგება. ამის შესახებ

საინტერესო განმარტებას ვხვდებით პროფესორ ედიშერ ჭელიძის კომენტარში, რომელიც მას დართული აქვს „წმიდა მოწამე შუშანიკ დედოფლის მარტვილობის“ ერთი კონკრეტული ადგილის განმარტებისას. კერძოდ, პაგიოგრაფიულ ტექსტში ნათქვამია, რომ ვარსკქენმა წმინდა დედოფალი „გეჴმა“ აღვსების ორშაბათს: „მოორედ გუემად მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკსა, დღესა ორშაბათსა“. ედიშერ ჭელიძე აღნიშნავს, რომ ტერმინი „აღვსება“ ორმნიშვნელოვანია: 1) „იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს ციკლს, დღეების გარკვეულ მონაკვეთს, ჩვეულებრივ შეიდეულს (ზოგჯერ შეიდეულებს), ამ აზრით, ტერმინი აღვსება იმოხლება ტერმინ აღდგომისაგან. 2) მეორე მხრივ აღნიშნავს ხსენებული ციკლის (ჩვეულებრივ, შეიდეულის) დამაგვირგვინებელ კონკრეტულ დღეს, კვირიაკეს, კვირა დღეს, როდესაც აღდგა უფალი. ამ შინაარსით ტერმინები აღვსება და აღდგომა იგივეობრივია, იდენტურია“. მაშასადამე, ედიშერ ჭელიძის აზრით, აღვსება ორგვარად გაიგება და იგი ყოველთვის აღდგომასთან არ არის დაკავშირებული. ამის დასტურად მას მოაქვს სინონიმები, რომლებიც ძველ ქართულში აღვსების საბრწონედ გამოიყენებოდა. ეს ტერმინებია: ზატიკი, პასექი, პასხა, ვნება, ვნებათაა, მსხუროპლი, საკეღელი, ზატიკი პასექისა, დღესასწაული, ყველა ეს სახელი ტერმინოლოგიურად აღვსების იდენტურია, რადგან ისინი ბრძნული პასხას (ზმნა პასხო ნიშნავს ვნებას, ტანჯვას) თარგმნის შედეგად მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებია. მაშასადამე, მარტვილობის ტექსტში ნახსენები „აღვსების ორშაბათი“ არ უნდა გაეიგოს, როგორც მხოლოდ აღდგომის შემდგომი, ბრწყინვალე შეიდეულის ორშაბათი. სავსებით შესაძლებელია, რომ

იგი გაასრებულ იქნეს, როგორც ენების შეიდეულის ორშაბათი, იგივე დიდი ორშაბათი. ტერმინ აღვსების ენების შეიდეულად გაგებისათვის ედიშერ ჭელიძეს მარტივობის ტექსტის კომენტარში ძველი საკლესიო ლიტერატურიდან უამრავი მაგალითი მოაქვს (ჭელიძე, 2008: 226), რაც უპიკველად გულისხმობს ტერმინ აღვსების ენების შეიდეულად გაგებას.

რაც შეეხება აღვსების აღდგომის დღესასწაულთან იგივეობას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც არაერთი მაგალითი გვაქვს ძველ ქართულ პოშიდელტიკურ ძეგლებში. მაგალითად, „ქლარჯულ მრავალთაჲში“ (XII ს.) გვხვდება წმიდა მელეტი ანტიოქიელის პოშიდლია სათაურით: „წმიდასა დღესა დიდსა, ნათლითა შემოსილსა აღვსებასა, აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა საკითხავი, თქუშული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მელენტი ეპისკოპოსისაჲ“. ამავე მრავალთაჲშია შერანილი წმიდა კირილე იერუსალიმელის ქადაგება: „აღვსებისა ორშაბათსა, ზატიკსა საკითხავი, თქუშული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კირილე იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისაჲ მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა და სულათოს“.

საყურადღებოა იოანე-ზოსიმეს ავტორობით ცნობილი იერუსალიმური დეკრიონარის მითითებაც: „დღესა აღვსებასა წმიდასა დღესასწაულსა აღგომასა უფლისასა კრებაჲ კათოლიკესა“ (თარხნიშვილი 1960, 143). ჩანს, ცნობილი ქართველი გადამწერი ხშირად იყენებს ტერმინ აღვსებას აღდგომის მნიშვნელობით, რისი დასტურიცაა მისი კალენდარი (პალეხტინურ-ქართული კალენდარი 1958), რომელშიც იგი ამავე სახელით იხსენიებს მაცხოვრის ცხოველმყოფელ დღესასწაულს.

აღდგომის საკითხაეების მსგავსი დასათაურება გვხვდება წმიდა გიორგი მთაწმიდელის დიდ სენაქსარშიც: „წმიდასა და დიდსა და ბრწყინვალესა კვირაჲკსა აღვსებისასა“ (დიდი სენაქსარი 2017, 372) და მრავალი სხვა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: ტერმინ აღვსების რომელი მნიშვნელობა უფრო ძველი? კვლავ ედიშერ ჭელიძის მოსაზრებას დავეყრდნობით, რომლის მიხედვითაც, თუ აღვსება ადრეულ ხანაში გულისხმობდა საკუთრივ „ენებას“, ანუ „ენების შეიდეულს“, მან მოგვიანებით შეიძინა „აღდგომის“ მნიშვნელობა და განიმსჭვალა ამ უდიდესი სიხარულით. გარდა ამისა, თუკი თავდაპირველად აღვსებაში დროის გარკვეული პერიოდი (ენების შეიდეული) იგულისხმებოდა, შეითვისა რა მან „აღდგომის“ მნიშვნელობა, ციკლური შინაარსიც ბუნებრივად დაუკავშირდა მას და აღნიშნული სახელი, კონკრეტულ დღესთან (აღდგომასთან) ერთად, ეწოდა მის შემდგომ საკუთრივ ბრწყინვალე შეიდეულს.

ამგვარად, ტერმინი აღვსება, აღდგომასთან მიმართებით, ორ ძირითად მოსაზრებას ემყარება:

პირველი: როგორც აღინიშნა, აღვსების ერთ-ერთი მნიშვნელობაა „სრულყოფა“ ან „სისრულე“, რაც ამავე დროს შესაძლებელია აღქმულ იქნას, როგორც „სრულყოფა, სისრულე გარკვეული ციკლისა, პერიოდისა“, ანუ დიდმარხვისა, თავისი მოსაზრდებელი პერიოდითა და ენების შეიდეულით. სწორედ დიდი მარხვის სრულყოფის, ამ წმინდა სულიერი სარბიელის გასვლის შემდეგ აღივსება, სრულ იქმნება, დასრულდება ეამი მარხვისა და დადგება ეამი ჭეშმარიტი ზეიშისა. ამ მოსაზრებას აუთარებს კონკრული კვლევიძე ტერმინ აღვსება



მაცხოვრის აღდგომის ფრესკა. ათონი, XIII ს.

ბის განმარტებისას. მეცნიერის თქმით: „აღდგომით სრულდება, აღიესება პერიოდი 49 დღის მარხვა-სიწინაულისა, რომელიც მას წინ მოუძღვის“ (კეკელიძე 1955, 132).

კორნელი კეკელიძე თავის შეხედულებას სხვა მოსაზრებითაც ამყარებს: „სველ ქართულ პეორტოლოგიურ წელიწადში, რომელიც ცხრა პერიოდად იყოფოდა, 49 პერიოდი შეიცავდა თითოეული შეიდკვირას ან 49 დღეს. შეიდკვირეულ პერიოდებად დაყოფა სეკულესიო წელიწადისა არის უძველესი აღმოსავლური პრაქტიკა, რომლის კვალი დარჩენილია სირიის ქრისტიანთა, ნესტორიანთა და იაკობიტთა შორისაც, ტერმინი „აღესება“ იხმარე-

ბოდა ხოლმე ამ ქრისტესიანთა მიერაც, იმით აღინიშნებოდა არა მარტო დიდმარხვის, არამედ სხვა პერიოდის უკანასკნელი შეიდეულიც მაგალითად: „პარასკევი მოციქულთა შეიდეულის აღესებისა“, „კვირა მოციქულთა შეიდეულის აღესებისა“ მაშასადამე, ყოფილა ცალკეული პერიოდი, რომელსაც „მოციქულთა შეიდეული“ ეწოდებოდა. მართლაც, მეექვსე პერიოდი ხსენებული პეორტოლოგიური წელიწადისა მარტვილიდან, ანუ სული წმიდის მოხელის დღესასწაულიდან იწყებოდა და გრძელდებოდა 29 იუნისამდე, პეტრე-პავლობამდე; ამიტომ ამ პერიოდს ეწოდებოდა „მოციქულთა შეიდეული“, ამ შეიდეულ-

საც თავისი „აღვსება“ ქონია“. კორნელი კეკელიძე თავის ამ მოსაზრებას არგუმენტად წმინდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ერთ მონაკვეთს ურთავს. დიოსმა მამამ თავისი გარდაცვალების დღეს, 1065 წლის 29 ივნისს, ცისკრის ღოცვის შემდეგ მოუწოდა ძმებს და უთხრა: „ნუგაშინის-ეციით ძმათა, რამეთუ დღეს აღვსებაი არს“. კორნელი კეკელიძე მიიჩნევს, რომ 29 ივნისი, პეტრე-პავლობის დღესასწაული, ყოფილა „აღვსება“ მოციქულთა მარხვის შეიდეულისა (კეკელიძე 1955, 132).

დიდი ქართველი მეცნიერის ეს შეხედულება მეტად სარწმუნოს ხდის ამ მოსაზრებას, რომ აღვსება სწორედაც დიდი მარხვის განსრულების გამო ეწოდა აღდგომის დღეს. აქვე ორიოდე პიწნოგრაფიული საგალობლის ფრაგმენტებიც დაეიმოწმით:

„აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე ღმერთო, აღაგე სიხარულითა და მხიარულებითა გუდი ზემი და მაცხოვრე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალმოწყალე“; „ნათლად წარმართთა გამოუნდი მზე ვეგ სიმართლისა, აღვსებაო დიდებულო, და მყოფთა ბნელისათა ნათელი მიჰმადლე აღდგომისა შუნისაი, რომლითა განათლდეს კიდენი სოფლისანი“ (იოანე მინჩი 1987, 288).

„საფლავად კორცითა შესხუედ, ხოლო ჯოჯოხეთს სულითა, ვითარცა ღმერთი, და სამოთხეს ავაზაკისა თანა და საყდარსა მამისა და სულისა თანა განუშორებელ იყავ, ქრისტე, რომელი ყოველსავე აღაგებ, გარეშეშოუწერელო“ (ტრიოდონ ზატიკი 1878, 13).

ამ საკითხავების შინაარსიც ცხადად მოწმობს იმას, რომ აღდგომის ნაცვლად გამოყენებული ტერმინი აღვსება, რომელიც ამ შემთხვევაში მიეშართება მაცხოვარს, როგორც ყოველგვარი სიკეთის გან-

მასრულებელს, მოასწავებს დიდმარხვის დასრულებას, სრულყოფას.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინი აღვსება ნიშნავს „გავსებასაც“, იგივე „აგვსებასაც“. როგორც ცნობილია, აღდგომის დღესასწაული აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის (დღელამსწორობის) შემდგომი სავსემთვარობის მომდევნო კვირას გამოიშინარე ტერმინის შინაარსიდან, ვუიქრობთ, ჯეროვანია სიტყვა აღვსების დაკავშირება მთვარის სისავსესთან, რადგან სწორედ მთვარის სისავსეა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს აღდგომის დღესასწაულის თარიღის დადგენას. გარდა ამისა, ბუნიობაც ხომ ერთგვარად დღისა და ღამის თანაბარ სისავსესთან, სისრულესთან ასოცირდება.

და მესამე ფაქტორი: გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსემთვარობის მომდევნო კვირა, რომელიც შეიდეულის სრულყოფილი და დამაკვირგვინებელია (და რომელსაც უწინშენელოვანესი ფუნქცია აქვს აღდგომის დღის დადგენის საქმეში). ასე რომ, სიტყვა აღვსება წმინდა ასტრონომიული კუთხითაც შეიძლება იქნეს გაგებული თუ აღქმული.

ტერმინ აღვსების განმარტებისას სწორედ ამ მოსაზრებას განიხილავს და პიპოთხად აყალიბებს დიდი ქართველი ენათმეცნიერი, აკაკი შანიძე, რომელიც აღინიშნავს:

„ის გარემოება, რომ პასექი ძველ ქართულად იწოდებოდა აღვსებად, მოწმობს იმის შესახებ, რომ მისი დღესასწაულობა შესაძლებელია დაკავშირებული იყო გაზაფხულის სავსემთვარობის შემდგომ პირველ კვირასთან“ (ხანმეტი დეცქიონარი 1944, 28). ამავე აზრს გამოთქვამს ვიშურ ჭელიძეც და ტერმინ აღვსების სათავე ებრაული პასექის აღსრულების ვაჟს მიიჩ-



ნებს: „უპიკველია, რომ ქართული „აღვსება“ უნდა შექმნილიყო, როგორც პასექის დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინი, გამოზღინარე პასექის აუცილებელი პირობიდან, სავესთვარობიდან. როგორც ცნობილია, პასექის დღესასწაული აუცილებლად იმართებოდა სავესთვარობას, რაც ძველ ქართულად სწორედ „აღვსებად“ ითქმის“ (კელიძე 2008, 268).

აკაკი შანიძის ამ შეხედულებას არ ეთანხმება კორნელი კეკელიძე და მიზეზად ორი არგუმენტი მოჰყავს:

1). ტერმინის ამგვარი გააზრება გულისხმობს მხოლოდ მთვარის აღვსებას, მართლმადიდებელთა პასქალიაში კი მთავარია არა იმდენად მთვარის ავსება, რამდენადაც მისი მომდევნო კვირადღე და 2). ძველ ქართულ პასქალებში (თიანე-ხოხმესი, აბუსერიძე ტბელისა და ვახუშტი ბატონიშვილისა) მთვარის აღვსება აღინიშნება ტერმინით მცხრალი, რაც ნიშნავს „გაქსებულ მთვარის დაკლებას, გაღუფლ მთვარეს“. მოყვანილი არგუმენტების ბოლო, კორნელი კეკელიძის აზრით, ძალაში უნდა დარჩეს ტერმინის მისეული გაგება.

მეორეა, რომ, ერთი მხრივ, კორნელი კეკელიძის, მეორე მხრივ კი, აკაკი შანიძისა და ედიშერ ტელიძის მოსაზრებები ავსებენ ერთმანეთს, რადგან მათ მიერ მოხმობილმა არგუმენტებმა და განმარტებებმა და ჩვენს მოძიებულმა პიროგრაფიულმა მასალამ სავესთით დაგვარწმუნა, რომ აღდგომის მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინი აღვსება გულისხმობს დიდმარხვის განკლებას, სრულყოფილ, სრულქნილ და გნუბავთ, აღვსებულ პერიოდს ამაფროულად, ისიც საგულისხმოა, რომ ტერმინი აღვსების მთვარის გავსებასთან (სავესთვარობასთან) კავშირი სავესთით რეალურია. მეტიც, იგი უმთავრესად უფრო მეტადაც კი შეესა-

ბამება კორნელი კეკელიძისგან დაწინაურებულ აკაკი შანიძისეულ განმარტებას.

საკითხის სიღრმისეული წარმოხენისთვის მცირე მაგალითით გავამდიდრებთ ჩვენს მოსაზრებას და შევეხებით ერთ ლიტურგიკულ ასპექტს. მოგეხსენებათ, ცისკრის ეამის მსახურების ბოლოს, განსატყუებელ ტროპარამდე, იკითხება „აღვივსენითსა ზედა დასდებელნი“ (ეს უკანასკნელი „მცირე“ მსახურებისთვის არის დამახასიათებელი), რომლებიც თავიანთი წყობით, შინაარსითა და დანიშნულებით ჰგავს „სტიქარონსა ზედა დასდებლებს“, თუმცა, რამდენადაც ისინი იკითხება ცისკრის ბოლოს მსახურების სრულყოფის, დასრულების – აღვსებისას, ეწოდება „აღვივსენითნი“, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა ყოველივე ზემოთქმულისა და ამ ტერმინის კეკელიძისეული გააზრებისა, რომელიც აღვსებას რამეს განსრულების გაგებით განიხილავს. „აღვივსენითსა ზედა დასდებლებს“ პირველ ორ მუხლს შორისაც მსგავსი შინაარსის ჩასართავი ითქმის: „აღვივსენით ჩვენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო, და ეხარებდეთ და ეიშუებდეთ ყოველთა დღეთა ჩვენთა.“ (ჯამნი 2012, 98).

სადავო არ იქნება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ჩვენს განსახილველ ხელნაწერსა და არაერთ სხვა წერილობით წყაროში აღბეჭდილი ორიგინალური ქართული ტერმინის აღვსების ზემოთ წარმოდგენილმა ანალოზმა ცხადყო, რომ ამ ტერმინის ამოსავალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხავსა თუ საგალობელში იგი აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავს და საკუთრივ ამ დღესასწაულისთვის შემოღებული ორიგინალური ძველქართული პასქალური ტერმინია.

2023 წლის 20-26 აპრილს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის დედებისა და მრევლის წევრთა ჯგუფმა ისრაელის წმიდა მიწა მოილოცა. მოგზაურობა არქიმანდრიტი ღაზარესა (გაგნიძე) და მღვდელმონაზონი ილიას (თვალთვალი) ხელმძღვანელობით დაიგეგმა. ჯგუფის წევრები იყვნენ: სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ქეთევანი (კობალიანი), მონაზვნები: ნანა (ქუთათელაძე), იოანა (გაჩეჩილაძე), ნინო (სამხარაძე), მელანია (მამისაშვილი), ფოტინე (ახვლედიანი) და სამთავროს მონასტრის მრევლის 14 წევრი.

„იერუსალიმი და, საერთოდ, წმინდა მიწა რომ უფლის მადლშოსილებით გამოჩნეული დედამიწის განსაკუთრებული ნაწილია, ყველამ იცის, მაგრამ აქ მოგზაურობა სულ სხვა დატვირთვას იძენს მათთვის, რომელნიც სიღრმისეულად შეისწავლიან და გააცნობიერებენ ამა თუ იმ ადგილის მნიშვნელობას და ღოცვით სულიერად თანაზიარნი გახდებიან ამ სივრცეში აღ-

სრულებულ უდიდეს სასწაულთა“, – ბრძანა უწმინდესმა და, მართლაც, წმიდა ადგილების მოლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვინც კრძალვით მივახლება მათ და სსოუნაში ღოცვით გააცოცხლებს მაცხოვრის აშქვეყნიურ საქმეებს. ამ დროს იგი თვალნათლივ და სულიერი გულისხმისყოფით გაიაზრებს საღმრთო წერილიდან მისთვის ცნობილ მოვლენებს, განიმსჯელებს ქრისტიანული სათნოებით და განმტკიცდება სიკეთის გზით სელაში. სწორედ მაშინ გარდაიქმნება იგი და იცვლის ფერს სულიერად. ამიტომაც, უბედნიერესია ადამიანი, ვინც წმიდა მიწას ერთხელ მაინც მოილოცავს. ხოლო, თუ იმის საშუალებაც არის, რომ იერუსალიამის სიწმინდეებს რამდენჯერმე მივახლო, ამაზე დიდი სიხარული ქრისტიანისთვის არ არსებობს.

მოგზაურობის მარშრუტი საკმაოდ დატვირთული, მაგრამ მადლით სავსე იყო. შესაძლებლობა გექონდა, სხვადასხვა წმინდა ადგილას (ჯერის მონასტერი, მაცხოვრის საფლავის კლესია, ღვთისმშობლის სა-



წმინდა ქალაქი იერუსალიმი



ქ. ლული, წმიდა დიდმოწამე გიორგის საფლავი

ფლავის ეკლესია, ბეთლემის შობის ეკლესია, წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი) ხუთ წირვაში მიგველო მონაწილეობა და ქრისტეს უხრწნელ სიხსნა და ხორცს უსთარბოდით. ყოველი წმიდა ადგილის მოლოცვას თან ახლდა სავედრებელი პარაკლისისა ან პანაშვიდის აღლენა.

წიმედოვნებთ, სტატიაში მიმოხილული წმიდა ადგილების გახსენებით, მკითხველი თანაზიარი გახდება იმ დაუეწიეარი დღეებისა და ემოციებისა, რომლებიც ჩვენმა მომლოცველებმა გაიარეს და განიცადეს.

დღე I (20 აპრილი)

(წმიდა გიორგის საფლავი, ელენის მთა, მაცხოვრის აღდგომის ტაძარი)

მომლოცველობის საწყის წერტილად ივირნიეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, იაფოდან სამხრეთით, იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე გაშენებული ქალაქი ლული, რომელიც ქართველთათვის განსაკუთრებით საყვარელია აქ მდებარე წმიდა დიდმოწამე გიორგის საფლავის გამო. გადმოცემის თანახმად, ლულში დაიბადა წმიდა დიდმოწამე გიორგი, რომლის წმიდა ნაწილები აქ მის-


მა დედამ გადმოასვენა. შუა საუკუნეებში, გარკვეული პერიოდი მას წმიდა გიორგის ქალაქად – გეორგიაპოლად მოიხსენიებდნენ. ლული დააარსეს ბენიამინის შთამომავლებმა, რომლებიც ბაბილონის ტყვეობის შემდეგაც დაბრუნდნენ აქ. ლულიში განკურნა წმიდა პეტრე მოციქულმა უძღვრებაში მყოფი ენა.

ერთ დროს ლულიში ბრძანდებოდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხელთუქმნელი ხატი, რომელიც მისსავე სიცოცხლეში სასწაულებრივად შეიქმნა. ქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს წმიდა გიორგის ბიზანტიური ტაძარი, რომელიც თავდაპირველად წმიდა ელენე დედოფალმა ააგო, შემდგომ იმპერატორმა იუსტინიანემ და ჯვაროსნებმა განაახლეს. ამჟამად იგი იერუსალიმის მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნის. აქვეა ბერძნული მამათა მონასტერიც; მისი მთავარი სიწმინდეა კრიპტა, წმიდა გიორგის თეთრი მარმარილოს საფლავით და მისი სხეულის უხრწნელი ნაწილებით.

ლულში ჩვენს პილიგრიმთა ჯგუფს სხვა ქართველი მომლოცველებიც (48 კაცი) შე-



წმიდა შარიაშ მაგდალინელის რუსული ტაძარი



ელენის შთის რუსული მონასტერი



ელენის შთა, წმიდა იოანე ნათლისმცემლის  
თაღის პოუნის აფგილი



მაცხოვრის ნატერფალი, აფგილი,  
საიდანაც ამღვდლა უფალი



წმიდა ღირსმოწამე ელისაბედის ღუსკემა



ელეონის მთის ბერძნული მონასტერი

მოუერთდნენ და საფლავზე ყველამ ერთად აღვედინეთ სვედრებელი პარაკლისი. ზეთის ცხების შემდეგ ვემთხვიეთ ტაძრის სათაყვანებელ სიწმინდეს, წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორკილებს, რომელთან შეხებისას ავაღმყოფები იკურნებიან და „ქრისტე აღდგას“ გალობით გამოვეშუშვიდობეთ საუვაოდ წმინდანს.

დღედიდან იერუსალიმისაკენ ავიდეთ გუზი. წმიდა ქალაქში ჩასულდებმა მოვილოცეთ ელეონის მთის სიწმინდეები: ამაღლების რუსული მონასტერი, უფლის ამაღლების სამლოცველო, ღირსი პელაგიას ბერძნული მონასტერი, წმიდა მარიამ შავდალინელის რუსული მონასტერი და გეოსქმანიის ბაღი. ეს დღე დაეასრულეთ ქრისტეს აღდგომის კელესიაში. საბედნიეროდ, ყოველ დღე იქ უფლისას საშუალება გვქონდა, ქრისტეს საფლავსა და ამ ტაძარში დაცულ სხვა სიწმინდეებს ემთხვეოდით.

ელეონი, იგივე ზეთისხილის მთა, იერუსალიმის მთათა შორის ყველაზე მაღალია. სახარებაში იგი არაერთგზისაა მოხსენიებული ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრუ-

ბის უკანასკნელ დღეებთან დაკავშირებით. მაცხოვარმა ელეონის გზა გაიარა, როცა იერუსალიმში დიდებით შევიდა; ამ გზაზე ასწავლა მან მოწაფეებს „მამათ ჩვენო“; აქ ღოცულობდა ღამით, ვნების წინ და აქედანვე ამაღლდა ზეცად.

გეოსქმანიის ბაღი, სადაც ქრისტე ექვდრებოდა მამას ტანჯვის ფიალა აუცილებლბინა, ელეონის მთის ძირასაა გაშენებული. ბაღის შესართან ახლოსაა მღვიმე – გამოქვაბული, სადაც, გადმოცემის თანახმად, ქრისტეს მოწაფეებს ღოცვისას მიეძინათ. ბაღის ერთ მხარეს ფრანცისკანელთა მდიდრული კელესია დგას, რომლის იატაკზე დღესაც არის ქრისტეს სისხლიანი ოფლის წვეთებით დახერტილი ქვა.

გეოსქმანიის ბაღში სიძველისგან დანაოკებული 8 ზეთისხილის ხე ხარობს. მათი ასაკი, ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, 2000 წელს აღემატება. ბებური ზეთისხილების ახლოს დეეს ქვა, რომელზეც იჯდა მაცხოვარი, როცა თუდა მეომრებთან ერთად მიუდა მასთან.

ელეონის მთის ყველაზე მაღალ ადგი-



სვეტი, რომელზეც გარდაიშოვდა წმინდა ევდემი

ლას აგებულია მაცხოვრის ამადლები  
რუსული დედათა მონასტერი. ტერიტორია,  
რომელზეც საეანეა გაშენებული,  
1870 წელს არქიმანდრიტმა ანტონმა (კა-  
პუსტინი) შეიძინა და 1906 წელს დააარსა  
მონასტერი. ეკლესიაში ინახება სიწმინდე-  
ები - ელვონის „მსწრაფლშემსვენელი  
ღვთისმშობლის“ ხასწაულთმოქმედი ხატი  
(ნურნიგოვო-გეთსემანის) და ხატი „წარ-  
წყმედულთა მოძიებელი“.

მონასტრის ტერიტორიაზე ამადლების  
ტაძრის უკან, წმიდა იოანე ნათლისმცემ-  
ლის სამლოცველოა წმიდანის თავის პირ-  
ველად და მეორედ პოენის ადგილას აგე-  
ბული. ამ ადგილზე სამლოცველო ჯერ  
კიდეც IV ხ-ში არსებობდა. თავდაპირველი  
ნაგებობიდან მოზაიკის იატაკის ფრაგმენ-  
ტია შემორჩენილი. მისი მთავარია სიწმი-  
ნე - ნაღრმავეული იატაკი ამ ადგილას,



კუწუკელია, მაცხოვრის საფლავი

სადაც დაფლული იყო წმიდა იოანე ნათ-  
ლისმცემლის თავი. მორწმუნეები დღე-  
საც მუხლმოყრილი თავყვანს სცემენ და  
რწმენით მიეახლებიან სიწმინდეს.

ტაძრის სამხრეთ კედელთან, ექსტერ-  
იერში შემორჩენილია ქვა, რომელზეც  
მაცხოვრის ამადლების დროს ყოველად  
წმიდა ღვთისმშობელი იდგა.

მონასტრის ხასაფლაოზე წინამძღვარ-  
თა შორის დაკრძალულია იღუმენია თამ-  
არი, კონსტანტინე ბაგრატიონის მეუღლე.  
მისი ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მეუღ-  
ლის სიყვარულით ძლიერ პყვარებია საქა-  
რთველო და ქართველი ხალხი. საფლა-  
ვთან სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ  
და დედა თამარს ჩვენი დედა იღუმენიას  
ჯანმრთელობა და მრავალგამიერი სიცო-  
ცხლე შეუთხოვეთ.

ელვონის მთის ერთ-ერთი მთავარი ხო-

წმინდა რვაკუთხა ფორმის ამბლდების სამლოცველო, რომელიც აგებულია იმ ადგილზე, საიდანაც უფალი იესო ქრისტე ამბლდა ცნობები ამ სამლოცველოს შესახებ ჯერ კიდევ 370 წლიდან მოგვეპოვება. თავდაპირველად იგი სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ჯვაროსნების შემოსევების შემდეგ, XII ს-ში მუსლიმებმა მერჯულად გადააკეთეს და მათი კუთვნილებაა. სამლოცველოს ცენტრშია ქვა, რომელზეც ქრისტე ამბლდებისას იდგა და მის ნატურფაღს დღემდე ინახავს. მართლმადიდებლები, სომხები, კობტები, სირიელები, ფრანცისკანელები თავიანთ სცემენ ამ ადგილს, კათოლიკებს კი უფლება აქვთ, ამბლდების დღესასწაულზე სამლოცველოში ტრაპეზი დაღვან და წირვა აღაღვინონ.



გოლგოთა

ამბლდების სამლოცველოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს დირსი პელაგიახ ბერძნული დედათა მონასტერი, საიდანაც ძველი იერუსალიმის უღამაზესი ხედი იშლება. ქიზში დგას 1990 წლის დასაწყისში აგებული ეკლესია, რომლის მეორე სართული ისრაელის მთავრობამ ბარბაროსულად დაანგრია. ტაძარში არის სიწმინდეები: მაცხოვრის სასწაულთმოქმედი ხატი, რომლის მეოხებით ტაძარი ბოლომდე დანგრევას გადაურჩა, ასევე უამრავი წმინდა ნაწილი, რომელთა შორის წმიდა ნინოს საფლავის ქვაც აღმოვაჩინეთ.

საკვმად ბერძნული „დირს არსი“ და ადღგომის ტროპარი ვიგალობეთ, შემდეგ კი სამახსოვრო ჯვრები და თავისივე გაკეთებული სამაჯურები გადმოგვცა. არქიმანდრიტთან სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ და მისი უბრალოებით გულგამობარნი წმიდა მარიამ მაგდალინელის რუსული დედათა მონასტრისკენ გავემართეთ.

მონასტერში გულთბილად შეგხვდნენ. მესტუმრე მონოზონმა სავანის ისტორია მიგვითხრო და ცივი სასმელთა და ტკბილეულით გავკვიპასინძლდა. განსაკუთრებული სიბოთით მიგვიღო მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა, რომელიც იმ დროს ტაძარში იმყოფებოდა იგი უკვე 40 წელია, რაც ამ სავანის სულიერი მოძღვარია. გვეითხა, საიდან ვიყავით და როცა გაფო, უცადა „ქრისტე აღდგათ“ ქართულად მიგვეხალმეებოდა – ჩვენ მის პატივ-

სული ტრადიციით ნაშენი ხუთ ოქროსფერეუმბათიანი ნატიფი ტაძარი, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე III-მ თავისი დედის, მარია ალექსანდრეს ასულის ხსოვნის პატივსაცემად ააგო. ტაძრის კანკელი შავი ბრინჯაოთი გაფორმებული თეთრი მარმარილოთა გაკეთებული. კედელზეა სცენები წმიდა მარიამ მაგდალინელის ცხოვრებიდან; კანკელის თავზე მდებარე ყველაზე დიდ ხატზე გამოსახულია მარიამ მაგდალინელი, რომელიც იმპერატორს უწევის სააღდგომო წითელ კურცხს.



იღუმენია ჭეთეანი კუეკლიხთან

ამავე ეკლესიაშია ღირსმოწამე მთავრინას, წმიდა ელისაბედ თეოდორეს ასულისა და მისი მესენაკე მონაზონი ბარბარეს თუთრი მარმარილოს ღუსკუმები. წმიდა ელისაბედი იყო ინგლისის დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილი, რუსეთის იმპერა-



მაცხოვრის აღდგომის ტაძარი, ვაშლიტვის ქვა

ტორი ნიკოლოზ II-ის მეუღლის, დედოფალ ალექსანდრას და და მოსკოვის მთავრინ სერგის მეუღლე. მისი მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ, ელისაბედი მონაზვნად აღიკვეცა და მთელი სიცოცხლე მოწამელების საქმეს მიუძღვნა. 1918 წელს, მეუღლის მსგავსად, ისიც მოწამეობრივად აღესრულა და 1920 წელს მისი წმიდა ნაწილები იერუსალიმში გადმოასვენეს.

მონასტერი XX საუკუნის 30-იან წლებში დააარსა ორმა შოტლანდიელმა დამ, რომლებმაც მართლმადიდებლობა მიიღეს მათვე დააარსეს ბეთანიის ქალთა სკოლაც. მონასტრის ტერიტორიას შემორჩა კიბეები, რომლითაც ქრისტემ იერუსალიმში მიმავალი გზა გაიარა (ამ კიბეების ნახვა ყველასათვის არაა ნებადართული, მაგრამ ჩვენთვის უარი არ უთქვამთ). აქვეა ქვა, რომელზეც დაეარდა ღვთისმშობლის მიერ ნასროლი ხარტყელი, რათა წმიდა თომა მოციქულს ეჭვი არ შეჰპაროდა მის ზეცად ამადღებაში. ტერასის შემადღებულ ადგილას, კედელზე, ამ მოვლენის პატივსაცემად მოზაიკის ხატია გამოსახული.

წმიდა მარიამ მაგდალინელის მონასტერში განსაკუთრებულად გველოდნენ, რადგან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მათთვის წმიდა მამა გაბრიელის, აღმსარებლისა და საღოისის წმიდა ნაწილები უნდა გადაგვეცა. სივანის იღუმენია და რამდენიმე მონაზონი ტაძარში დაგვხვდნენ, სიყვარულით მოგვიკითხეს და მოწინებით საბარეს უდიდესი სიწმინდე.

პირველი დღე დასრულდა მაცხოვრის საფლავის კვლევაში, რომელიც ქრისტანთა ქველახზე დიდი სიწმინდეა. ტარის ინტერიერი მოიცავს გოდ-



გოთასა და ყველა იმ ადგილს, სადაც ენების კვირისა და აღდგომის მოუღენებო აღსრულდა მათ შორის უნდა აღინიშნოს: კათოლიკონი, კვართის განძარცვის სამლოცველო, ღირსი მარიამ ეპიკტელის სამლოცველო, მირონცხების ქვა, სამლოცველო ადამის თავის ადგილას, იოსებ არმათიელისა და ნიკოდიმოსის სამლოცველო და აკლდამები, ცრემლმდინარე ღვთისმშობლის ეკლესია, ტაძარი, სადაც ქრისტე ღვთისმშობელს გამოეცხადა, წმიდა მარიამ მაგდალინელის ეკლესია, მაცხოვრის საპრობიდის ეკლესია, კვართზე წილურის ეკლესია, წმიდა ღონგინოს ახისთავის ეკლესია, ეკლის გვირგვინის დადგმის ეკლესია, წმიდა ელენე დედოფლის სამლოცველო (ჯვრის პოენის ეკლესია).

ერთხანს ქართველთა მოღვაწეობა იერუსალიმში იმდენად წარმატებული იყო, რომ ქრისტეს საფლავის კლიტის მფლობელიც იყვნენ. ხელნაწერების მიხედვით, XI ს-დან გოლგოთაზე უკვე ხანს ქართველ მოღვაწეთა კვალი დიდი გატირების მიუხედავად, საეკლესიოების განმავლობაში ქართველებს არ მიუტოვებიათ ტაძარი. XIV ს-ში მეფე გიორგი ბრწყინვალემ ეპიკტის ხულისნიგან კვლავ მოიპოვა ქრისტეს საფლავის გასაღები. ეს პრივილეგია ქართველებს კარგა ხანს პქონდათ, მაგრამ XV ს-ში საბოლოოდ დაკარგეს.

რადღაც სამწუხაროა, რომ დღემდე იერუსალიმში ქართველებს არ გააჩნიათ არცერთი ეკლესია, რომელშიც პილიგრიმები შეხვდნენ მშობლიურ ენაზე ღვთის საყვარელი ღოცვის ადგილანას. ქართველების მოკრძალებული ნაესაყველო წმინდა მიწაზე მხოლოდ რამდენიმე სახლით (იერუსალიმში, ბეთლემში, დუდში, იორდანიაში) შემოიფარგლება და იქაც ოფიციალურად მონასტრის დაარსების უფლებას არ გვაძლევს. თუმცა, წინა წლებთან შედარებით



თემის ადგილი, სადაც ადამის თავის ქალა იყო დაფლული

აშკარად შეიმჩნევა უფრო მეტი კეთილგანწყობა ქართველების მიმართ ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისეღისთანავე სასულიერო პირები ურიგოდ შეგვიშვეს კვეკელიაში, ღოცვის დროც მოგვეცეს და იქედან გამოსულებს ნება დაგვრთეს, ანგულოხის ეკლესიაში ქართულად გვეკალინა. ერთ დღეს დღა იღუმენიას ქრისტეს საფლავის მცველმა თეთრი, ღურჯინკებიანი ვარდიც კი უსახსოვრა. ასეთმა მოულოდნელმა საჩუქარმა ყველა გაგვახარა, განსაკუთრებით, დღა ქეთეანი, რომელმაც ვარდი საქართველოში წამოიღო და დღემდე თავის სენაკში ინახავს, როგორც უფლის საფლავის მადლით გაუღნთილ ძვირფას ძეგლს. ვარდა ამისა, ვარდი ქრისტიანულ სიმბოლიკაში სიწმინდის, სისუეტაკის, უბიწოების სიმბოლია. იგი ქალწულ მარიამს განასახიერებს და სიღამაზისა და კეთილ-



შოთა რუსთაველის ფრესკასთან



ჯვრის მონასტერი, ღორტის ხის ეყესუთან



კატამონი, წმიდა სვიმონ ღვთისმეტყველის საფლავი

სურნელების გამო სამოთხის ვევილად არის მიჩნეული. ვფიქრობ, საფლავის მცველმა თეთრი ვარდის მოძღვნით სასუფეველი გვესურვა და ქრისტეს მადლის თანახმად გაეცხადა.

## ღმე II (21 აპრილი)

ქართველთა ჯვრის მონასტერი, სვიმონ ღვთისმამის საფლავი, ენ-კერში, სიონის მთა).

პირველი ზიარება წმინდა მიწაზე 21 აპრილს, ქართველთა ჯვრის მონასტერში მივიღეთ. შეუძლებელია, ეს დიდებული ადგილი მოინახულო და უკიდვანო სინანულის გრძნობა არ დაგკუფლოს. ტაძრის ფრესკები, სიწმინდეები, მონასტრის კომპლექსის კედლებიც კი, აქ ქართველების გარეშე მოწყენილია. მონასტერში მხოლოდ ერთადერთი ქართველი, მიაი, ცხოვრობს მუდმივად იმის შიშით, რომ ერთ დღესაც ეტყვიან, აქ გაქვრების უფლება აღარ გაქვს; იგი ამჟამინდელი წინამძღვრის ძალიან მადლიერია, როცა გაუვია, რომ მიაის წასახელედი არხად ჰქონდა,

თან მონასტერში დარჩენაც სურდა, სავანეში ცხოვრების ნება დაურთავს. დედა იღუმენიამ ეს ამბავი ძალიან განიცადა, სთხოვა, მოთმინება გამოეჩინა და სულგრძელებით აეტანა ვეველაფერი, რათა მონასტრის ბერძენი მებატონეების კეთილგანწყობა მოეპოვებინა. ასე ცხოვრობს მიაი, ერთადერთი ქართველი, ქართველთა ჯვრის მონასტერში. ჩვენ მას გამძლეობა ვუსურვეთ, დედა იღუმენიამ კი – ღირსეული მონივნობა ჯვრის მონასტერში.

კლიოსზე ერთი ბერძენი ქალბატონი გაალობდა, რომელსაც შიგადაშიგ ანაფორით შემოსილი სასულიერო პირი ესმარებოდა. მათთან ერთად რუმინელი მონიზონიც იღვა და მშობლიურ ენაზე აღაღუნდა ღოცეას. ხან წინამძღვარი, ხან მგალობელი სასულიერო პირი გვაძლევდა ნიშანს და ქართულად ეიწყებდით გალობას. ძირითადად, „ქრისტე აღდგა“ და წირვის რამდენიმე საგალობელი შეეასრულეთ.

დიდებული ჯვრის მონასტრის შემდეგ წმიდა სვიმონ ღვთისმამის საფლავის მონასტერში, კატამონში გავუმგზავრეთ. იგი მღვ-



ქეპროზელზე მდგარმა წმიდა იოანე ნათლისმცემელმა პირველი ქადაგება წარმოიტქვა



ყოველწმიდა ღვთისმშობლისა და მართალი ელისაბედის შეხვედრის ადგილი



წმიდა დავით მეფისაღმუნის ხაფაღი

ბარეობს ჯვრის მონასტრის მოპირდაპირე მხარეს, ამაღლებულ ადგილას, საიდანაც კარგად მონანს იერუსალიმი და მისი შეზოგარენი. გადმოცემით, ეს ადგილი წმიდა ვახტანგ გორგასალს შეუსყიდა და ქართველ მონაზონთათვის საგანე აუშენებია. 1515-1524 წლებში ბედუინების თავდასხმებს კატამონის საგანის 19 მონოზონი ემსხვერპლა. გადარჩენილები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მონასტერი.

ამ მონასტრის შესახებ უცით კიდევ ის, რომ იგი რაჭის ერისთავებს - ჩხეტიძეებს აუგიათ და ამ ადგილას ყოფილა დედათა მონასტერი.

ამჟამად ეს საგანე გუთუნის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს და ცნობილია, როგორც საიდანიას, ყოვლადწმიდა დეთისმშობლის ბებიის, დედათა მონასტერი (არაბულად „აღრ ხინდი“ - ბებიის მონასტერი). მონასტერში ყველაზე დიდი სიწმინდა ყოვლადწმიდა დეთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც, გადმოცემით, თვითონ ზობრანდა ქ. დამასკოდან, მეორე სიწმინდეს კი წარმოადგენს წმიდა მართალი სვიმონის საფლავი. მიიჩნევენ, რომ მონასტერი აგებულია იმ ადგილზე, სადაც ადრე დეთისმშობლის სვიმონის სახლი იდგა. მისი საფლავი ტაძრის იატაკქვეშ ღრმა, დია აკლდამაშია განთავსებული. წმიდა ნაწილები კი უკეთ დაცვის მიზნით, კონსტანტინეპოლში, საღლო მოვიანებით ქ. ზადარში (ხორვატია) გადაუსვენებიათ.

ქართველთა საგანე - კატამონი, ალბათ, ყოველთვის გაგვახსენებს დიდ ქართველი პოეტის, ირაკლი აბაშიძის ღეჭის „ხმა კატამონთან“:

...შენ, ჩვენი სუნთქვის დიდი ალაში,  
შენ, ვინაა ჩვენთა ტკბილი მალაში,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კრთა,  
შენ ერთს, შენ ვერ ვიშობ სამარის პირთან“.

სამწუხაროდ, ქართველებმა ესეც დაკარგეს და მონასტერი „წარსულის ძეგლად“ ვაქციეთ; ვერ მოუფურთხილდით ჩვენი წინაპრების ოფლითა და შრომით მოპოვებულ „ხატადქცეულ“ უდიდეს სიწმინდეს.

კატამონის შემდეგ ეინ-კერემს ვაწვიეთ. სიტყვა ეინ-კერემი „მთიანს“, „ოუდეველთა მთის ქალაქს“ ნიშნავს. იგი იერუსალიმის დასავლეთი განაპირა მხარეა. ამ ადგილას მდებარეობდა წმიდა იოანე ნათლისმცემლის მშობლების - მართალი ზაქარია და ელისაბედის სახლი. აქ მოვიდა დეთისმშობელი ხარების შემდეგ და აქვე დაჰყო მან სამი თვე. ეინ-კერემზე მდებარეობს რუსული დედათა მონასტერი, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს კუთვნილებაა. საგანეში ორი ტაძარია, ყაზანის დეთისმშობლისა და ყოველთა წმიდათას სახელზე. ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის წინ იკურთხა და ერთ-ერთი უდიდესი ტაძარია იერუსალიმში. ყაზანის დეთისმშობლის ტაძრის წინ შემორჩენილია ზაქარია და ელისაბედის სახლის სვეტი. შესასველელიდან მარჯვენა მხარეს არის ქვა, რომელზეც წმიდა იოანე ნათლისმცემელმა პირველი ქადაგება წარმოთქვა. მონასტრის კარიბჭის თაღში გამოსახულია დეთისმშობლისა და ელისაბედის შეხვედრა. ამ ავე ტერიტორიაზე მდებარეობს წმიდა იოანე ნათლისმცემლის გამოქვაბულიც.

სიწმინდეების მილოციის შემდეგ ყაზანის დეთისმშობლის ტაძარში სავადრებელი პარაკლისი და პანაშვიდი აღვაკლინეთ. ეინ-კერემიდან სიონის მთაზე გადავიანცვლეთ და წმიდა დავით მეფესადმუნის საფლავი მოვილოცეთ. ამ ავე მთაზეა საიდუმლო ხერობის ოთახი და ყოვლადწმიდა დეთისმშობლის მიძინების კათოლიკური ტაძარი.

წმიდა დავით მეფის აკლდამა მდებარეობს იმ შენობის პირველ სართულზე, სა-

დაც არის საიდუმლო სერობის ოთახი. დაეითის აკლდამა მოხსენიებულია ბიბლიაში, მაგრამ არავითარი არქეოლოგიურად დადასტურებული მოწმობა იმის შესახებ, რომ მეფის საფლავი სწორედ აქაა, არ არსებობს. ერთი ვარაუდით, დავითი, ისრაელის სხვა მეფეების მსგავსად, დაკრძალულია სილოამის საბანელთან იერუსალიმის იმ ნაწილში, რომელსაც „დავითის ქალაქს“ უწოდებენ.

რიარქმა ილია II-მ 2012 წელს, იერუსალიმში ეიზიტის დროს, წმიდა დავით მეფის საფლავს ოქრომკერდით მოქარველი ხავერდის უპირფასევი გადასაფარებელი შესწირა. რამდენიმე თვის შემდეგ იერუსალიმში ჩვენც გავეშვებავრეთ, გადასაფარებელი უკვე აღებული მიუვახლო, გადასაფარებელი უკვე აღებული მკურნა და სამწუხაროდ, მას შემდეგ აღარც გადაუფარებიათ.

წინა წლებში, ტაძრის ეზოში, შემადღე-



კარიბჭე, საიდანაც მაცხოვარი დიდებით შევიდა იერუსალიმში

XII ს-ში ებრაელმა მომლოცველმა ბენიამინ ტუდელსკიმ განაცხადა, რომ საიდუმლო სერობის შენობაში განისვენებენ წმიდა დავით მეფე და სხვა ისრაელიანი მეფეები. 1559 წელს სულთანმა სულეიმან დიდებულმა ქრისტიანები სიონიდან გამოაძევა და მოწველი შენობა ნუბი-დაუდის (დავით წინასწარმეტყველის) მუხთან გადააკეთა. ქვემოთ დაღვა დიდი ჭის სარკოფაგი, რომელიც, მისი აზრით, დავითის საფლავზეა მოქცეული. სარკოფაგთან შესასვლელი ხის მესხურითაა გაყოფილი, ქალთა და მამაკაცთა ცალ-ცალკე ღოცვის მიზნით.

ბულ კვარცხლბეკზე იდგა წმიდა დავით მეფის მთოქროვილი ქანდაკებაც, რომელსაც ხელში ჭარი ეჭორა. წელს ეს ქანდაკებაც აღებული დაგვხვდა იმ მოტივით, რომ ებრაელთა რელიგიაში ქანდაკება, როგორც კერპი, ისე აღიქმება.

წმიდა დავით მეფის საფლავზე მისი ფსალმუნები წაეკითხეთ. კართველთა დიდ წინაპარს (ბაგრატიონები წმიდა დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან) პატრიარქის დღეგრძელობა და საქართველოს გამთლიანება შეუთხოვეთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-

მონაზონი ნინო (სამხარაძე)



მონასტრის სამი კანონი

1. არ ვანიკაობი!

2. რაემს მოეცხი პრალს ვეუბღუს თაგს ზუ  
მპირილუბ, სიხივე მუნდობა და ვანმორღი

3. ვოეულ ადამიანსი დანხე შოლოდ სიკეთე  
მამორე მეს კეთილი სოცევიო, თუ ეს არ ძღღვისი  
— ხუნავეებს ეტევი

კათოლიკოს-მეტროპოლიტი ილია II